

სოლიდარობა

ცვლილებები ინიციატივა კონსტიტუცია

ბამოძიება მოქალაქე

კანონის უზენაესობა ღიაობა საკუთრება

უფლება კანონის მბრძოლობა

პრევენცია ბენეფიციარი მართლმსაჯულება სიმშვიდე უფლება

ხელისუფლება ადვოკატირება

კონსტიტუცია კანონი რეფორმა

სამართალწარმოება გამჭვირვალობა ღიაობა

სამართლიანობა ხელისუფლება

პრევენცია კანონი სოლიდარობა

სასამართლო სიკოცხლის უფლება რეაგირება

კანონი ბამჭვირვადობა მონიტორინგი

ცვლილებები ბენეფიციარი მოქალაქე

რეაგირება საზოგადოება ანბარიშვილებულება

გამოძიება თანასწორობა

დამოუკიდებლობა

დასვა

ინიციატივა

თანასწორობა

პასუხისმგებლობა

კეთილსინდისიერება

მონიტორინგი დამოუკიდებლობა

ადვოკატირება კანონი



2017

წლიური ანბარიში

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი, ხათუნა ყვირალაშვილი
დიზაინი: თეონა კერესელიძე
© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2017

კანონი
სახელმწიფო
რეაგირება
სიკოცხლის უფლება
მონიტორინგი
მამჭვირვალობა
მოქალაქე
ცვლილებები
საზოგადოება
ანბარიშვილებზე
გამოძიება
თანასწორობა
დამოუკიდებლობა
დასვა
ინიციატივა
თანასწორობა
მონიტორინგი
ქონსმისუქია
საია
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GYLA
Georgian Young Lawyers' Association
2017
წლიური ანბარიში
კანონი
დამოუკიდებლობა
უფლება



SIGRID RAUSING TRUST



სარჩევი

ენისიციკლოპედია	5
ჩვენ შესახებ	10
საკონსტიტუციო რეფორმა	14
თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები: საკანონმდებლო და კრეატიული გამომწვევები	17
თვითმმართველობის სახელით თვითმმართველობის წინააღმდეგ	22
2017 წლის აღზიდობრივი თვითმმართველობის არჩევნები	27
ბრძოლა სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის: რეფორმა პოლიტიკური ნების გარეშე	31
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	35
კატიმართა უფლებები	37
არაეფექტური გამოძიების პრობლემა და დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის საჭიროება	41
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – არსებული გამოწვევები	46
საკარლამენტო საქმიანობა და სიიას ჩართულობა კანონმდებლობით პროცესში	51
უსაფრთხოების სამსახური: ეს უნდა გეხება – ისევ გვისმენენ	54
მედიაგარემო და ჟურნალისტიკა უფლებები	59

ანტიკორუფციული საქმიანობა	63
საჯარო სამსახურის რეფორმა	69
ქალაქობის დაქვევნიდან ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობისკენ	75
დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და თანასწორობის ხელშეწყობა	94
შეზღუდული (შესაძლებლობები) უფლებები და ბრძოლა თანასწორობისთვის	99
სტრატეგიული სამართალწარმოება	107
სამართლებრივი კონსულტაციები საიას თბილისისა და რეგიონების ოფისებში	114
ადამიანის უფლებები სახლთან ახლოს	117
მიგრაციის მართვის განვითარება	119
კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება	121
ფინანსური ანგარიში	133



საიელებო, საიას მეგობრებო, გულშემატკივრებო,

მაქვს პატივი, მესამედ მოგესალმოდეთ საიას თავმჯდომარის რანგში.

ეს სამი წელი ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო, რთული და გულუხვი აღმონდა როგორც გამონწვევების, ასევე, სიხლეების და მიღწევების თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვის თვალსაზრისით, ქვეყანაში არაერთი გამონწვევა იყო და რჩება, მიუხედავად გარკვეულ სფეროებში მიღწეული პოზიტიური ცვლილებებისა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა კონსტიტუციური უმრავლესობა პარლამენტში, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის სუსტი პრაქტიკა და ტრადიცია და ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემის ჯერ კიდევ დაბალი დონე სახელმწიფო ინსტიტუციებსა თუ ფართო საზოგადოებაში.

ამ პერიოდის განმავლობაში ყველგან, სადაც უფლებებს და კანონის უზენაესობას საფრთხე ემუქრებოდა, ჩვენ, საიელები, ვცდილობდით ვყოფილიყავით მოვლენათა ეპიცენტრში და დაგვეცვა, დაგვმარებოდით, შეგვეცვალა, შეგვეჩერებინა უკუსვლა და ხელი შეგვეწყო პროგრესისთვის. ზოგ შემთხვევაში – ეს გამოვიდა, ზოგ შემთხვევაში – არა. თუმცა, ყველა მცდელობა დიდი ძალისხმევის, პასუხისმგებლობის, პროფესიონალიზმის, გამძლეობის და გამბედაობის თავმოყრას საჭიროებდა ჩვენი მხრიდან და ამაყი ვარ, რომ მიუხედავად სირთულეებისა, ამ პრინციპების ერთგულებას ვახერხებდით.

ამ სამი წლის განმავლობაში განუღებ ძალისხმევებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფდი სასამართლოს დამოუკიდებლობის სფეროში არსებულ გამონწვევებთან

ბრძოლას და ძალოვანი უწყებების ანგარიშვალდებულების დამკვიდრების მიმართულებით განეულ საქმიანობას, ბრძოლას კრიტიკული და პლურალისტური მედიაგარემოს შესანარჩუნებლად, ეროვნული მასშტაბით გამართული ორი არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელობას, ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დასაცავად ორგანიზაციის მიერ გადადგმულ არაერთ ნაბიჯს და ამ ჯგუფებისთვის სასარგებლო ინიციატივებს, აგრეთვე, საქმიანობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის დაჩქარების მიმართულებით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სამართლოს ნევრი სახელმწიფოების ასამბლეის წინაშე გამოსვლა აგვისტოს ომის გამოძიების დაწყებისა და მისი ფართო ფარგლებში წარმართვის მოთხოვნით, მოწმედ გამოსვლა (წერილობით) აშშ-ის კონგრესის წინაშე საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მდგომარეობისა და რუსეთის გავლენების შესახებ, მოხსენება ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოში მართლმსაჯულების სფეროში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, მოხსენებები ევროპარლამენტის მიერ ორგანიზებულ რამდენიმე კონფერენციაზე საქართველოს მხრიდან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრობა, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი კომისიის წევრობა, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ თავმჯდომარეობა ზედიზედ ორი წლის

განმავლობაში, კოალიცია „თანასწორობისათვის“ თავმჯდომარეობა – ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ მნიშვნელოვანი ფორუმებისა, სადაც პატივი მქონდა, წარმომედგინა საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თუ, ზოგადად, სამოქალაქო სექტორი.

ამას ემატება 1200-ზე მეტი სამუშაო თუ მაღალი დონის შეხვედრა, ურთიერთობა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, უშუალო შეხვედრები მოქალაქეებთან, 50-ზე მეტი პრეზენტაცია საიასა თუ სხვათა მიერ ორგანიზებულ საჯარო ღონისძიებაზე, 5700-ზე მეტი ინტერვიუ თუ კომენტარი მედიაში, დონორებისა და პარტნიორების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად განეული საქმიანობა და ა.შ.

მიღწეული შედეგები იმ გუნდური შრომის შედეგია, რასაც ჩემთან ერთად ეწეოდნენ საიას თანამშრომლები – უაღრესად პროფესიულად და თავდადებულად, რისთვისაც დიდი მადლობა თითოეულ თქვენთანგანს.

ამ სამი წლის განმავლობაში, არაერთხელ გავიარეთ რთულ გზაზე და მიხარია, რომ ორგანიზაციამ შეინარჩუნა და განიმტკიცა ლიდერული პოზიციები, საზოგადოების ნდობა და სიყვარული, პატივისცემა ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო ასპარეზზე. მაგალითად, გაეროს უახლესი კვლევის მიხედვით, საიას სამართლებრივი დახმარება ყველაზე ფართოდ ცნობილი და მოთხოვნადი სამართლებრივი დახმარებაა ქვეყანაში.

თუმცა, მიღწევებთან და ძლიერ მხარეებთან ერთად, საია დიდი გამოწვევების

წინაშე დგას. ამ პერიოდში ორი სხვადასხვა ექსპერტული ჯგუფის მიერ გაკეთებულმა ორგანიზაციულმა შეფასებამ გამოავლინა ცვლილებების საჭიროება. ამ საანგარიშო პერიოდში ექსპერტთა ჩართულობით გატარდა სამუშაოები და მომზადდა ნიადაგი აღნიშნული ცვლილებებისთვის. იმედი მაქვს, ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება მომდევნო წელს, განახლების სურვილი აისახება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში და დაიწყება ცვლილებების პრაქტიკაში დაწერვა.

სხვა ცვლილებებთან ერთად, რომელიც ორგანიზაციამ წელს განახორციელა საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ახალი მიდგომების დანერგვით, მიხარია, წარმოგიდგინოთ კონცეპტუალურად და ვიზუალურად არსებითად შეცვლილი წლიური ანგარიში. ეს ანგარიში, ისევე როგორც წინამორბედები, მიუხედავად ინფორმაციული სიუხვისა, ვერ იტევს იმ უზარმაზარ შრომას, რასაც ორგანიზაცია წლის განმავლობაში ეწეოდა, ვერ ასახავს იმ სირთულეებს, რაც გადავიტანეთ. თუმცა, მჯერა, რომ მკითხველისთვის საინტერესო იქნება კიდევ ერთი წარმატებული წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობებისა და შედეგების დეტალურად გაცნობა.

უკვე განეულ სამუშაოსთან ერთად, ეს ანგარიში აჩვენებს იმ უზარმაზარ პოტენციალს, რაც ორგანიზაციას გააჩნია და რომელიც, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტ შედეგებში გარდაისახება შიდა რეფორმების გატარებისა და ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერების პირობებში. საიას წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანა დგას: კრიტიკულად გაიაზროს

საკუთარი გამოცდილება და როლი ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში, არ შეუშინდეს სიახლეებსა და რეფორმებს და განახლებულმა გააგრძელოს საქმიანობა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სფეროში.

ჩემთვის უდიდესი გამოცდილება და პატივი იყო, ვყოფილიყავი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მინდა გისურვოთ კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მიღწევები ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე



საიანს ოფისების დაარსების წლები:

თბილისის ოფისი - 1994 წელი
 აჭარის ფილიალი - 1995 წელი
 რუსთავის ოფისი - 1995 წელი
 ქუთაისის ფილიალი - 1996 წელი
 გორის ოფისი - 2000 წელი
 ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
 თელავის ოფისი - 2002 წელი
 ღუშეთის ოფისი - 2002 წელი
 ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი


საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისიის განაცხადი

2014 წლის 30 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2015-2019 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2017 წლის ანგარიშს (საანგარიშო პერიოდი 2016 წლის 1 ნოემბერი - 2017 წლის 1 ნოემბერი).

ჩვენი ღვაწი

ქანონის უზენაესობა საქართველოსათვის



ჩვენ შესახებ



საიასთან ათ წელზე მეტია, ვთანამშრომლობთ. ერთად წარმოვადგენთ ბენეფიციარებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართლოში. საიას იურისტები გაბედულები, ენერგიულები და შემოქმედებითად მოაზროვნეები არიან. როგორც პროფესიონალიზმის სამაგალითო ნიმუში, საია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ძირითადი უფლებების დაცვის საქმეში.

ფილიპ ლიჩი – ადამიანის უფლებათა ადვოკატების ევროპული ცენტრის (EHRAC) ხელმძღვანელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობის შესახებ პირველად ზუგდიდის უნივერსიტეტში გამართულ ღია კარის დღეზე შევიტყვე. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუდენტები, რომლებსაც საიაში სტაჟირების გავლა სურდათ. იმ დღემ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. საბედნიეროდ, იმ 19 ადამიანს შორის აღმოვჩნდი, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ, „საიას ოჯახის“ წევრები გამხდარიყვნენ.

სტაჟირების დასრულების შემდეგ მონაწილეობა მივიღე საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ ორგანიზებული დებატ-კლუბის შიდა და ეროვნულ ტურნირში. ვიყავი საკვირაო სკოლის მოხალისე ლექტორი და აქტიურად ვმონაწილეობდი საიას ზუგდიდის ოფისის სხვა აქტივობებში.

უკვე მესამე წელია, საიაში ვმუშაობ. აქ მოსვლამდე არ მქონდა მუშაობის გამოცდილება და არ გამაჩნდა აუდიტორიასთან კომუნიკაციის სათანადო უნარები. საიამ შესაძლებლობა მომცა, არა მხოლოდ გავზრდილიყავი პროფესიულად, არამედ, ასევე, მასწავლა ადამიანებთან ურთიერთობა, გუნდური/ინდივიდუალური მუშაობა, ანალიტიკური აზროვნება, ადამიანური და მატერიალური რესურსების სწორად გამოყენება, დროის ეფექტურად განაწილება, პროექტების მართვა, ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარება, ტრენინგებისა და საჯარო შეხვედრების გამართვა და ა.შ.

საია არის არა მხოლოდ სამსახური, არამედ სახლი, სადაც ყოველდღე ახლობელი ადამიანები მელოდებიან. #მემიყვარსსაია

მარიამ გოროზია – საიას ზუგდიდის ოფისის თანამშრომელი

2006 წელს, მაშინ, როცა „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო – საქართველო“ ყალიბდებოდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძლიერი, სანდო და ავტორიტეტული სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერას. მხარდამჭერთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელთანაც პარტნიორობა დღემდე გრძელდება. საიასთან თანამშრომლობით წარმატებით განხორციელდა არაერთი პროექტი, რომელთა ფარგლებში, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, პოზიტიური შედეგები იყო მიღწეული.

საზოგადოებრივი სექტორისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში, მნიშვნელოვანია საიას მსგავსი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელთა ღირებულებები ყოველთვის კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების ზღვარზე გადის! საიასთან თანამშრომლობა – ეს არის ნათელი შუქი სანდოობის, დონორებთან ეფექტური ურთიერთობისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით.

დადებითი მომენტი რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა და ლიდერების გამოკვეთის ტენდენცია, თუმცა, იმავდროულად, მნიშვნელოვანია გამოცდილ, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მქონე ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, რომელიც, თავის მხრივ, პოზიტიურ გავლენას ახდენს რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე.

ნინო ხუხუა – ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო

საქართველოს ჰყავს ძალიან აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც არაერთ პროფესიონალ, გავლენიან და იდეალებისთვის მებრძოლ აქტორს აერთიანებს. მსგავსი შეფასება უდავოდ სამართლიანია საიას მიმართ. როგორც სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ძველი წარმომადგენელი საქართველოში, საია მუდმივად ფებს უწყობს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს და, როგორც პროაქტიულად, ისე რეაქტიულად მუშაობს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კარგი მმართველობის მიმართულებით არსებული გამოწვევების დასაძლევად.

ჩემთვის შთამბეჭდავია, რომ საია ახერხებს, შეინარჩუნოს მიუკერძოებელი ორგანიზაციის რეპუტაცია, მიუხედავად იმისა, რომ მისი დამფუძნებლები, ყოფილი წევრები და ხელმძღვანელები დღეს ქართული პოლიტიკისა და სამთავრობო ინსტიტუტების ფართო სპექტრს წარმოადგენენ.

ჩვენი უშუალო თანამშრომლობა საიასთან კარგად ასახავს მისი საქმიანობის მრავალფეროვნებას – მხოლოდ 2016 წელს ჩვენ მხარი დავუჭირეთ მათ საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, საჯარო შესყიდვების, საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის, ოჯახში და გენდერული ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ საია შესანიშნავი პარტნიორია, ასევე, მაღლობა მათ, რომ მუდმივად საქმის კურსში გვამყოფებენ მიმდინარე აქტუალურ საკითხებსა და მათ მნიშვნელობაზე.

ვულოცავ საიას კიდევ ერთ ნაყოფიერ წელს და ვუსურვებ კიდევ ბევრ წარმატებას. ასევე ვუსურვებ, საკუთარ თავზე ზრუნვაც არ დაივიწყონ.

იოს დაუმა – ჰოლანდიის ელჩი საქართველოში

საიასთან ჩემი ურთიერთობა 2007 წელს დაიწყო. სკოლაში სწავლის პერიოდში, დებატ-კლუბში ტურნირებისათვის მზადების პროცესში გავიგე, რომ არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც უფასო იურიდიულ კონსულტაციებს გასცემდა. პირველად სწორედ მაშინ შევადე საიას ოფისის კარი, რომელიც დღემდე, უკვე წლებია, იღება ჩემთვის. მას შემდეგ საიაში სიარული არ შემინწყვეტია.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, უკვე უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა, მონაწილეობა მივიღე საიას სადამკვირვებლო მისიაში. არჩევნების შემდგომ გავიარე სტაჟორთა შესარჩევი კონკურსი. 2013-2014 წლებში კი ვასრულებდი წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორის ფუნქციას და ვხელმძღვანელობდი საიას რუსთავის ოფისის დებატ-კლუბსა და საკვირაო სკოლას. 2016 წლიდან ვარ საიას რუსთავის ოფისის იურისტი და საარჩევნო პროექტის ანალიტიკოსი. საიას გუნდის წევრობა სასიხარულო და, იმავდროულად, ძალიან საპასუხისმგებლოა. საიაში მუშაობამ შემძინა თავდაჯერებულობა, მომცა სამუალები, დავხმარებოდი უამრავ ბენეფიციარს, დამეცვა ამომრჩეველთა უფლებები და მცირეოდენი წვლილი შემიტანა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის ბრძოლაში. დღეს საია არის ორგანიზაცია, რომელსაც ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი უკავია.

გვანცა საკანელაშვილი – საიას რუსთავის ოფისის თანამშრომელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია) და ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს (NDI) ერთმანეთთან მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებთ. უზომოდ ვაფასებთ იმ სასიცოცხლო როლს, რომელსაც ორგანიზაცია საქართველოში დემოკრატიის გაძლიერების საქმეში ასრულებს. მიმდინარე რეფორმებსა და პოლიტიკურ პროცესებზე საიას სიღრმისეული ანალიზი და რეკომენდაციები ხელს უწყობს სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, ასევე, მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. წლებია, რაც საიას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ადამიანის უფლებების დაცვაში, მონყვლადი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესებაში, უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით, საიამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა საარჩევნო პროცესების დახვეწასა და არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობის გაძლიერებაში. ჩვენი სადამკვირვებლო მისიების ფარგლებში, მნიშვნელოვნად ვეყრდნობით საიას დასკვნებს. კვლავაც დიდი სიამოვნებით ვაგრძელებთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას და გვჯერა, რომ საიას საქმიანობა წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და მდგრადი პროგრესის ქვაკუთხედს.

ლორა ლ. თორნტონი – ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში (NDI)



სამოქალაქო მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობა თბილისში“ 2013 წელს დაარსდა.

ამ 4 წლის განმავლობაში, საია, როგორც დამცველი და მრჩეველი, მუდმივად ჩვენს გვერდში იდგა. ორგანიზაციის წარმომადგენლები გამოდიოდნენ ჩვენს ადვოკატებად არაერთ სასამართლო პროცესზე და ჩვენ მიმართ განხორციელებული უსამართლო ქმედებებისგან გვიცავდნენ. ყველა აქტიურმა პარტიზანმა მებაღემ იცის, რომ დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლია დაურეკოს საიას წარმომადგენელს, რომელიც მას დაეხმარება და ყველა საჭირო რჩევას მისცემს. და ეს ეხება არა მხოლოდ პარტიზან მებაღეებს, არამედ ასევე ჩვენს მეგობარ აქტივისტებს სხვადასხვა სფეროდან.

გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ – რომ არა საია, ისედაც ახალშობილი და სუსტი სამოქალაქო აქტივიზმი ვერ განვითარდებოდა და გაძლიერდებოდა.

ნატა ფერაძე – სამოქალაქო მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობა თბილისში“

იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარების შემდეგ აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას ვენეოდი. ხშირად მესმოდა იმ საქმეების შესახებ, რომლებსაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახორციელებდა და მინდოდა ამ დიდი ოჯახის წევრი მეც გავმხდარიყავი. 2016 წელს საიას სტაჟირების 8 თვიან პროგრამაში ჩავერთე, რამაც ჩემს პროფესიულ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში დამხვდა პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი – კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობებით. სტაჟირების პროგრამის დასრულების შემდეგ მონაწილეობა მივიღე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საიას სადამკვირვებლო მისიაში. შემდგომი ნაბიჯი საიაში ჩემთვის ყველაზე გამორჩეულ პერიოდს – საკვირაო სკოლის პროგრამას უკავშირდება, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებს სამართლებრივი ხასიათის ტრენინგებს ვუტარებდი. ეს იყო განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი გამოცდილება და დიდი მოტივაცია, რომელსაც მოსწავლეებისგან წამოსული ენერჯიაც მაძლევდა.

ამჟამად ვარ საიას გრძელვადიანი დამკვირვებელი. ყოველი დღე ამ ორგანიზაციაში ახალი ინფორმაციის მიღებისა და დამატებითი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის შეძენის დღეა. საია ჩემთვის განუყოფელ ნაწილად იქცა, რომელიც პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში მეხმარება.

ლაშა ხუციშვილი – საიას რუსთავის ოფისის თანამშრომელი



საკონსტიტუციო რეფორმა

2016 წლის დეკემბერში ხელისუფლებამ დაიწყო საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის დეკლარირებულ მიზანს წარმოადგენდა კონსტიტუციის სრულ შესაბამისობაში მოყვანა საკონსტიტუციო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და, ასევე, ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების ინტერესების შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება.



კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე), საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია, საკონსტიტუციო ორგანოების, საექსპერტო წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის, საიას თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტს უარი ეთქვა კომისიის თანათავმჯდომარეობაზე, მისმა წარმომადგენლებმა კომისიის მუშაობაში ჩართვაზე უარი განაცხადეს.

კომისია, ძირითადად, სამუშაო ჯგუფების (სულ ოთხი) ფორმატში საქმიანობდა. საია

წევრის სტატუსით წარმოდგენილი იყო ორ ჯგუფში: პირველი – ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულისა და ზოგადი და გარდამავალი დებულებების საკითხთა სამუშაო ჯგუფი; და მეორე – საქართველოს პარლამენტის, ფინანსებისა და კონტროლის და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი.

კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზით ხასიათდებოდა, კერძოდ:

შემჭიდროებული ვადა: საკონსტიტუციო კომისიას სამუშაოდ მხოლოდ ოთხთვიანი ვადა მიეცა, რაც არაერთხელ შეფასდა, როგორც მეტად მცირე ვადა მოცემული სამუშაოს ჯეროვნად შესასრულებლად. ფორსირებულად წარიმართა პროექტის განხილვა საპარლამენტო ფორმატშიც, რაზეც მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა არასამთავრობო სექტორმა.

შემადგენლობა: კომისია, ძირითადად, იურიდიული სფეროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა, რამაც მნიშვნელოვნად დააკნინა კონსტიტუციის გადახედვის პროცესში კომისიაში მიმდინარე დისკუსიების სიღრმე მთელ რიგ სფეროებთან მიმართებით.

საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი: დებულებით არ იყო განსაზღვრული და პრაქტიკაშიც ბუნდოვანი დარჩა სამუშაო ჯგუფებში საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი.

ღიაობა და გამჭვირვალობა: სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა, ერთი შეხედვით, გახსნილი იყო, როგორც კომისიის წევრების, ასევე დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის. ნები-სმიერ პირს შეეძლო, საკუთარი მოსაზრებები წარედგინა კონსტიტუციის არსებულ ტექსტთან დაკავშირებით. თუმცა, პრობლემური იყო წარდგენილი მოსაზრებების შემდგომი განხილვის პრაქტიკა. სამუშაო ჯგუფების სხდომის ოქმების გამოქვეყნების ვალდებულება არც კომისიის მუშაობის პერიოდში და არც შემდგომ არ შესრულებულა. როგორც კომისიის, ისე სამუშაო ჯგუფების სხდომები დახურული იყო მედიისთვის.

საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში წამოჭრილი რამდენიმე საკითხი საზოგადოებაში აზრთა არსებით სხვადასხვაობას იწვევდა: საარჩევნო სისტემა; პრეზიდენტის არჩევნის წესი; ქორწინების განსაზღვრა კონსტიტუციაში, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი; მინის გასხვისებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

კომისიის მუშაობის ბოლო ეტაპზე საკონსტიტუციო კომისია პროტესტის ნიშნად დატოვეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა იმ მოტივით, რომ მათი კომისიაში ყოფნა ვერ ახდენდა გავლენას დოკუმენტის შინაარსზე, უფრო კონკრეტულად კი – საარჩევნო სისტემაზე.

მიუხედავად კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტისთვის დამახასიათებელი ნეგატიური ასპექტებისა, საია, კომისიის წევრის სტატუსით, ბოლომდე მონაწილეობდა კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებულ განხილვებში.

საკონსტიტუციო კომისიის დასკვნით სხდომაზე, 2017 წლის 22 აპრილს, კენჭი ეყარა საბოლოო დოკუმენტს როგორც ნაწილობრივ (თავების და/ან მუხლების მიხედვით), ასევე ერთიანობაში. ერთიანი დოკუმენტი მხარდაჭერილი იყო 43 ხმით 8-ის წინააღმდეგ. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტს მხარი არ დაუჭირეს ომბუდსმენმა, არასამთავრობო და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებმა, მათ შორის, საიას თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი.

იმ საკითხების ადვოკატირება, რომლებიც კომისიამ არ გაითვალისწინა, საიამ საკომიტეტო მოსმენის ფორმატშიც გააგრძელა, რაც ძალზე ფორსირებულად წარიმართა, თუმცა, ორგანიზაციის რეკომენდაციები ამჯერადაც არ გაითვალისწინეს. საიას წარმომადგენლები ასევე მონაწილეობდნენ კონსტიტუციის პროექტის საერთო სახალხო განხილვებში რეგიონებში. ამ პროცესში ნათელი გახდა, რომ განვლილი წლების მანძილზე დანერგილი მანკიერი პრაქტიკა, რა დროსაც საერთო სახალხო განხილვები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მის მიზანს არ წარმოადგენდა საზოგადოების აზრის მოსმენა, სამწუხაროდ, ვერც 2017 წელს შეიცვალა.

საკონსტიტუციო რეფორმაზე მუშაობის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორს წარმოადგენდა ვენეციის კომისია, რომელიც ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევდა. საია ინტენსიურად თანამშრომლობდა ვენეციის კომისიასთან და არაერთი წერილობითი მოსაზრება მიანოდა სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, საიას თავმჯდომარე რამდენჯერმე შეხვდა კომისიის წარმომადგენლებს. სამწუხაროდ, მიუხედავად ხელისუფლების მიერ გაკეთებული თავდაპირველი დაპირებისა, რომ კომისიის ყველა რეკომენდაციას გაიზიარებ-

და, ასე არ მოხდა. კონსენსუსის მიუღწევლობის, პროცესის ხარვეზების, მათ შორის იმის გამო, თუ როგორ წარიმართა ურთიერთობა ვენეციის კომისიასთან, კომისიის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ იმედგაცრუებული იყო.

სამწუხაროდ, ახალი კონსტიტუციის ირგვლივ ვერ იქნა მიღწეული ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური კონსენსუსი და მთელი პროცესი მკვეთრი დაპირისპირებისა და მზარდი პოლიტიკური პოლარიზების ფონზე წარიმართა. პარ-

ლამენტის მიერ კონსტიტუციის მესამე მოსმენით მიღების შემდეგ პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება და 6 საკითხზე მოტივირებული შენიშვნები წარადგინა, თუმცა, პარლამენტმა ვეტო დაძლია.

ახალი კონსტიტუციის მიღებიდან მალევე, ხელისუფლებამ წარმოადგინა კონსტიტუციაში შესატანი რამდენიმე ახალი ცვლილების პროექტი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა კონსტიტუციაზე მუშაობის პროცესის პრობლემურობა და ნაჩქარევი ხასიათი.

განხილვების შედეგად, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის და პარლამენტის მიერ საბოლოოდ მხარდაჭერილი კანონის პროექტის თანახმად, **გათვალისწინებული იყო საიას მიერ წარდგენილი მოსაზრებების ნაწილი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:**

- ქვეყნის საგარეო მიმართულებად ევრო-ატლანტიკური კურსის განსაზღვრა.
- დისკრიმინაციის აკრძალული საფუძვლების არაამომწურავად განსაზღვრა შესაბამის მუხლში.
- ფორმალური თანასწორობიდან არსებითი თანასწორობის მოდელზე გადასვლა.
- პროკურატურის განსაზღვრა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ უწყებად.
- მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების გაწერა კონსტიტუციაში.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უმთავრეს დანიშნულებად სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის განსაზღვრა.
- შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმება და პროპორციულ სისტემაზე გადასვლა (2024 წლიდან).

თუმცა, არსებობდა გარკვეული საკითხები, რომლებიც, ორგანიზაციის არაერთი მცდელობის მიუხედავად, არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ საბოლოოდ მხარდაჭერილი კონსტიტუციის გადასინჯვის კანონის პროექტში. რეკომენდაციები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- შრომის უფლებების ეფექტური დაცვის მექანიზმის შექმნა.
- დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა.
- კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის არჩაწერა.
- ეკონომიკური და სოციალური უფლებების განხორციელების გარანტიების დადგენა.
- მოსამართლეთათვის სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გაუქმება.
- პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის შენარჩუნება და ა.შ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები: საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები

საქართველოს ხელისუფლებამ 2017 წელს კვლავ უცვლელად დატოვა შერეული საარჩევნო სისტემა საპარლამენტო არჩევნებისთვის.

ამ სისტემაში ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს კონკრეტული პარტიის მიერ მიღებული ხმების არაპროპორციული ასახვა მის მიერ პარლამენტში მოპოვებულ მანდატებში. გარდა ამისა, არსებობს ამომრჩეველთა ხმების დაკარგვის საფრთხეც. სწორედ ამის გამო, საარჩევნო სისტემა არაერთხელ გახდა როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი.

წლის განმავლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა საარჩევნო კანონმდებლობის კუთხით არათუ გამოასწორა არსებული ხარვეზები, არამედ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების იდეა. არაერთი მონოდების მიუხედავად, სრულყოფილი და ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა 2016 წლის არჩევნების დღეს და წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ ყურადსაღებ ინციდენტებზე, მათ შორის, ძალადობრივ ფაქტებზე.



საანგარიშო პერიოდში საიას აგრძელებდა აქტიურ მუშაობას როგორც საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების ადვოკატების, ასევე, უშუალოდ საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებისა და პრობლემების იდენტიფიცირების მიმართულებით. აღნიშნული გამოწვევების დაძლევის უზრუნველყოფად, ორგანიზაცია იყენებდა სამართლებრივ მეთოდებსა და წნობიერების აძლევების კამპანიებს.

საარჩევნო სისტემის კიდევართხელ გადავადებული რეფორმა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ მალევე დაიწყო მუშაობა საკონსტიტუციო რეფორმაზე. „ქართული ოცნება“ საზოგადოებას დაჰპირდა, რომ 2020 წლისთვის საარჩევნო სისტემა შეიცვლებოდა და გახდებოდა უფრო სამართლიანი.

საია ჩაერთო და უშუალოდ მონაწილეობდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. საარჩევნო სისტემის რეფორმა კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე ყველა პოლიტიკური პარტიისთვის. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო რეფორმის დაწყებამდე, საარჩევნო სისტემის ირგვლივ, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის უკვე არსებობდა უპრეცედენტოდ ფართო კონსენსუსი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებასა და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რასაც წლების მანძილზე საერთაშორისო ორგანიზაციებიც უჭერდნენ მხარს.

კომისიის 4 თვიანი საქმიანობის შედეგად, მმართველმა გუნდმა საარჩევნო სისტემის ახალი მოდელი წარმოადგინა. პროექტით შემოთავაზებული იყო შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმება და პარლამენტის არჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, რაც ნამდვილად მისასალმებელ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. თუმცა, სადავო გახდა მანდატების განაწილების წესი. კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებდა არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტიისთვის ულიმიტო ბონუსის შემოღებას, რომლის მიხედვითაც, ყველა გაუნაწილებელი

მანდატი ერთ პარტიას მიეკუთვნებოდა. საარჩევნო სისტემის ეს ასპექტი უსამართლო იყო და მნიშვნელოვნად აკნინებდა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებით მიღებულ პოზიტიურ შედეგს. ამასთან, საარჩევნო ბლოკები უქმდებოდა, რაც, 5%-იანი ბარიერის შენარჩუნების პირობებში, აჩენდა რისკებს, რომ არჩევნების შედეგად მაღალი იქნებოდა გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა, ხოლო მათი ერთი პარტიისადმი მიკუთვნება საფრთხეს შეუქმნიდა პოლიტიკურ პლურალიზმს და ხელს შეუწყობდა ძალაუფლების ხანგრძლივ კონცენტრაციას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში. აგრეთვე, შემოთავაზებული ცვლილებებით უქმდებოდა პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი და ის აირჩეოდა არაპირდაპირ, პარლამენტის მიერ.

საბოლოოდ, ვარიანტი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ ბოლო სხდომაზე მიიღო, კვლავ შეიცვალა. ბონუს სისტემა გაუქმდა, მაგრამ გუნდში შეუთანხმებლობის მოტივით, არსებული ყველა მოლოდინის, ვენეციის კომისიის რეკომენდაციისა და სამოქალაქო საზოგადოების მოწოდებების, ასევე, პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საპირისპიროდ, მმართველმა გუნდმა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2024 წლამდე გადაავადა. შესაბამისად, კვლავ შენარჩუნდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა. 2020 წლისთვის, როგორც გარდამავალი პერიოდისთვის, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გადამწყვეტად საარჩევნო ბლოკების შენარჩუნებით, 3%-იანი ბარიერის პირობებში, რაც შესაბამისად გაინერა კონსტიტუციაში. რაც შეეხება პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას, ეს მოდელი 2023 წლიდან ამოქმედდება.

საარჩევნო რეფორმის ხელშეწყობის მიმართულებით, საიამ საანგარიშო პერიოდში შემდეგი საქმიანობა გასნია:



- კომისიის წევრის სტატუსით, საიას თავმჯდომარე და თანამშრომლები, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში, აქტიურად იყვნენ ჩართულნი კონსტიტუციური რეფორმის პროცესში, ასევე, მონაწილეობდნენ რეფორმის ირგვლივ მიმდინარე საჯარო დისკუსიებსა და დებატებში. საიამ არ დაიშურა ძალისხმევა, ხელი შეეწყოს კონსტრუქციული, ყოვლისმომცველი და კონსენსუსზე დაფუძნებული რეფორმის პროცესისა და შედეგისათვის.
- ორგანიზაციამ არაერთი წერილობითი რეკომენდაცია წარუდგინა საკონსტიტუციო კომისიას, მათ შორის – რეკომენდაციები საარჩევნო სისტემასა და პრეზიდენტის არჩევის წესზე. საიამ, ასევე, არაერთხელ, ინდივიდუალურად და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, წერილობით შეაფასა რეფორმის პროცესი თუ შინაარსობრივი მხარე.
- საიას წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხ-

- იღვებში, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა.
- ორგანიზაცია ასევე აქტიურად ადვოკატირებდა ვენეციის კომისიის წინაშე, რომელმაც კონსტიტუციის პროექტის შესახებ, სხვადასხვა ეტაპზე, თავისი დასკვნები და რეკომენდაციები მოამზადა. საიას თავმჯდომარე მონაწილეობდა გერმანიის განვითარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ბერლინის კონფერენციაში, სადაც ხელისუფლების, ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოების, ვენეციის კომისიისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსტიტუციის კანონპროექტის განხილვა.
- საკონსტიტუციო კომისიის ბოლო სხდომაზე, 22 აპრილს, საიას თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მოუწოდა მმართველ გუნდს და კომისიის წევრებს, არ მიეღოთ კონსტიტუცია, რომელიც არ ეფუძნებოდა ფართო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონსენსუსს და არსებითად არ აუმჯობესებდა საარჩევნო სისტემის მანკიერ მხარეებს.

● კომისიის ბოლო სხდომაზე, კომისიის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან ერთად, საიამ წარადგინა ალტერნატიული წინადადებები, რომლებიც, შემოთავაზებულ პროექტთან შედარებით, მანდატების განაწილების უფრო სამართლიან წესს ითვალისწინებდა, მათ შორის, სახელისუფლებო სტაბილურობის შენარჩუნების უზრუნველყოფით, რაც ამ კუთხით მმართველი გუნდის უმთავრესი არგუმენტი იყო. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო კომისიამ ალტერნატიული წინადადებები არ გაიზიარა.

საქმიანობა საარჩევნო კანონმდებლობის განსაზღვრებასთან დაკავშირებით

2017 წლის 5 ივნისს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომელიც, სხვა ცვლილებებთან ერთად, ითვალისწინებდა ცვლილების შეტანას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესში. კანონპროექტის მიღების მიზანს საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც სტაბილური ინსტიტუციის, საქმიანობის გაუმჯობესება წარმოადგენდა, თუმცა, ცვლილებები მეტად პრობლემური იყო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ სანდოობის შენარჩუნების კუთხით, ისე პოლიტიკურ ძალებს შორის თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან ის ცალსახად ემსახურებოდა საარჩევნო ადმინისტრაციაში მმართველი პარტიის პოზიციების განმტკიცებას. ცვლილება მმართველი გუნდის დეპუტატების მიერ მომზადდა და, პროექტის მიხედვით, ის ძალაში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ უნდა შესულიყო.

ვინაიდან პროექტი ზრდიდა საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიზირების რისკებს, საიამ მოუწოდა საქართველოს

პარლამენტს, არ დაეჭირა მხარი აღნიშნული ცვლილებებისთვის.

სადავო პროექტთან დაკავშირებით საიამ პარლამენტში წარადგინა კონკრეტული მოსაზრებები. ამასთან, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაში. პარლამენტმა სადავო პროექტი დაამტკიცა, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა მას ხელი არ მოაწერა და მოტივირებული შენიშვნებით საკანონმდებლო ორგანოს უკან დაუბრუნა. საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი საჭიროებს ძირეულ ცვლილებას. საიამ იზიარებს მოსაზრებას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ზედა რგოლები მხოლოდ პროფესიული ნიშნით არჩეული, დამოუკიდებელი წევრებით უნდა დაკომპლექტდეს, რაც გაზრდის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას. ხოლო გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა.

საქმიანობა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონმდებლობის განსაზღვრებასთან დაკავშირებით

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით არსებობს პრობლემები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს და, ძირითადად, ისინი უკავშირდება პარტიების დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კერძოდ, ბუნდოვანი და გაუმართავია სახელმწიფო დაფინანსების გამოსათვლელი ფორმულის ზოგიერთი კომპონენტი, ასევე, არსებული რეგულაციები ქმნის არასწორ სტიმულებს ისეთი საარჩევნო ბლოკების შესაქმნელად,



რომელთა ძირითადი მიზანი დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების და სხვა დაუმსახურებელი პრივილეგიების მოპოვებაა, რაც საკონსტიტუციო კომისიის მუშაობისას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ საარჩევნო ბლოკების გაუქმების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელდა. ასევე მანკიერია ფრაქციის შექმნისთვის პარტიის დაფინანსების პრინციპი, ვინაიდან საპარლამენტო ფრაქციის შექმნა პარტიისთვის დამატებით მიღწევას წარმოადგენს.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით, არასაკმარისი სიცხადის გამო, საიამ აზრით, ცესკომ მოახდინა არსებული რეგულაციების არასწორი ინტერპრეტაცია და, შედეგად, პარტიამ „მრეწველობა გადაარჩინა საქართველოს“ დაფინანსების სახით მიიღო 300,000 ლარი. ეს მაშინ, როდესაც პარტიამ ვერ გადალახა საჭირო 3%-იანი ბარიერი და პარლამენტში გაიყვანა მხოლოდ ერთი მაჟორიტარი დეპუტატი. სწორედ ამიტომ, მიმდინარე წლის განმავლობაში, საიამ, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორ-

განიზაციებთან ერთად, შეიმუშავა რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით არსებული ძირითადი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

რეკომენდაციები ითვალისწინებს: საარჩევნო ბლოკის ინსტიტუტის შენარჩუნებას, არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისთვის ერთნაირ სარგებელს, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტში დაფინანსების ფორმულიდან 3 კომპონენტის ამოღებას, აგრეთვე, სხვა თანმდევი ცვლილებებს. რეკომენდაციების თანახმად, საარჩევნო სუბიექტი დაფინანსებას მიიღებს ბოლო ადგილობრივი ან/და საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით. ე.წ. კომპონენტების შერევა დაშვებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე არჩევნებში სუბიექტმა გადალახა 3%-იანი ბარიერი.

აღნიშნული რეკომენდაციები საიამ გააცნო პოლიტიკურ პარტიებს, ამასთან, 2017 წლის 13 იანვარს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს ოფიციალურად წარუდგინა სხვა წინადადებებთან ერთად – იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა ასახვაც უნდა მომხდარიყო 2017-2018 წლების ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. არაერთი სამუშაო შეხვედრისა და შეთავაზებული საკითხების დეტალურად განხილვის შემდეგ, 2017-2018 წლების ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინეს პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარდგენილი წინადადებები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსებასა და ამომრჩევლის მოსყიდვის რეგულაციების გადახედვას/გაუმჯობესებას შეეხებოდა.

თვითგარკვევის სახელით თვითგარკვევის წინააღმდეგ



წლი პრინციპები და ვალდებულებები.

სწორედ დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, ახალმა ხელნისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტად თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება დაისახა. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ეფექტური თვითმმართველობის განხორციელება წარმოადგენს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ბევრი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნის მსგავსად, საქართველომაც შეცვალა და დახვეწა კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის კუთხით. შესაბამისად, კანონში გაჩნდა ახალი ჩანაწერები მოქალაქეთა მონაწილეობისა და თვითმმართველობების მიერ ადგილობრივი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 26 ოქტომბერს განახორციელა 1985 წლის 15 სექტემბერს საერთაშორისო ხელშეკრულებად მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა ქარტიით დადგე-

ვის. სტრატეგიის მიხედვით, რეფორმის განხორციელება რამდენიმე ეტაპად დაიყო.

პირველ ეტაპზე დაიგეგმა 2013-2014 წლებში სხვადასხვა სამართლებრივი, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელება, რათა 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის ახალი სისტემის ფორმირების მნიშვნელოვანი ეტაპის ამოცანები დეცენტრალიზაციის მიმართულებით შესრულებული ყოფილიყო. მეორე ეტაპზე, არჩევნების შემდგომ, დაიგეგმა ახლად ჩამოყალიბებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური, მართვის ეფექტიანობისა და დემოკრატიულობის მიმართულებით.

რეფორმის პირველ ეტაპზე გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და მოხდა მერების/გამგებლების პირდა-

პირი წესით არჩევა. აღნიშნული ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასეს ევროსაბჭომ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რაც შესაბამისად აისახა საქართველოს რეიტინგის ზრდაზე Freedom House-ის 2015 წლის მოხსენებაში.

ამ ყველაფრის ფონზე, არსებობდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მთავრობა თანმიმდევრულად განახორციელებდა თვითმმართველობის სტრატეგიით განსაზღვრული რეფორმის მეორე ეტაპის საქმიანობებსაც, მათ შორის, მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ოპტიმიზაციას. მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში იმედი გაჩნდა, რომ ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე თვითმმართველობა ინსტიტუციურად კიდევ უფრო მეტად განმტკიცდებოდა. თუმცა, ნაცვლად ამისა, საქართველოს მთავრობამ 7 ქალაქს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი გაუუქმა, რაც, ერთმნიშვნელოვნად, რეფორმის დეკლარირებული პრინციპებიდან გადახვევას წარმოადგენდა. კერძოდ, 2017 წლის 18-22 მაისს, შემჭიდროებულ ვადებში, თელავის, გორის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში საკრებულოს რიგგარეშე სხდომები გაიმართა, რომლებზეც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოიწონეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ კონსულტაციის მიზნით გაგზავნილი წინადადებები და მოსაზრებები 14 მუნიციპალიტეტის (მათ შორის, 7 თვითმმართველი ქალაქის) გაუქმებისა და თვითმმართველი თემების გაერთიანების შესახებ.

აღნიშნული პროცესები წარიმართა საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და მათი პოზიციების მოსმენის გარეშე. მართალია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გაგზავნილ მასალებს თან ერთვის

თითოეულ რეგიონში გამართული შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა, ამ დისკუსიებში მონაწილეობა არ მიუღიათ ადგილობრივი საზოგადოების, საექსპერტო წრეებისა და მედიის წარმომადგენლებს. შეხვედრებს ესწრებოდნენ მხოლოდ საჯარო მოხელეები, რითაც დაირღვა კანონის მოთხოვნები. გარდა ამისა, ცვლილებების დასაბუთება, რომელიც თვითმმართველობებში გაიგზავნა და რომელზეც სამთავრობო კომისია აპელირებდა, მოკლებული იყო საგნობრივ მსჯელობას. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით:

არ გაუმჯობესებულა მოქალაქეთა ჩართულობა, სერვისების ხარისხი და მათზე ხელმისაწვდომობა. დოკუმენტში არ არის ასახული ადგილობრივი მოსახლეობის აზრი თვითმმართველობაში მათი ჩართულობისა ან სერვისების გაუმჯობესება-გაუარესების თაობაზე. ასევე, დოკუმენტი არ მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებსა და ათვლის წერტილს, თუ რა მონაცემებთან ხდება სერვისების მიწოდების ხარისხის გაუარესებისა თუ გაუმჯობესების კუთხით არსებული მდგომარეობის შედარება.

● **მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად არ გაზრდილა მათი საკუთარი შემოსავლები.** თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთისა და გორის თვითმმართველ ქალაქებსა და თემებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკუთარი შემოსავლების მაჩვენებლები, რასაც ბოლო სამი წლის ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედარებითი ანალიზიც ადასტურებს.

● **რაც შეეხება ადმინისტრაციული ხარჯების გაორმაგებას, ხარჯვის ეფექტიანობის გაუარესებასა და სხვა საკითხებს, ამ შემთხვევაშიც სათანადოდ დადასტურებული ინფორმაცია და შესაბამისი არგუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა.**

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობებში დაჩქარებული წესით, შემჭიდროებულ ვადებში ჩატარდა ბიუროსა და საკრებულოს რიგგარეშე სხდომები. საკრებულოს წევრებს არ ჰქონდათ ინფორმაცია წინადადების შესახებ და წარდგინებას სხდომის მიმდინარეობის დროს, ადგილზე ეცნობოდნენ (მაგალითად, ოზურგეთში ერთ-ერთმა ფრაქციამ შეკრებაც კი ვერ მოასწრო, რომ საკითხთან დაკავშირებით, ფრაქციის დონეზე, პოზიცია დაეფიქსირებინა). მართალია, სხდომები საჯაროდ, თუმცა, ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა და, რიგ შემთხვევებში, საიასა და საზოგადოების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ კითხვების დასმის შესაძლებლობა. შესაბამისად, ერთი მხრივ, დაირღვა საკრებულოს რიგგარეშე სხდომების მოწვევის, ხოლო მეორე მხრივ, სხდომების წარმართვის წესი, რომლის თანახმადაც, საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, სხდომის მიმდინარეობისას ხელი შეიწყოს აზრის თავისუფლად გამოხატვას, საკითხის სრულყოფილად და ყოველმხრივ განხილვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა გააჩინა ეჭვები, რომ მიმდინარე პროცესები არ იყო მიმართული ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისა და დეცენტრალიზაციისაკენ, რაც 2014 წელს დაწყებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ძირითად კონცეფციას წარმოადგენდა.

თვითმმართველი ქალაქების განვითარება – ეს არის თანამედროვე სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ტენდენცია. საქართველოსთვის თვითმმართველი ქალაქების ჩამოყალიბების ხელშეწყობა კი, არა მარტო სახელმწიფოს ურბანული, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, არამედ ერთ-ერთი აუცილებელი მექანიზმია ქვეყნის მართვის ევრო-

პულ მოდელზე გადასასვლელად. თვითმმართველი ქალაქების გაუქმება და მათი კვლავ სათემო მუნიციპალიტეტებთან გაერთიანება შეაფერხებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის განვითარებასაც. გარდა ამისა, ქალაქი, რომელსაც არ ჰყავს მოსახლეობის მიერ არჩეული და მის წინაშე ანგარიშვალდებული ადგილობრივი ხელისუფლება, არ აქვს საკუთარი შემოსავლები, ქონება და ბიუჯეტი, კარგავს განვითარების სამომავლო პერსპექტივებსაც.

სამწუხაროა, რომ მთავრობამ აღნიშნული კანონპროექტის შემუშავების პროცესი წარმართა საზოგადოების წარმომადგენლებისა და ექსპერტების ყოველგვარი ჩართულობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის 29 მარტს საიამ, 130-მდე არასამთავრობო, სათემო და მედია ორგანიზაციასთან ერთად, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს მიმართა და გამოთქვა მზადყოფნა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, აღნიშნულ საკითხზე ფართო მსჯელობა გამართულიყო. სამწუხაროდ, მიმართვას ხელისუფლების მხრიდან არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია.

მთავრობის აღნიშნული ინიციატივის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება არა მარტო სამოქალაქო სექტორს, არამედ ზემოთ ხსენებული მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილსაც ჰქონდა. ეს განწყობა კიდევ ერთხელ ნათლად დადასტურდა რეგიონებში კონსტიტუციის განხილვის დროს მოქალაქეების გამოსვლებისას.

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, საბოლოოდ მიიღო დადგენილება N987-II, რომლითაც 7 ქალაქს თვითმმართველი ქა-

ლაქების სტატუსი გაუუქმა და გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის ახალი მუნიციპალიტეტები შექმნა. აღნიშნული დადგენილება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დანიშვნის დღეს ამოქმედდა.

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” მოთხოვნის – მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაციების გამართვის – ფარგლებში მიღებული დადგენილება საიამ 30 ივნისს სასამართლოში გაასაჩივრა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, სასამართლომ ზათილად ცნოს საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის დადგენილება №987-II გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ. თუმცა, ამ დრომდე პროცესები არ გამართულა.

პარალელურად, იმავე პერიოდში, მანამ სანამ პარლამენტის დადგენილება ახალი მუნიციპალიტეტების შექმნასთან დაკავშირებით ძალაში შევიდოდა, საქართველოს პარლამენტმა განიხილა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, შემცირდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და 2014 წელს რეფორმის ფარგლებში გაყოფილი მუნიციპალიტეტები კვლავ გაერთიანდა. ცვლილებები განხორციელდა საარჩევნო კოდექსშიც, რომლის მიხედვითაც, გაუქმე-

ბული ქალაქების წარმომადგენლობების გაძლიერების მოტივით საკრებულოებში გაზარდა ქალაქების წარმომადგენელი მაჟორიტარების რაოდენობა 2-დან 5-მდე, ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად.

საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, კანონპროექტზე ვეტოს დადების თხოვნით, საქართველოს პრეზიდენტს მიმართა.

პრეზიდენტმა გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია, გამოიყენა ვეტოს უფლება და, კონსტიტუციური და დემოკრატიული მექანიზმების გამოყენებით, კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს. აღნიშნულის მიუხედავად, პარლამენტმა 26 ივნისს პრეზიდენტის ვეტო დაძლია და, საბოლოოდ, ხელისუფლებამ 7 თვითმმართველ ქალაქს სტატუსი გაუუქმა. ამ გადაწყვეტილებამ ადგილობრივი მოსახლეობის, სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს მეთაურისა და პოლიტიკუ-



რი პარტიების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. პროცესი შეფასდა, როგორც უკან გადადგმული ნაბიჯი დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აზრით, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება:

- **გააუარესებს ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხს**, ვინაიდან შეიზღუდება როგორც ადგილებზე დასახლების საკითხების მოგვარების შესაძლებლობა, აგრეთვე, გართულება მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

- **შეაფერხებს ქალაქებისა და სოფლების სამომავლო განვითარებას**, ვინაიდან მუნიციპალიტეტებს აღარ ექნებათ დამოუკიდებელი ბიუჯეტები, როგორც ძლიერი ინსტრუმენტი ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრისა და პრობლემების მოგვარებისთვის.

- **შექმნის უთანასწორო პირობებს ქალაქისთვის**, ვინაიდან საკრებულოში, მუნიციპალიტეტის რამდენიმე ათეულ მაჟორიტართან ერთად, ქალაქიდან მაქსიმუმ 5 მაჟორიტარი იქნება წარმოდგენილი.

- **შეასუსტებს საზოგადოებრივ კონსენსუსს და საერთაშორისო მხარდაჭერას**, რადგანაც ამ საკითხზე გადაწყვეტილება მოქალაქეებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარეშეა მიღებული. აღნიშნული ფაქტი კი, ნეგატიურ გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სარეიტინგო შეფასებებზე.

- **კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველო-**

ბის არჩევნების დემოკრატიულობისა და სამართლიანობის ხარისხს, ვინაიდან ცესკოს მიერ გასაუქმებელ მუნიციპალიტეტებში შექმნილ საარჩევნო ოლქებში უკვე დანყებული იყო პოლიტიკური პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ გამგებლობისა თუ მერობის კანდიდატთა წარდგენა, აგრეთვე, დამკვირვებელი ორგანიზაციების სარეგისტრაციოდ ნომინირება. შექმნილი ვითარების გამო კი, საარჩევნო ადმინისტრაციებსა და სამართლოს მოუწიათ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღება, რითაც გაჩნდა პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის რისკები და შეიქმნა არაკონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო.

- **წარმოშობს მმართველობითი ხასიათის პრობლემებს**. 15 ივნისს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების აგვისტოს ბოლოს ამოქმედებით, იმ პერიოდისთვის არსებულმა 14-მა თვითმმართველმა ერთეულმა (საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა) არსებობა შეწყვიტა და სწორედ აგვისტოს ბოლოდან შეიქმნა 7 გაერთიანებული მუნიციპალიტეტი. აქედან გამომდინარე, გაუქმებული მუნიციპალიტეტების ორგანოები – საკრებულოები, მერები და გამგებლები, შესაბამისი ადმინისტრაციებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არსებობდნენ.

- **წარმოშობს საბიუჯეტო პრობლემებს**. აგვისტოს ბოლოსთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონში ისევ არსებობდა 14 მუნიციპალიტეტისთვის ცალ-ცალკე გათვალისწინებული გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელთა მიღებასა და ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – მუნიციპალიტეტები – აღარ არსებობდნენ.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

წინასაარჩევნო გარემოს შეფასება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგი საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით, დედაქალაქსა და საქართველოს 9 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში 20-მდე მონიტორის მეშვეობით, 1 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში განახორციელა. ორგანიზაციამ არჩევნებამდე გამოაქვეყნა წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის ორი ანგარიში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესები მეტწილად მშვიდ და კონკურენტულ გარემოში წარიმართა. საარჩევნო სუბიექტებმა შეძლეს საკუთარი პროგრამებისა და დაპირებების ამომრჩევლისათვის გაცნობა ამომრჩეველთან უშუალოდ შეხვედრებისა თუ წინასაარჩევნო მასშტაბური აქციებისა და ღონისძიებების



მეშვეობით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ არჩევნებზე კვლავ ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი კონკრეტული პარტიების თუ კანდიდატების პროგრამებზე (გამონაკლისს წარმოადგენდა თბილისი).

ძირითადად, პრობლემები დაფიქსირდა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს რეგიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა შიდაპარტიულ დაპირისპირებებსა და მძაფრი კონკურენტული გარემოს არსებობას.

წინასაარჩევნო პერიოდში აშკარა იყო მმართველი პარტიის დომინანტური მდგომარეობა, რაც პარტიების შემოწირულობებისა და წინასაარჩევნო ხარჯვის მხრივ არსებულ საგრძნობ დისბალანსშიც გამოიხატა.

ზოგიერთ შემთხვევაში, გამოძიება დაიწყო სავარაუდო ზენოლის ფაქტებზე, თუმცა, გამოძიების შედეგები საზოგადოებისთვის უცნობია. ასევე, რიგი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებაში გავრცელდა და საჭიროებდა შესწავლასა თუ გამოძიებას, რეაგირების გარეშე დარჩა.

მედიაგარემო წინასაარჩევნო პერიოდში მრავალფეროვანი იყო. არ გამოვლენილა ჟურნალისტებზე თავდასხმის ან ზენოლის ფაქტები. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩებოდა მედიის მკვეთრი პოლარიზება და მაუწყებელთა პოლიტიზირება. მიუხედავად ამისა, ტელევიზიების უმრავლესობამ აქტიურად გააშუქა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მათ შორის, ყველა ნაციონალურ ტელეარხზე მომზადდა გადაცემები დებატების ფორმატში.

კვლავ პრობლემას წარმოადგენდა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება იმ კადრებით, რომლებსაც გასულ წლებში მოვალეობის არასათანადოდ შესრულებისთვის დისციპლინური სანქციები ჰქონდათ დაკისრებული. ასევე, გაგრძელდა ტენდენცია პროფესიული ნიშნით კომისიის წევრებად ისეთი კანდიდატების არჩევასთან დაკავშირებით, რომლებსაც გარკვეული აფილიაციები ჰქონდათ მმართველ პარტიასთან.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილმა დარღვევებმა: ხაზი გაუსვა მთელი რიგი მიმართულებებით საკანონმდებლო რეფორმის აუცილებლობას; გამოკვეთა ის პრობლემები, რომლებიც კანონმდებლობის სწორი და თანმიმდევრული განმარტებისა და იმპლემენტაციის კუთხით არსებობდა; კიდევ ერთხელ გამოაშკარავა პოლიტიკური კულტურისა და შიდაპარტიული დემოკრატიის სიმწირე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა: სავარაუდო მუქარის/ზენოლის – 10-ზე მეტი, ფიზიკური დაპირისპირების – 7, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების – 9, წინასაარჩევნო ავიტარაში უკანონო მონაწილეობის – 5 და სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების – 1 ფაქტი.

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის კვლავ პრობლემად დარჩა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის საკითხი.

არჩევნების მონიტორინგმა გამოავლინა, რომ უზენების ნაწილი არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

კენჭისყრის დღე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღის მონიტორინგი თბილისსა და 9 რეგიონში – კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, იმერეთსა და აჭარაში განახორციელა. საია, საქართველოს მასშტაბით, 46 საარჩევნო ოლქში 300-ზე მეტი საარჩევნო უბნის დამკვირვებლისა და 150 მობილური ჯგუფის მეშვეობით დააკვირდა პრობლემურ უბნებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს. სადამკვირვებლო გამოცდილების გათვალისწინებით, ორგანიზაციის



განსაკუთრებული ყურადღება მიმართული იყო წინა არჩევნების დროს გამოკვეთილ პრობლემურ უბნებზე. აგრეთვე, დაკვირვება განხორციელდა ეროვნული უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში. წელს პირველად ორგანიზაციამ მონიტორინგი გაუწია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საარჩევნო უბნების ადაპტირების საკითხს. ასევე, პრიორიტეტული იყო ქალი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის საკითხის კვლევა.

კენჭისყრის დღეს საიამ 4 ბრიფინგი გამართა, ხოლო მომდევნო დღეს, 21 ოქტომბერს, არჩევნების დღე შეაჯამა.

კენჭისყრის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. მართალია, არ გამოვლენილა ძალადობის შემთხვევები, თუმცა, დაფიქსირდა რიგი დარღვევები, რომლებიც სცდებოდა პროცედურული ხასი-

ათის პრობლემებს (მაგალითად, დამკვირვებლებზე ზენოლა და მათთვის არახელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნა). არაერთ უბანზე დარღვევებით წარიმართა ხმის დათვლის პროცესი. დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც საოლქო კომისიამ არ უზრუნველყო უბნებიდან შემოსული შემაჯამებელი ოქმების ხელმისაწვდომობა დამკვირვებლებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება-დახარისხება ატარებდა ქაოტურ ხასიათს. არჩევნების დღეს, ცესკოს ჩარევის შედეგად, აღნიშნული დარღვევები აღმოიფხვრა.

კენჭისყრის დღის განმავლობაში საიას დამკვირვებლებმა დაწერეს 147 საჩივარი (აქედან – 66 საჩივარი საოლქო კომისიის ფონზე) და 162 შენიშვნა.



კონტროლი ამომრჩევლის მიერ ნების თავისუფლად გამოხატვაზე

კენჭისყრის დღეს კარგად ორგანიზებულ და მასშტაბურ ხასიათს ატარებდა მმართველი პარტიის მხრიდან ამომრჩევლის მონაცემების შეგროვება და ამომრჩეველთა მობილიზება ხმის მიცემის მიზნით, განსაკუთრებით თბილისში. მთელი დღის განმავლობაში, საარჩევნო უბნებზე, რეგისტრატორების გვერდით, უკან ან ნაკადის მომწესრიგებელთან იდგნენ „ქართული ოცნების“, „მემარცხენე ალიანსის“ ან სადამკვირვებლო ორგანიზაცია „ახალი სიტყვის“ წარმომადგენლები და აღრიცხავდნენ უბანზე მოსული ამომრჩევლის მონაცემებს.

დღის განმავლობაში ნათელი გახდა, რომ პოლიტიკური სუბიექტების ინტერესს წარმოადგენდა არა უბნებზე მისული ამომრჩევლის ზოგადი რაოდენობის, არამედ მათი ვინაობების დადგენა და არმისული ამომრჩევლის იდენტიფიცირება. არაერთმა ჩვენმა მონიტორმა დააფიქსი-

რა, რომ მას შემდეგ, რაც სუბიექტის წარმომადგენლები აღრიცხავდნენ უბანზე მისულ ამომრჩეველს, უკვე უბნის გარეთ მყოფი პარტიული კოორდინატორები საუბრობდნენ იმაზე, თუ ვინ არ იყო იმ დროისათვის გამოცხადებული უბანზე და ხდებოდა მათი მობილიზება ხმის მისაცემად.

აღნიშნული პროცესი საიამ შეაფასა, როგორც კონტროლი ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლენაზე. მიუხედავად ორგანიზაციის არაერთი მონოდებისა, მსგავს ფაქტებზე ცესკოს არათუ რეაგირება არ მოუხდენია, არამედ თავისი საჯარო განცხადებით გაამართლა და წაახალისა კიდევ.

საოლქო კომისიების სივრცითი მოწყობის პრობლემატიკა

2017 წლის არჩევნების შეფასებისას, საიამ ყურადღება გაამახვილა ასევე საოლქო საარჩევნო კომისიებში სივრცითი მოწყობის პრობლემაზე, რომელიც არაერთი წელია არსებობს და, მიმდინარე წლის აგვისტოში ცესკოს მიერ გაცემული შესაბამისი რეკომენდაციის მიუხედავად, არ აღმოფხვრილა.

საიას შეფასებით, საოლქო საარჩევნო კომისიების განთავსება და სივრცითი მოწყობა არ ქმნიდა სათანადო პირობებს პროცესებზე სრულყოფილი დაკვირვებისთვის. ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც კომისიის რიგი წევრები დღის სხვადასხვა მონაკვეთში ცალკე იკრიბებოდნენ გარკვეული საკითხების განსახილველად, თუმცა, ეს დისკუსიები, ოლქში მიმდინარე საერთო პროცესის პარალელურად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და მათი შინაარსი არ იყო ღია და ხელმისაწვდომი დამკვირვებლებისთვის. მსგავსი ფაქტები კი, ხელს უშლიდა საოლქო კომისიებში მიმდინარე საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ წარმართვას.

ბრძოლა სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის: რეფორმა პოლიტიკური ნების გარეშე

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ მმართველმა ხელისუფლებამ ვერ გამოავლინა პოლიტიკური ნება, შექმნას სასამართლოს დამოუკიდებლობის მყარი საკანონმდებლო გარანტიები, რითაც დაიწყება და შეუქცევადად გაგრძელდება სვლა სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობისკენ. სასამართლო სისტემის რეფორმირებისადმი სახელმწიფოს მიდგომა კვლავ ფრაგმენტული და არაეფექტური იყო. შედეგად, სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის ამოქმედებამ ვერაფერი შეცვალა სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების კუთხით. არაერთი გახმაურებული საქმის სასამართლო განხილვა, რომელსაც საია დააკვირდა და შეისწავლა, ადასტურებს შერჩევითი მართლმსაჯულების პრობლემის აქტუალურობას და შესაძლო პოლიტიკურ გავლენებს რიგ სასამართლო გადაწყვეტილებებზე. კვლავ პრობლემად რჩება საგამოძიებო და ძალოვან უწყებებზე ეფექტური სასამართლო კონტროლის განხორციელება.

სასამართლოს მონიტორინგი და მისი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა, ტრადიციულად, საიას საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ ამ კუთხით არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განახორციელა.

- საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, მოამზადა მასშტაბური კვლევა, რომელშიც კომპლექსურად არის გაანალიზებული განხორციელებული რეფორმე-

ბი და სასამართლოში არსებული მდგომარეობა, შემუშავებულია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებები იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა და სასამართლოს თავმჯდომარეთა შერჩევა/დანიშვნის, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების, მოსამართლის საქმიანობის პერიოდული შეფასების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, სასამართლოს ადმინისტრირებისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით. კვლევაში ასევე წარმოდგენილია



გენდერული საკითხებისადმი მოსამართლეთა განწყობების გამოკითხვის ანალიზი. კვლევა მომზადდა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ფარგლებში. კოალიცია აღნიშნულ დოკუმენტს აქტიურად იყენებს, როგორც სასამართლო სისტემაში განსახორციელებელი რეფორმების ადვოკატირების მნიშვნელოვან საშუალებას, ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.



● საიამ გააგრძელა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე დაკვირვება და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ ერთად გამოსცა მონიტორინგის მეხუთე ანგარიში, რომელშიც 2016 წლის დაკვირვების შედეგებია ასახული. მონიტორინგის ფარგლებში, პირველად შეფასდა და გამოვლინდა სასამართლოების თავმჯდომარეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის და პრაქტიკის სერიოზული ხარვეზები. განხორციელებული მონიტორინგი ადასტურებს, რომ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის, მოსამართლეთა გადაყვანის, დისციპლინური სამართალწარმოების მანკიერი პრაქტიკა, საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი, კანონმდებლობაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც დამკვირვებელი ორგანიზაციები 2011 წლიდან აფიქსირებენ, მიუხედავად გატარებული გარკვეული რეფორმებისა, დიდწილად კვლავ მოუგვარებელი რჩება.



საიამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პროტესტის ნიშნად უარი თქვეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის მეხუთე ანგარიშის საჯარო პრეზენტაციაზე და მოუწოდეს საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, დაუყოვნებლივ დაიწყონ სასამართლო სისტემის რეალურ რეფორმაზე მუშაობა.

● ცალკე ანგარიში გამოაქვეყნა საიამ გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა შეფასების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხოლოდ ფორმალურად ახდენს გამოსაცდელი ვადით დანიშნული

მოსამართლეების შეფასებას და გამოსაცდელი ვადის გავლის შემდეგ მათი უვადოდ დანიშვნა არ არის დასაბუთებული. ანგარიშში გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოსამართლეების დამოუკიდებლობას გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.

● წლის დასაწყისში საია საჯარო განცხადებებით გამოეხმაურა სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის კანონპროექტების მიღებას და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი არსებულ ხარვეზებს, ამასთან, საქართველოს პარლამენტს ვენეციის კომისიის რეკომენდაციების და პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების გათვალისწინებისკენ მოუწოდა. საანგარიშო პერიოდში საია ასევე საჯარო განცხადებებით გამოეხმაურა მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის, სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნისა და გათავისუფლების მანკიერ პრაქტიკას და საკითხის კანონით დარეგულირების საჭიროებას.

● საიამ პარლამენტს მიანოდა წერილობითი მოსაზრებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით იმ პირის გამწესების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც არის მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე და აქვს სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. გარდა შინაარსობრივი საკითხებისა, დასკვნაში ყურადღება გამახვილდა ცვლილებების ფორსირებულ რეჟიმში განხილვის პრობლემაზეც. სამწუხაროდ, საიას მოსაზრებები არ გაითვალისწინეს.

● საიამ პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება პარლამენტის რეგლამენტში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე, რომლებიც უზრუნველყოფდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და მოსამართლეთა სადისციპლიო კოლეგიის წევრების არჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და რეალურ შეჯიბრებითობას. თუმცა, პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები არ გაითვალისწინა.

● საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა არჩევის პროცესს, დაესწრო და შეაფასა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში საბჭოს წევრობის კანდიდატების მოსმენის პროცესი, ხოლო საპარლამენტო უმცირესობის მიერ საბჭოს წევრობის კანდიდატების მოსმენისას გამოიყენა კანდიდატებისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა. პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის პროცესს საია საჯარო განცხადებებით გამოეხმაურა. ასევე, ორგანიზაცია აკვირდებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევას მოსამართლეთა კონფერენციაზე.

- როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, საია აქტიურად მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში, რომელსაც სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიების გაზრდასთან დაკავშირებული წინადადებები წარუდგინა. აღნიშნული წინადადებები ნაწილობრივ იყო გათვალისწინებული.

- საია ვენეციის კომისიას აქტიურად აწოდებდა საკუთარ მოსაზრებებსა და ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო ცვლილებებზე დასკვნის მომზადების პროცესში. საიას ვრცელ წერილობით მიმართვაში ვენეციის კომისიისადმი, სხვა საკითხებთან ერთად, დეტალურად არის ასახული საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევები, სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები და მათი ეფექტურობა, ხაზგასმულია სასამართლოს სისტემური რეფორმის გატარების საჭიროება. ვენეციის კომისიის მიერ საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტზე მომზადებულ დასკვნაში კომისიამ რეკომენდაცია გაუწია საქართველოს სახელმწიფოს, უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა და საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა.

- საიამ გააგრძელა მართლმსაჯულების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობა, რომელთა მიერ მომზადებული სასამართლო რეფორმის 2017-2021 წლების სტრატეგიის და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტები დამტკიცდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. სასამართლო სისტემის სტრატეგია არის პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც სისტემური

მიდგომით ასახავს და ითვალისწინებს სასამართლოს დამოუკიდებლობის და ეფექტიანობის მიღწევისთვის გასატარებელ ღონისძიებებს. საია აგრძელებს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტური იმპლემენტაციის ხელშეწყობას.

- საიას შენიშვნები და წინადადებები სასამართლო ხელისუფლებაში კორუფციის პრევენციის საკითხებზე აისახა 2017-2018 წლების ეროვნულ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ არის დამტკიცებული.

- საიას მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები ასევე ასახულია ევროპის საბჭოს „კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის“ (GRECO) შეფასების მეოთხე ანგარიშში, რომელიც 2017 წლის დასაწყისში გამოიცა. ანგარიშში ითვალისწინებს მთელ რიგ რეკომენდაციებს საქართველოს სახელმწიფოს მისამართით სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენციის კუთხით, მათ შორის, რეკომენდაციას ობიექტური კრიტერიუმების, დამსახურების პრინციპისა და გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის თაობაზე.

- საიამ, კოალიციასთან – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ – ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოში წარმატებით დაასრულა დავა, რომელიც ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, კერძოდ – გასულ წელს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის პროცედურის გართულების თაობაზე.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმა საქართველოში არაერთი წელია მიმდინარეობს, ამ სფეროში მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავაც უპასუხოდ რჩება. ბუნდოვანი და ხარვეზიანი კანონმდებლობის გამო, მოსამართლეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს ექმნებათ დაბრკოლებები სწორი და ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით. თუმცა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც კანონმდებლობა გამართულია, ფიქსირდება კანონის არასათანადო განმარტებისა და გამოყენების ფაქტები, რაც ხელს უშლის სისხლის სამართლის სფეროში კარგი პრაქტიკის დამკვიდრებას.

სისხლის სამართლის პროცესი შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის შეჯიბრებით მოდელს და/ან ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპს. ამასთან, ბუნდოვანია ცალკეული დანაშაულების დისპოზიცია, რაც პროკურატურას ანიჭებს ფართო დისკრეციას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს და ეწინააღმდეგება კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნებს.

სისხლის სამართლის შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნები პრაქტიკაში ხშირად ირღვევა. გახმაურებულ საქმეებში ასევე ხშირია უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა და სისხლის სამართალწარმოებაში ამ მნიშვნელოვანი სტანდარტის უგულებელყოფა. არაერთი მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეზე ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან შეიმჩნევა გამოძიების დასრულებამდე წინასწარი დასკვნების გაკეთების და საზოგადოების აზრზე ზეგავლენის მცდე-

ლობის ტენდენცია. ხშირია შემთხვევები, როდესაც შესაბამისი ორგანოები საქმეს არასათანადო კვალიფიკაციით წარმართავენ, რაც არაეფექტურს ხდის დანაშაულის გამოძიებას. ხოლო თუ კვალიფიკაცია არ შეესაბამება რეალურად ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, არ ხდება მსხვერპლის მიერ გაცდილი ტანჯვის სათანადოდ აღიარება და შეფასება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა დაზარალებულის ფაქტობრივად უუფლებო მდგომარეობა. დაზარალებულს პირს არ აქვს შესაძლებლობა, ეფექტურად დაიცვას საკუთარი უფლებები და ინტერესები გამოძიებასა და სასამართლოში. ამასთან, პრაქტიკაში ხშირად მას გამოძიებელი არ ანიჭებს დაზარალებულის სტატუსს და ამით იმ მინიმალურ შესაძლებლობასაც ართმევს, რასაც კანონი ანიჭებს – გაეცნოს საქმის მასალებს.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს სასამართლო სხდომების საჯაროობის პრინციპის დარღვევა – ხშირად სასამართლო სხდომები იხურება სათანადო დასაბუთების გარეშე, განსაკუთრებით ისეთი საქმეების განხილვისას, რომელთა მიმართაც განუზომლად დიდია საზოგადოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესი.

არაერთი ანგარიშისა თუ რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება სასამართლოს მხრიდან პირის დაკავების კანონიერების ეფექტური კონტროლი; გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების დაუსაბუთებლობა; პროკურორის მიერ გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა; ჩხრეკისა და ამოღების საგ-

ამონაკლისო წესით ჩატარების სიხშირე და მასზე სასამართლოს არაეფექტური კონტროლი და ა.შ. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში, დაცვის მხარე კიდევ უფრო უძლეური ხდება პროკურატურის წინააღმდეგ სასამართლო დაპირისპირებაში.

საიას საქმიანობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით

- საანგარიშო პერიოდში საიას იურიდიული დახმარების ცენტრში სისხლის სამართლის სხვადასხვა საკითხზე ასობით ადამიანს გაენია სამართლებრივი კონსულტაცია, ხოლო არაერთ საქმეზე – საადვოკატო მომსახურება. საიას იურისტების ძალისხმევით შედეგად, ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი 4 ადამიანის მიმართ დადგა/ძალაში დარჩა გამამართლებელი განაჩენი.

- საიას საჯარო განცხადებებით გამოეხმაურა სისხლის სამართლის არაერთი საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას გამოვლენილი ადამიანის უფლებების დარღვევის, არაეფექტური გამოძიებისა თუ სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულვებლყოფის ფაქტებს.

- საანგარიშო პერიოდში საიას აგრძელებდა სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. ორგანიზაციამ ორი ანგარიში გამოაქვეყნა, მათ შორის, წელს პირველად, მომზადდა სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის სპეციალური ანგარიში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიშები არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშშია მითითებული, როგორც სანდო ინფორმაციის წყარო საქარველოში ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

- საიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება დაზარალებულის უფლებების გაზრდის შესახებ. საკანონმდებლო წინადადებით შეთავაზებული იყო დაზარალებულის მიერ პროკურატურის გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შემოღება, რაც გააძლიერებდა სასამართლო კონტროლს საგამოძიებო ორგანოებზე. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული წინადადება არ გაიზიარა. საიას გააგრძელებს დაზარალებულის უფლებების დაცვის საკითხისა და პროკურატურაზე ეფექტური სასამართლო კონტროლის განხორციელების ადვოკატირებას.

- საიას მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის მარეგულირებელ ნორმებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ.



პატიმართა უფლებები

2012 წლის შემდეგ, მართალია, შემცირდა პატიმართა წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრობლემის მასშტაბები, თუმცა, საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო გარკვეული საკითხები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობებისა და პატიმართა მიმართ მოპყრობის კუთხით.

ამასთან, მიუხედავად ცალკეულ პირთა მიმართ დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენებისა, კვლავაც გამოუძიებელი და დაუსჯელი რჩება 2005-2012 წლებში ციხეებში განხორციელებული წამების ფაქტები. არაერთი პატიმარი საიას კვლავაც ატყობინებს 2012 წლამდე მის მიმართ ჩადენილი სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ და დახმარებას ითხოვს. პატიმართა წერილები ეხება ისეთ პრობლემებს, როგორცაა: სავარაუდოდ უკანონო მსჯავრდება, დაუსაბუთებელი განაჩენი, არაპროპორციული სასჯელი და ა.შ. წერილები და მათი რაოდენობა აჩვენებს, რომ აუცილებელია, ამგვარ საქმეებზე სახელმწიფომ შექმნას მათი შესწავლისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტური მექანიზმი. პროკურატურის სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა, როგორც პრაქტი-

კა და სტატისტიკა ადასტურებს, ვერ პასუხობს აღნიშნულ საჭიროებებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში საიას ოფისებში პენიტენციარული დაწესებულებიდან შემოვიდა 845 განცხადება/წერილი სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებით. აქედან 5 ეხებოდა მსჯავრდებულების მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობას. წერილებში არაერთი პატიმარი მიუთითებდა გაუსაძლის ტკივილებსა და გაუარესებულ ჯანმრთელობაზე, მკურნალობის არასათანადოდ ჩატარების გამო.

საანგარიშო პერიოდში პატიმართა უფლებების დაცვისა და ადვოკატირების მიმართულებით საიამ შემდეგი აქტივობები განახორციელა:

- საიამ ასობით პატიმარს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და იურიდიული დახმარება, როგორც სავარაუდო არასათანადო მოპყრობის, ისე სხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

- 2017 წლის თებერვალში საიამ საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაცი-

ის სამინისტროს პატიმრობის კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები წარუდგინა. საია აღნიშნულ ცვლილებებს საჯარო განცხადებითაც გამოეხმაურა და შესაბამის ორგანოებს მათი გათვალისწინებისკენ მოუწოდა. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრომ, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორმა, ასევე საქართველოს პარლამენტმა, საიას შენიშვნების უმეტესობა გაითვალისწინეს.

- საიამ, როგორც პენიტენციარული რეფორმის ჯგუფის წევრმა, 2017 წლის თებერვალში წარადგინა მოსაზრებები და რეკომენდაციები 2017-2021 წლების პენიტენციარული რეფორმის განახლებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტებზე.

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო გეგმავს ბრალდებულ და მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე მსჯავრდებულთა პენიტენციარული დაწესებულების მშენებლობას. საიამ, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმისა და პენიტენციარული სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფების წევრმა, 2017 წლის თებერვალში წარადგინა მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულების დიზაინისა და პროექტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას ეხებოდა.

- ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრის სტატუსით, საიამ მოამზადა და საბჭოს წარუდგინა კომენტარები ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სას-

ტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შესახებ.

- საანგარიშო პერიოდში საიას წარმომადგენელი რეგულარულად ესწრებოდა სასჯელაღსრულების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს და მონაწილეობდა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებსა და პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში.

- საანგარიშო პერიოდში საიას წარმომადგენელი მონაწილეობდა სტატუსით წარდგა სასამართლოს წინაშე ორგანიზაციის მიერ გაგზავნილ სამართლებრივ დასკვნასთან დაკავშირებით. საქმე ეხებოდა პატიმრის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ გაკეთებული განცხადების საფუძველზე, ცრუ დასმენის მოტივით წაყენებულ ბრალდებას. გასულ წელს საია მკაცრი შეფასებით გამოეხმაურა აღნიშნულ საქმეს (გიორგი ოქროპირიძის საქმე) და აღნიშნა, რომ მსგავსი პრეცედენტი საფრთხეს შეუქმნიდა წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას. ამ საკითხზე საიამ საქართველოს პროკურატურას წერილობითი დასკვნაც მიანოდა.

სამართალწარმოება

- **ნანა ფარჩუკაშვილი პრობაციის და სასჯელაღსრულების სამინისტროს წინააღმდეგ**

საკონსტიტუციო სარჩელი ეხებოდა ქალთა საპატიმრო დაწესებულებაში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ პრაქტიკას, კერძოდ, ქალთა სრულად გაშიშვლებასა და შემონმებას (მათ შორის, მათ ორგანიზმში უკანა ტანიდან შეღწევის გზით) უსაფრთხოების მიზნებისთვის.

• უმაღლესი განათლების უფლება მსჯავრდებულთათვის

საია იცავდა პენიტენციარული დეპარტამენტის №15 დაწესებულებაში მოთავსებული ა.ხ-ს ინტერესებს. მან 2015 წელს მონაწილეობა მიიღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში, რომელიც წარმატებით ჩააბარა და ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, ასევე, მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი 50%-ის ოდენობით. 2015 წლის 22 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და გადაიხადა თანხის ნაწილიც. თუმცა, დავის დაწყების მომენტისთვის არ ეძლეოდა საშუალება, მონაწილეობა მიეღო სემესტრულ გამოცდებში, კერძოდ, დასწრებოდა შუალედურ და ფინალურ გამოცდებს. 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში პირის მონაწილეობა უზრუნველყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საბადრაგო სამსახურმა, თუმცა, საიას ბენეფიციარს, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვების შემდეგ, აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა არ მიეცა.

მას შემდგომ, რაც საიას დახმარებით ა.ხ-მ დაიწყო სამართლებრივი პროცედურები, დავის პროცესში სასჯელაღსრულების სამინისტრომ უზრუნველყო შესაბამისი მექანიზმის დანერგვა, რომელიც დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ სტუდენტს სემესტრული და შუალედური გამოცდების ჩაბარების უფლებას აძლევდა. მოგვიანებით, „პატიმრობის კოდექსში“ შევიდა ცვლილებები, რომლებიც დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ დროისათვის ა.ხ. გათავისუფლებულია და განაგრძობს განათლების მიღებას.



ამ საქმით საიამ საფუძველი დაუდო ცვლილებებს კანონმდებლობაში, რაც უმაღლესი განათლების მიღების უფლებას სხვა მსჯავრდებულებისთვისაც ხელმისაწვდომს გახდის.

- **მსჯავრდებული ძმის გარდაცვალების გამო, დას მორალური ზიანი აუნაზღაურდა**

უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მსჯავრდებული ძმის გარდაცვალების გამო, დას აუნაზღაურდა მორალური ზიანი.



არაეფექტური გამოძიების პრობლემა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საჭიროება

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ შემცირებულია წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრობლემის მასშტაბები, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ამგვარი დანაშაულების არაეფექტური გამოძიება და, შესაბამისად, დაუსჯელობა ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარღვევისთვის.

საიას წარმოებაში არსებული საქმეები აჩვენებს, რომ მსგავს ფაქტებზე კვლავ არ ხდება სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური რეაგირება, ზოგჯერ პირიქით – ნათლად ჩანს, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევის გამოძიების ნაცვლად, სახელმწიფო უწყებები იწყებენ სამართალწარმოებას (გამოძიების ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

საქმეში სასამართლომ დაადგინა სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მხრიდან მსჯავრდებულის სიცოცხლის უფლების დარღვევა. საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ სამინისტროს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევად მიიჩნია მსჯავრდებულისთვის დაგვიანებული სამედიცინო მომსახურების განევა. დადგენილია, რომ მსჯავრდებულს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსების დროისთვის არ აღენიშნებოდა ის პრობლემა (თირკმლის უკმარისობა), რამაც საბოლოო ჯამში, 2012 წელს, მისი გარდაცვალება გამოიწვია. დაავადება სწორედ სასჯელის მოხდის პერიოდში ჩამოყალიბდა და განვითარდა. პატიმარი გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოთქვამდა ჩივილებს, რაც სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო პერსონალს აძლევდა კონკრეტული სამედიცინო დიაგნოზის დასმის შესაძლებლობას. ამასთან, ჯანმრთელობის პრობლემის გამოვლენა და ინტენსი-

ური მკურნალობა გაზრდიდა პაციენტის გადარჩენის შანსს.

სასამართლოს განმარტებით, პატიმრობის პერიოდში პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექიმი, ნებისმიერ დროს, მისი დაკავების მიზეზის მიუხედავად. ჯანდაცვის სერვისი კი, იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ პატიმარს შესაძლებლობა ჰქონდეს, ყოველგვარი დამატებითი დაყოვნების გარეშე მიმართოს ექიმს კონსულტაციისთვის.

ამ საქმით საიამ ხელი შეუწყო ეროვნულ დონეზე სასამართლოს მხრიდან მნიშვნელოვანი სტანდარტის დაწესებას სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში საიამ ასევე წარმატებით დაასრულა ორი საქმე, რომლებშიც დაზარალებულ პირებს უკანონო მსჯავრდებით მიყენებული მატერიალური და/ან მორალური ზიანი აუნაზღაურდათ.



სახით) თავად იმ პირის წინააღმდეგ, ვინც პოლიციელთა და სასჯელაღსრულების სისტემის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებულ ამგვარ ქმედებაზე განაცხადა. პარალელურად კი, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ ქმედებებზე გამოძიება წყდება, ან უშედეგოდ გრძელდება.

აღნიშნულის მიზეზია ის, რომ საქართველოში არ არსებობს ძალოვანი უწყებების, ისევე როგორც უსაფრთხოების სამსახურების, საქმიანობის კანონიერების კონტროლისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების ეფექტური მექანიზმი, პრაქტიკა თუ ტრადიცია. მიუხედავად გასულ წლებში განხორციელებული რეფორმისა, რომლის შედეგადაც შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო – საპროკურორო საბჭო – და შეიცვალა მთავარი პროკურორის შერჩევის წესი, დამოუკიდებელი და აპოლიტიკური პროკურატურის სისტემის შექმნა კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. ასევე, მეტად სუსტია საგამოძიებო ორგანოებისა და ძალოვანი უწყებების კონტროლი როგორც პარლამენტის, ისე სასამართლოს მხრიდან. მთელ რიგ შემთხვევებში, ეს კონტროლი მხოლოდ ფორმალურად ხორციელდება. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ, კანონმდებლობით, მოსამართლის უფლებამოსილება, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით, მეტად შეზღუდულია.

არაეფექტური და გაჭიანურებული გამოძიებების საპასუხოდ, რაც ხელს უწყობს ძალოვან უწყებებში დაუსჯელობის სინდრომის არსებობას, სამოქალაქო საზოგადოება, სახალხო დამცველი და არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, უკვე არაერთი წელია, აქტიურად ადვოკატირებს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხს.

სამოქალაქო საზოგადოების ხედვით, ეს უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, რომლის ხელმძღვანელსაც აირჩევს პარლამენტი და რომელიც სწორედ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული (თუმცა – არა კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით).

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მექანიზმის შექმნის თაობაზე მსჯელობა დიდი ხანია მიმდინარეობს და შესაბამისი განხილვის ვალდებულება ხელისუფლებას აღებული აქვს როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმით, ასევე ასოცირების დღის წესრიგით, ჯერჯერობით ხელისუფლება ჯიუტად არ აღიარებს არაეფექტური და გაჭიანურებული გამოძიებების პრობლემის აქტუალურობას და მისი მზაობა – შექმნას ამგვარი მექანიზმი – ბუნდოვანი რჩება.

საიას საქმიანობა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის აღმოქმედების მიმართულებით

● საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად ადვოკატირებდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის იდეას. არაეფექტური გამოძიებების პრობლემისა და დამოუკიდებელი მექანიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საიას წარმომადგენლებმა არაერთი შეხვედრა გამართეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის საქართველოს რეგიონებში, მონაწილეობა მიიღეს საჯარო დისკუსიებსა და სამუშაო შეხვედრებში. საიას თავმჯდომარემ არაეფექტური გამოძიებების პრობლემატიკაზე ისაუბრა საერთაშორისო ფორუმებზე: ბრიუსელში – ევროპარლამენტში გამართულ რეგიონულ კონფერენციაზე 2017 წლის მარტში და თბილისში – ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე 2017 წლის მაისში.



● საიამ რამდენჯერმე დააყენა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობის საკითხი როგორც საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში, ისე სხვა ფორუმებზე (მაგალითად, ბერლინის კონფერენციაზე, სადაც კომისიის წევრების ნაწილი სამუშაო რეჟიმში შეხვდა ვენეციის კომისიის წევრებს და საერთაშორისო ექსპერტებს). სამწუხაროდ, რეკომენდაცია არ იყო გაზიარებული.

● სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ გაითვალისწინა საიას წინადადება და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტში პროკურატურა აღარ წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანოს, არამედ განსაზღვრულია დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით.

● საიამ არაერთი შესაბამისი საქმე შეისწავლა და საჯარო განცხადებაც გაავრცელა, რომლითაც გამოეხმაურა კონკრეტულ საქმეებში დაფიქსირებულ დარღვევებს და, ამ მაგალითებზე დაყრდნობით, აქცენტი გააკეთა პრობლემის სისტემურ ხასიათსა და მისი მოგვარების აუცილებლობაზე (დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნის სახით).

● დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნის აუცილებლობის დემონსტრირებისა და თემის ადვოკატირებისთვის, საანგარიშო პერიოდში, საია და პარტნიორი ორგანიზაციები აქტიურად იყენებდნენ 2016 წელს საიას მიერ მომზადებულ კვლევას – სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. კონკრეტული საქმეების ანალიზის ფონზე, კვლევა

ნათლად აჩვენებს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების არაეფექტურობას.

- საიას მონაწილეობით, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ სახელით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს გაეგზავნა ოფიციალური წერილი, რომელიც ეხებოდა ღარიბაშვილის ჯგუფის საქმეებზე (საქმეები, რომლებშიც დადგინდა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მესამე მუხლების (წამების აკრძალვა) დარღვევის ფაქტების არაეფექტური გამოძიება), ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ ზოგადი ღონისძიებების სახით აღებული ვალდებულებების აღსრულების პროცესის შეფასებას. კოალიციას მიაჩნია, რომ აღსრულების არაეფექტურობა სწორედ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არარსებობით არის გამოწვეული.

- 2017 წლის სექტემბერში საიას წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტრასბურგში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წევრებთან გამართულ შეხვედრაში. შეხვედრის ფარგლებში, საიას წარმომადგენელმა ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლებიც დღეს არსებობს საგამოძიებო ორგანოების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, ამასთან, ყურადღება გაამახვილა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მწვავე საჭიროებაზე – როგორც ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და არაეფექტური, გაჭიანურებული გამოძიების პრობლემის გადაჭრის საშუალებაზე.

- 2017 წლის ივნისში, საიას მონაწილეობით, კოალიცია საჯარო განცხადებით გამოეხმაურა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტს დამოუკიდებელი

საგამოძიებო მექანიზმის თაობაზე. კოალიციამ აღნიშნული პროექტი შეაფასა ნეგატიურად, ვინაიდან იგი რეალურად ითვალისწინებდა არა დამოუკიდებელი უწყების, არამედ დამატებითი რგოლის შექმნას მთავარ პროკურატურაში.

სამართალწარმოება ქლოვანთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებთან საბრძოლველად

საანგარიშო პერიოდში საიას წარმოებაში ჰქონდა არაერთი საქმე, რომლებიც ეხებოდა სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულებს და მათ არაეფექტურ გამოძიებას. აქ მოცემულია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

- **პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული წამების საქმე**

საიას თბილისის ოფისი იცავს ი.ხ-ს ინტერესებს, რომელიც 2017 წლის 16 თებერვალს, სახლში დაბრუნებისას, შეაჩერა ორმა უცხო პირმა. ერთ-ერთი იყო პოლიციის ფორმაში. ისინი ეძებდნენ ვინმე გიორგის და ისე, რომ არც გადაამოწმეს ი.ხ-ს ვინაობა, ჩასვეს მანქანაში და, მისი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით წაიყვანეს ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს მე-5 განყოფილებაში, სადაც პოლიციის თანამშრომლებმა მასზე განახორციელეს ფიზიკური ძალადობა. ძალადობის მთელი დროის მანძილზე ი.ხ-ს ხელებზე ედო ბორკილები. მისი განმარტებით, სცემდნენ ხელებით, რის გამოც ძალადობის დროს დაკარგა გონება. მას აიძულებდნენ, ელიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. როდესაც გამოიყვანეს ოთახიდან, სადაც სცემდნენ, გაირკვა, რომ დააკავეს შეცდომით, სხვა პირის ნაცვლად. ამის გამო, პოლიციის თანამშრომლები ყინულებითა და ცივი წყ-

ლით შეეცადნენ, ჩაეცხროთ ი.ხ-ს სხეულზე არსებული დაზიანებები, რის შემდეგაც ის გამოუშვეს.

საიას მოთხოვნით, საქმეზე დაიწყო გამოძიება წამების მუხლით. თუმცა, გამოძიების მიმდინარეობისას, მთავარმა მონემ ჩვენება შეცვალა, რასაც საიას მხრიდან მოჰყვა მკვეთრი რეაქცია და ამ მონემზე სავარაუდო ზენოლის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნა. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება არ დაწყებულა, ხოლო ი.ხ-ს მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული წამების ფაქტზე – საერთოდ შეწყდა. საიამ გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება. სასამართლომ გაიზიარა ორგანიზაციის პოზიცია და საგამოძიებო ორგანოს გამოძიების განახლება დაავალა.

- **პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისთვის, ეფექტური გამოძიების ნაცვლად**

საიას წარმოებაშია ო.ბ-ს საქმე, რომელიც სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სიტყვიერი შელაპარაკების მოტივით, ადმინისტრაციული წესით დააკავეს. დაკავებულის განმარტებით, სამართალდამცავებმა მასზე ფიზიკურად იძალადეს, ხოლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, იძულებული გახდნენ, იგი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაეყვანათ. პოლიციის თანამშრომლებმა ო.ბ-ს მიმართ შეადგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხორციელების სენაკის რაიონულმა სასამართლომ საიას ბენეფიციარი სამართალდარღვევად ცნო მხოლოდ პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხორციელების მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, განცხადებით მიმართა სამეგრელო-ზე-

მო სვანეთის საოლქო პროკურატურას. გამოძიებით დადგინდა, რომ მას სახეზე აღნიშნებოდა სისხლის ფუფხი, სტკიოდა მხარი და სახე შენითლებული ჰქონდა. გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ საიას ბენეფიციარს პოლიციასთან ურთიერთობამდე დაზიანება არ გააჩნდა, თუმცა, საგამოძიებო ორგანომ ვერ დაადგინა, სად მიიღო მან ეს დაზიანება. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებიდან რამდენიმე თვეში, სამეგრელო ზემო სვანეთის პროკურატურამ ო.ბ-ს ბრალი წარუდგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (მძიმე დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა პირადი მოტივით). როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით. საქმე გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში.

აღნიშნული საქმე წარმოადგენს იმ საშიში და მანკიერი პრაქტიკის დემონსტრირებას, რისი დამკვიდრების რისკებზეც საიამ ჯერ კიდევ 2015 წელს ისაუბრა, როდესაც პატიმარს, ციხეში არასათანადო მოპყრობის შემდეგ გაკეთებული განცხადების საფუძველზე, ბრალი წაუყენეს ცრუ დასმენის მოტივით.

საია გააგრძელებს ამ პრობლემაზე აქტიურ მუშაობას.



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - არსებული გამოწვევები

დღეისათვის საქართველოში მოქმედებს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს. მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისათვის განსაზღვრავს მძიმე სახდელს, მათ შორის ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირებთან შედარებით; არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს; მოსამართლეს არ ავალდებულებს, იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით და სხვა. საქმის განხილვის და სანქციის გამოყენების შემჭიდროებული პროცედურები ვერ უზრუნველყოფს ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელებას. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებული ფორმით მოქმედება იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.

მცდელობების მიუხედავად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესულმა ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო მისი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, ვინაიდან კოდექსის ფრაგმენტული რეფორმებით შეუძლებელი აღმოჩნდა კანონმდებლობაში არსებული პრობლემების სრულად აღმოფხვრა

და მისი დაცვა არაკონსტიტუციური გამოყენებისგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა ძირეულ რეფორმას საჭიროებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იყო იმ სამთავრობო კომისიის წევრი, რომელიც, 2014 წლის 3 ნოემბრის №1981 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ მუშაობა დაასრულა და 2016 წლის იანვარში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს წარედგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის პროექტი, რეფორმა ამ დროისათვის კვლავ არ არის განხორციელებული და საქართველოს პარლამენტს საკითხის განხილვა ამ დრომდე არ დაუწყია.

საანგარიშო პერიოდში საია განაგრძობდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმის ადვოკატირებას. ორგანიზაციამ ასევე განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- მომზადდა კვლევა – სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი – რომელშიც კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, გაანალიზებულია კანონმდებლობის ხარვეზები და პრაქტიკაში კოდექსის არასწორად/ბოროტად გამოყენების მანკიერი ტენდენციები. კვლევა აჩვენებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ხშირ

შემთხვევაში, წარმოადგენს ინსტრუმენტს პოლიციელთა ხელში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების (გამოხატვისა და შეკრების უფლება) შესაღებად. მსგავს ფაქტებზე კი, სასამართლოს ეფექტური კონტროლი ფაქტობრივად არ ხორციელდება.



- საიამ სამი სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რიგი მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა, კერძოდ:

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი, რომელიც კრძალავს სამართალდამცავი ორგანოს კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. საკონსტიტუციო

სასამართლოში გასაჩივრებულია ამ ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომლითაც საქმის განმხილველ მოსამართლეს არ ევალება პოლიციის მოთხოვნის კანონიერების შესწავლა. ამ საკითხის გამოკვლევის გარეშე, მოსამართლეს უფლება აქვს, ადამიანს შეუფარდოს ჯარიმა 250 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით. ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლითაც დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლი ადგენს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა აითვლება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში. ეს ნორმა ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი გადაეცეს 10 დღის ვადის გასვლის შემდეგ, როცა მას უკვე ვეღარ გასაჩივრებს. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გადაცემის გარეშე შეუძლებელია გასაჩივრების უფლების გამოყენება, ვინაიდან ადამიანისათვის უცნობია მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების მიზეზი. გასაჩივრებული ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს (გასაჩივრების უფლება).

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით იკრძალება ბანერების განთავსება ისეთ ადგილებში, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი. თვითმმართველობას-

თან ბანერის პროექტის შესათანხმებლად დადგენილია 5 დღიანი ვადა. ამ ვადაზე ადრე ბანერის თუნდაც დროებით განთავსება იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. 150-ე მუხლი გამორიცხავს სპონტანური პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობას. ხუთი დღის გასვლის შემდეგ, შესაძლოა, პროტესტი დაგვიანებული აღმოჩნდეს. სპონტანური პროტესტის გამოხატვის შეუძლებლობის გამო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 24-ე მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) მოთხოვნებს.



- საიამ დაიწყო კამპანია #ვადავასულია, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა პერიოდში, 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინფორმირებას და კოდექსის ძირეული რეფორმის საჭიროების ადვოკატირებას.

სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში საიას წარმოებაში ჰქონდა არაერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. რამდენიმე მაგვანზე, ორგანიზაციის ჩართულობის შედეგად, სამართალწარმოება შეწყდა, რადგან ვერ დადასტურდა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, სხვა საქმეებში საიამ მიაღწია იმას, რომ საერთო სასამართლოების მხრიდან გაკეთდა მნიშვნელოვანი განმარტებები.

მნიშვნელოვანი განმარტება: ზედაპირული შემონმებისას პოლიციელი უნდა მოქმედებდეს ობიექტურად აღქმადი გარემოებით

ვეგან-აქტივისტი ირაკლი კიკილაშვილი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა 2016 წლის 5 ნოემბერს ზედაპირული შემონმების მიზნით გააჩერეს. ირაკლი კიკილაშვილი პოლიციელს სთხოვდა, განემარტათ ზედაპირული შემონმების საფუძველი, თუმცა – უშედეგოდ. მოგვიანებით, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძველით, ირაკლი კიკილაშვილი დააკავეს და გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

ირაკლი კიკილაშვილის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 11 ნოემბერს განიხილა და საქმე შეწყვიტა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

ამ საქმით საიამ საფუძველი დაუდო მნიშვნელოვან განმარტებას საერთო სასამართლოს მხრიდან, კერძოდ, სასამართლომ გაიზიარა საიას იურისტების არგუმენტები და განმარტა, რომ „კონსტიტუციური ნორმებით განმტკიცებულ ადამიანის

ძირითად უფლებებში ჩარევისათვის უნდა არსებობდეს აუცილებელი წინაპირობა, ლეგიტიმური მიზანი, ხოლო უფლების დაცულ სფეროში ჩარევას უნდა ჰქონდეს დასაშვები, შესაბამისი და პროპორციული ხასიათი [...] ზედაპირული შემონმების წინაპირობას წარმოადგენს „საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის“, რომ პირს თან აქვს ნივთი, რომლის გადატანა შეზღუდულია, ან რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნული კი, სასამართლოს მოსაზრებით, გულისხმობს იმას, რომ პოლიციელი უნდა მოქმედებდეს ობიექტურად შეცნობადი და არა – სუბიექტურად აღქმული გარემოებების მიხედვით. სასამართლოს მიაჩნია, რომ სწორედ ასეთ შემთხვევაში შეიძლება, პოლიციელის მოთხოვნა და მის მიერ ჩატარებული ზედაპირული დათვალიერება იყოს კანონიერი.“

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „უნდა არსებობდეს ობიექტურად აღქმადი, იმგვარი გარემოება, რომელიც პოლიციის თანამშრომელს გაუჩინებს ეჭვს, ვარაუდს და აღჭურვავს მას უფლებამოსილებით, ზედაპირულად დაათვალიეროს პირი.“

საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დადასტურდა ობიექტურად აღქმადი გარემოების არსებობის ფაქტი, რომელიც პოლიციის თანამშრომელს გაუჩინდა ვარაუდის საფუძველს და, რომელზე დაყრდნობითაც, აუცილებელი და გამართლებული იქნებოდა პირისთვის თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვა, მისი ზედაპირული დათვალიერება. სასამართლოს გადანყვეტილება არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში.

მნიშვნელოვანი განმარტება ცივ იარაღზე და სკოლასა და მშობელს შორის პასუხისმგებლობის განაწილებაზე

საიას თბილისის ოფისი იცავდა პირს, რო-

მელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ედავებოდა მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობას, რაც გამოიხატა მისი არასრულწლოვანი შვილის მიერ ცივი იარაღის ტარებაში. კერძოდ, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის შვილს, გაკვეთილის მსვლელობისას, თანაკლასელმა ათხოვა კალამი, რომელსაც აღმოაჩნდა დანის ფუნქცია. სწორედ ამ ნივთის ფლობა მიიჩნია პოლიციამ არასრულწლოვნის მიერ ცივი იარაღის ტარებად და მშობლის მიმართ შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი.

აღნიშნულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საიას იურისტების მოსაზრებები და განმარტა, რომ, როდესაც საქმე გვაქვს შენიღბული სახის ცივ იარაღთან, ანუ თუ ნივთი არ არის გამიშვლადი და მოქმედებისთვის მზადყოფნაში მოყვანილი, იგი საჭიროებს შესაბამის ცოდნას, რათა პირმა, რომელსაც იგი ხელში უჭირავს, აღიქვას ცივ იარაღად. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველგვარ სამართლებრივ აზრს მოკლებულია, არასრულწლოვანი პირისაგან მოთხოვნილი იყოს შენიღბული, ატიპური ნივთის იდენტიფიცირება დანად.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სკოლას ბავშვი საკუთარი ავტონომიის რეჟიმში ჰყავს, რა დროსაც სკოლა ერთდროულად არის განათლების მიმცემი და ინფორმაციის მიმწოდებელი, ასევე, გარკვეული წვლილის შემტანი არასრულწლოვნის აღზრდაში. ასეთ დროს მშობელი, ერთგვარად, პასიურ მდგომარეობაში იმყოფება და მოკლებულია შესაძლებლობას, აკონტროლოს მსგავსი გაუთვალისწინებელი შემთხვევები.

საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის მშობელს არ შეეძლო, წინასწარ მიეღო რაიმე ზომები და შვილისათვის ესწავლებინა იმ ნივთების ამოცნობა, რომლებიც გარეგნული მახასიათებლებით

აკრძალული ნივთის ნიშან-თვისებებს არ შეიცავს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მშობელს ასეთ დროს არ შეიძლება დაკისრებოდა პასუხისმგებლობა და შეწყვიტა საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

მნიშვნელოვანი განმარტება სადავო გარემოებებთან დაკავშირებით

2017 წლის 8 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ, სააპელაციო სასამართლოს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, პირის მიმართ შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალწარმოება სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო.

2017 წლის 19 თებერვალს აღნიშნული პირი მეგობართან ერთად გადაადგილდებოდა ძველი თბილისის რაიონში, რა დროსაც, საპოლიციო კონტროლის ფარგლებში, ჯერ გააჩერეს, შემდეგ კი, იდენტიფიცირების მიზნით, გადაიყვანეს პოლიციის შენობაში. პროცედურების გაჭიანურების გამო მეგობრის მიერ გამოთქმულ უკმაყოფილებას მოჰყვა ორივე პირის წინააღმდეგ სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ოქმის მიხედვით, ჩადენილი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექ-

სის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 177-ე მუხლებით (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული ქმედებები.

მეგობრის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი სადავო არ გამხდარა, თუმცა, სხდომაზე მონმის სახით გამოსული პოლიციელი აპელირებდა სამართალდარღვევის ჩადენაზე საიას დაცვის ქვეშ მყოფი პირის მხრიდანაც. მტკიცებულებად მოყვანილი იყო თავად პოლიციელთა მიერ შედგენილი ოქმი.

საქმეზე დაცვის მხარის მიერ წარდგენილმა მონმემ სასამართლოში არ დაადასტურა პირის მხრიდან რაიმე სახის გადაცდომის ჩადენა. მიუხედავად ამისა, არსებული სამართლებრივი რეგულაციებისა და პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელის ჩვენება და შედგენილი ოქმი წარმოადგენს მტკიცებულებათა იმგვარ ერთობლიობას, რომელიც საკმარისია პირის სამართალდამრღვევად ცნობისთვის.

საქალაქო სასამართლოს დადგენილება გასაჩივრდა ზემდგომ ინსტანციაში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საიას მიერ წარდგენილი მოსაზრებები და მიუთითა, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მონინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დამადასტურებელ გარემოებად, თუ იგი დგინდება სხვა მტკიცებულებებითაც. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს დაევალა, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოეკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და, შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, პოლიციელის ჩვენებისთვის არ მიენიჭებინა დაუსაბუთებელი უპირატესობა სხვა თვითმხილველებთან შედარებით.



საკრალაქონო საქმიანობა და საიას ჩართულობა კანონმდებლობით პროცესში

საანგარიშო პერიოდში საქმიანობა დაიწყო მე-9 მოწვევის პარლამენტმა. პრობლემად დარჩა პარლამენტის მიერ თავისი ერთ-ერთი უმთავრესი უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელება – აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტური კონტროლი. საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიებზე პარლამენტმა საკომიტეტო და პლენარული სესიების ფორმატში მოისმინა ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ სავალდებულო წესით წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშები. თუმცა, პარლამენტის კომიტეტებმა იშვიათად გამოიყენეს, საკუთარი ინიციატივით, ანგარიშვალდებული ორგანოს წარმომადგენლების კომიტეტის სხდომაზე მოწვევის შესაძლებლობა. საკომიტეტო ფორმატში პარლამენტის წევრებს ასევე არ მოუწვიათ ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენლები მალალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული მოვლენის ან საკითხის ზედამხედველობის მიზნით. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან თემებზე საგამოძიებო კომისიის შექმნა ყოველთვის ინიცირებული იყო საპარლამენტო უმცირესობის მიერ, რაც, როგორც წესი, ვერ პოულობდა უმრავლესობის მხარდაჭერას.

საკმაოდ აქტიური იყო პარლამენტი საკანონმდებლო საქმიანობის თვალსაზრისით. საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტების მეტი წილი საქართველოს მთავრობის მიერ იყო წარდგენილი. თუმცა, საგულისხმოა, რომ არსებითად შემცირდა სხვაობა მთავრობის მხრიდან



წარდგენილ ინიციატივებსა და პარლამენტის მიერ შემუშავებულ ცვლილებებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებებს სჭარბობდა ნეგატიური ცვლილებები, რაც იწვევდა ამ ცვლილებების მიმართ საზოგადოების სხვადასხვა ფგუფის, მათ შორის, საიასა და პარტნიორი ორგანიზაციების უარყოფით შეფასებებსა და პროტესტს. რამდენიმე ასეთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებას საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო, თუმცა, პარლამენტმა ვეტო დაძლია.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა აირჩია ეროვნული ბანკის საბჭოს, საკონსტიტუციო სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები. რიგ შემთხვევებში, გამოიკვეთა თანამდებობის პირთა არჩევის არასრულყოფილი და გაუმჭვირვალე პროცედურის პრობლემა, რაც თავად პარლამენტის დეპუტატებმაც აღიარეს, თუმცა, ამის მიუხედავად, პროცედურები არ დახვეწილა.

საია აქტიურად იყო ჩართული „ღია პარლამენტის“ — საკონსულტაციო ჯგუფში, რომელიც მუშაობდა „ღია პარლამენტის“ ახალ, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაზე. საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 2 მაისს დაამტკიცა „ღია პარლამენტის“ სამოქმედო გეგმა, რომელშიც საიას მიერ შეთავაზებული 7 ვალდებულება აისახა.

საიას მხრიდან წარდგენილი ვალდებულებები მიმართულია პარლამენტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისკენ, ხელს უწყობს საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასა და კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას.

საია ასევე აქტიურად იყო ჩართული პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში.

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა 4 საკანონმდებლო წინადადება, რომლებიც ეხებოდა: დაზარალებულთა უფლებების დაცვის გარანტიების გაზრდას; იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის წევრების არჩევის პროცედურების დახვეწას; სამუშაო დროისა და სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლების რეგულირების გაუმჯობესებას; პენსიის დანიშვნის წესის გაუმჯობესებას. ამათგან პირველი სამი საკანონმდებლო წინადადება დაეფუძნა საიას მიერ ამ საკითხებთან დაკავშირებით მომზადებულ სპეციალურ კვლევებს. პარლამენტმა ხუთივე საკანონმდებლო წინადადება განიხილა. პენსიების გაცემის წესთან დაკავშირებული საკითხის გადასაჭრელად შექმნა სამუშაო ჯგუფი, ხოლო დანარჩენი წინადადებები, სამწუხაროდ, არ გაიზიარა. საია გააგრძელებს აღნიშნული საკითხების ადვოკატირებას.

საანგარიშო პერიოდში საიამ პარლამენტის მიერ განსახილველ ათამდე კანონპროექტზე წერილობითი დასკვნა მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა. დასკვნები მომზადდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პატიმრობის კოდექსში შესატანი ცვლილებები; სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების თანმდევი საკანონმდებლო პაკეტი; ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწა; შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონპროექტი; საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები; მაუნყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები; ეროვნული ბანკის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები; საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საია განცხადებით გამოეხმაურა რამდენიმე კანონპროექტს, რომლებსაც პარლამენტი განიხილავდა. ამასთან, ორგანიზაციამ საჯარო პოზიცია დააფიქსირა პარლამენტში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებსა და დისკუსიებზე.

რიგ შემთხვევებში, საიას პოზიციები გაითვალისწინეს (მაგალითად, პატიმრობის კოდექსთან მიმართებით), თუმცა, ზოგიერთ საყურადღებო საკითხთან და-

კავშირებით, ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მოსაზრებები არ იყო გაზიარებული. მაგალითად, პარლამენტმა ამ ეტაპზე უარი განაცხადა სტამბოლის კონვენციით ნაკისრი რამდენიმე მნიშვნელოვანი ვალდებულების შესრულებასა და ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვაზე (როგორცაა, მაგალითად, ადევნების საკანონმდებლო რეგულირება).



უსაფრთხოების სამსახური:

ეს შენ გეხება - ისპ გვისმენენ

სამოქალაქო კამპანია „ეს შენ გეხება“ 2012 წლის თებერვალში დაიწყო და, იქიდან მოყოლებული, საია აღნიშნული კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. იმ დროისათვის „ეს შენ გეხებას“ მიზანს სამართლიანი საარჩევნო გარემოს ფორმირების ხელშეწყობა წარმოადგენდა. 2012 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ეს შენ გეხებას“ მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომლითაც საკაბელო ოპერატორებს დაევალებათ, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, საინფორმაციო მაუწყებლების მომსახურების პაკეტში შეყვანა (Must Carry). ამ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2012 წლის პარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდში შესაძლებელი გახდა ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანიების – „მაესტროს“ „კავკასიის“ და „მეცხრე არხის“ მაუწყებლობის მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელება, ხოლო მოქალაქეებს მიეცათ საშუალება, წვდომა ჰქონოდათ მრავალფეროვან ინფორმაციაზე. საბოლოოდ, Must Carry-ს პრინციპმა ხელი შეუწყო, რომ 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, ხელისუფლება მშვიდობიანი არჩევნების გზით შეცვლილიყო.

2012 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ ქვეყანა ახალი გამონვევის წინაშე დადგა – აღმოჩენილ იქნა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში შექმნილი პირადი ცხოვრების ამსახველი ათასობით ფაილი. არქივის ნაწილი (ძირითადად, სექსუალური ხასიათის მასალები) განადგურდა, ხოლო ნაწილზე დაიწყო გამოძიება. „ეს შენ გეხებას“

ნევრებმა გადაწყვიტეს, გაეგრძელებინათ კამპანია ამჯერად იმ მიზნით და მოთხოვნით, რომ სახელმწიფოს შეექმნა ეფექტური საკანონმდებლო გარანტიები უკანონო მოსმენებისა და თვალთვალისგან მოქალაქეთა დასაცავად. მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ადგენდა მნიშვნელოვან საკანონმდებლო გარანტიებს, კერძოდ, ზუსტად განსაზღვრავდა იმ დანაშაულთა ჩამონათვალს და პირთა წრეს, რომლებთან მიმართებითაც დასაშვებია იყო ფარული მოსმენის განხორციელება,

ასევე, მოიცავდა მოსმენის დასრულების შემდეგ იმ პირისათვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულებას, რომლის მიმართაც განხორციელდა მიყურადება. „ეს შენ გეხებას“ მიერ მომზადებული კანონპროექტით იქმნებოდა ორგანოების სისტემა: ერთი გასაღები ეძლეოდა მობილურ ოპერატორს, მეორე – სასამართლოს.

2014 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ეს შენ გეხებას“ მიერ მომზადებული კანონპროექტი. პარლამენტმა გაიზიარა კამპანიის თითქმის ყველა მოთხოვნა, გარდა ერთისა: ე.წ. გასაღები (ტექნიკური საშუალება, რომელიც დამონტაჟებულია მობილურ კომპანიებში და უზრუნველყოფს სატელეფონო საუბრის მინოდებას სამართალდამცავი ორგანოებისთვის) დარჩა შინაგან საქმეთა სამინ-

ისტროში (მოგვიანებით, შსს-დან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოყოფის შემდეგ, გასაღები გადავიდა ახლად შექმნილი სუს-ის ხელში). მეორე გასაღები გადაეცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.

საია, კამპანია „ეს შენ გეხებას“ სხვა მონაწილეებთან ერთად, მიიჩნევდა, რომ მოსმენის ტექნიკური საშუალების დარჩენა სამართალდამცავი ორგანოს ხელში პრინციპულ პრობლემას წარმოადგენდა. სწორედ აღნიშნულის გამო, საქართველოს პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადო, თუმცა, პარლამენტმა ვეტო დაძლია და კანონპროექტი კანონად იქცა. კანონის გამოქვეყნებისთანავე კამპანიის მონაწილეებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს.





2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კამპანია „ეს შენ გეხება“ სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო მოსმენის ტექნიკური საშუალების (გასაღების) დარჩენა საგამოძიებო ორგანოს – სუს-ის ხელში. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც გასაღებს ფლობს ის ორგანო, რომელიც დაინტერესებულია წარმატებული გამოძიების ჩატარებით, დიდია იმის ცდუნება, რომ ეს საშუალება უკანონო მოსმენის განსახორციელებლად გამოიყენოს. მოსმენის დასაწყებად, მართალია, აუცილებელი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანხმობა, თუმცა, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაეკონტროლებინა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც სუს-მა შექმნა და, რომელიც მოსმენას უზრუნველყოფდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თანხმობას გასცემდა მხოლოდ იმ სიგნალზე, რომელსაც სუს-ი მას გადასცემდა. ეს სისტემა კი ისე იყო მოწყობილი, რომ არ გამორიცხავდა სუს-ის მიერ ალტერნატიული მოსმენის ინფრასტრუქტურის შექმნას, რასაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ვერ აღმოაჩინდა.

მაშინ, როცა ტელეფონთან მიმართებით არსებობდა ორგანოს განხილვის სისტემა, იგ-

ვე გარანტიები არ იყო დადგენილი ინტერნეტთან დაკავშირებით. ინტერნეტმომწერის ნაკითხვის შესაძლებლობა სუს-ს ჰქონდა ერთი გასაღების მეშვეობით.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აუკრძალა სუს-ს, შეენახა მეტადატა 2 წლით. ეს უკანასკნელი არის მონაცემი, რომელიც არ უკავშირდება კომუნიკაციის შინაარსს, მაგრამ მიუთითებს იმაზე, თუ ვინ დარეკა, ვინ მიიღო ზარი, რამდენ ხანს გაგრძელდა საუბარი და სად იმყოფებოდნენ საუბრის მონაწილეები. სუს-ი ინერდა და ორი წლით ინახავდა საქართველოში მყოფი ყველა იმ ადამიანის მეტადატას, რომელსაც ერთხელ მაინც უსარგებლია მობილური ტელეფონით ან ინტერნეტით. ეს ღონისძიება იყო ყოვლისმომცველი, ბლანკეტური და არ ითვალისწინებდა არავითარ განსხვავებას აბონენტებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სატელეფონო მოსმენები, ინტერნეტმონიტორინგი, მეტადატის ჩაწერა და შენახვა პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს – სუს-ის მიერ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-16 მუხლს (პიროვნული განვითარების უფლება) და კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტს (პირადი ცხოვრების უფლება). საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გასაჩივრებული ნორმები, თუმცა, თავისი გადაწყვეტილების აღსრულება გადაავადა 2017 წლის 1 აპრილამდე, რათა საქართველოს პარლამენტისათვის დრო მიეცა, არაკონსტიტუციურად ცნობილი მოსმენის სისტემის ნაცვლად, შეექმნა ახალი სისტემა.

2017 წლის 10 თებერვალს საქართველოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის ფუნქციას წარმოადგენდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოსმენის ახალი სისტემის

შემუშავება. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მთავრობის, სუს-ის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიოდა ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია: საია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, EMC და „ღია საზოგადოება – საქართველო“.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა კომისიას წარუდგინეს კამპანია „ეს შენ გეხება“ პროექტი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას, რომელიც მოსმენას განახორციელებდა. ეს ორგანო ანგარიშვალდებული იქნებოდა საქართველოს პარლამენტის წინაშე. მას გააკონტროლებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, ხოლო უსაფრთხოების ნაწილში – სპეციალური საპარლამენტო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც, პარლამენტის წევრებთან ერთად, შევიდოდნენ სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტები.

კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი პროექტი უარყო და, ამის ნაცვლად, გაიზიარა სუს-ის მიერ მომზადებული პროექტი, რომლის მიხედვითაც, სუს-ის სისტემაში იქმნებოდა საჯარო-სამართლის იურიდიული პირი – ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი. ამ უკანასკნელს ენიჭებოდა სატელეფონო საუბრებსა და ინტერნეტ-კომუნიკაციებზე ფარული მიყურადებისა და მეტადატის ერთი წლით შენახვის უფლებამოსილება. კამპანია „ეს შენ გეხება“ აღნიშნული კანონპროექტი მკაცრად

გაკრიტიკა, მაგრამ, ამის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ის მაინც დაამტკიცა. 2017 წლის 20 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო დაადო, თუმცა, პარლამენტმა ვეტო დაძლია და საკანონმდებლო პაკეტი ძალაში 2017 წლის 22 მარტს შევიდა.



2017 წლის აპრილში „ეს შენ გეხება“ მასშტაბური კამპანია წამოიწყო ფარული მიყურადების საკანონმდებლო პაკეტის საწინააღმდეგოდ. კამპანიის ფარგლებში მომზადდა სარჩელი, რომელზეც ხელი 300-მდე მოქალაქემ მოაწერა. ეს სარჩელები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიგზავნა.

მიყურადების თაობაზე ახალი კანონმდებლობის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ახლად შექმნილი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო რჩება საგამოძიებო ორგანოს – სუს-ის ეფექტური კონტროლის ქვეშ, რითაც არ სრულდება საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება. სააგენტო არის სუს-ის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სუს-ის ხელმძღვანელი შეარჩევს სამ კანდიდატს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს სპეციალურ კომისიას.

აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში შედიან: პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეები, მთავრობის წარმომადგენელი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სახალხო დამცველი, ასევე, თავად სუს-ის უფროსი, რომელიც ამ კომისიას თავმჯდომარეობს. ხელისუფლებას კომისიაში გარანტირებული აქვს უმრავლესობა. ამასთან, სუს-ის უფროსის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურიდან ყველა რომც დაინუნოს კომისიამ, ახალი კანდიდატურები კვლავაც სუს-ის უფროსმა უნდა წარადგინოს. ამგვარად, სააგენტოს უფროსად შეუძლებელია დაინიშნოს ისეთი პირი, რომელიც არ არის მისაღები სუს-ის უფროსისთვის. სააგენტოს უფროსის გათავისუფლება ასევე ხდება სუს-ის უფროსის წარდგინებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, მათ შორის მაშინ, როცა სააგენტოს უფროსი არაჯეროვნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. ამგვარად, სუს-ის უფროსს აქვს ეფექტური მექანიზმი სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასაბრუნებლად ან გასათავისუფლებლად.

სუს-ის უფროსი განსაზღვრავს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ძირითად სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილებას. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, სუს-ის უფროსს შეუძლია, კანონიერების, მიზანშეწონილობის საფუძველზე გააუქმოს, შეაჩეროს, ცვლილება შეიტანოს სააგენტოს მიერ მიღებულ ინდივიდუალურ აქტებში. ამგვარად, იგი არა მხოლოდ საკადრო თვალსაზრისით აკონტროლებს სააგენტოს, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სააგენტოს საქმიანობაზე მთლიანად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს

გადანყვეტილება, რომლითაც მოსმენის გასაღები არ უნდა ჰქონდეს საგამოძიებო და მოსმენით პროფესიულად დაინტერესებულ ორგანოს, არ სრულდება. გასაჩივრებული ნორმა არის დამძლევი. კამპანია „ეს შენ გეხება“ ითხოვს, არსებითი განხილვის გარეშე, გამწესრიგებელი სხდომის ეტაპზე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

აქვე, გასაჩივრებული ნორმებით მნიშვნელოვნად არის შესუსტებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის მექანიზმები. სააგენტო მიყურადებს ინყებს მაშინ, როცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი დაადასტურებს სასამართლოს განჩინებისა ან გადაუდებელი აუცილებლობით გამოტანილი დადგენილების მიღებას. ორგანოსაგან მოდელისაგან განსხვავებით, აბონენტის მოსმენა იწყება სააგენტოს, და არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, მიერ ღილაკზე დაჭერის შემდეგ. შესაძლოა, განჩინებაში მითითებული იყოს ერთი აბონენტი, მაგრამ სააგენტომ დაიწყო სხვა აბონენტის მოსმენა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მხოლოდ ასეთი მოსმენის დაწყების შემდეგ ერევა საქმეში და რთავს იმ აბონენტს, რომელიც არ არის სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული. ორგანოსაგან მოდელის პირობებში ამგვარი სცენარი გამოიცხადებული იყო, ვინაიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოსმენაზე ჩართავდა იმას, ვინც სასამართლოს განჩინებას ან პროკურორის დადგენილებაში იყო მითითებული. ამგვარად, ახალი რეგულაციით სუსტდება ადრე არსებული კონტროლის მექანიზმები.

2017 წლის ივნისი-ივლისის თვეში „ეს შენ გეხება“ სარჩელებთან დაკავშირებით გაიმართა რამდენიმე გამწესრიგებელი სხდომა, თუმცა, საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.



მედიაგარემო და ჟურნალისტთა უფლებები

მედიაგარემო საქართველოში პლურალისტურია, თუმცა – მეტად პოლარიზებული. 2016 წლის ბოლოს რამდენიმე მსხვილი მედიასაშუალებების გაერთიანება შეფასდა, როგორც რესურსების და ძალაუფლების კონსოლიდაცია ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედიაპროდუქტის შესაქმნელად.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საკუთრების ირგვლივ სასამართლოში 2015 წელს დაწყებული დავა ეროვნულ დონეზე მოსარჩელის გამარჯვებით დასრულდა. თუმცა, 2017 წლის მარტში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეაჩერა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. შედეგად – ტელეკომპანიის მეპატრონე უცვლელი დარჩა.

საანგარიშო პერიოდში მედიაში მიმდინარე პროცესებს და გამოწვევებს გვერდი არ აუვლია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი მაუწყებელი მოვლენათა ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლი იყო და არაერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

2016 წლის ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში საეჭვო ვითარებაში შეიცვალა საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტი. ახალმა მენეჯმენტმა მალევე დააანონსა რეფორმა მაუწყებელში, რამაც არაერთი კითხვა და ეჭვი გააჩინა რეფორმის რეალურ მიზნებთან დაკავშირებით. რეფორმა ითვალისწინებდა ყველა გადაცემის დახურვას, გარდა საინფორმაციო გამოშვება „მოამბისა“ და მსგავსი ფორმით მისი განხორციელება პირდაპირ ენინააღმდეგებოდა როგორც მაუწყებლობის შესახ-



ებ კანონს, ისე მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებს. საბოლოოდ, საზოგადოების აქტიურობის შედეგად, საკითხი – ეთერში მხოლოდ საინფორმაციო პროგრამის დატოვების შესახებ – დღის წესრიგიდან მოიხსნა. თუმცა, მაინც დაიხურა ორი ცნობილი საავტორო საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა, რაც სამოქალაქო საზოგადოებამ ალტერნატიული აზრის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეაფასა.

ახალი გენერალური დირექტორის არჩევანიდან მალევე ცნობილი გახდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ავტორობით მომზადდა. კანონპროექტმა გააძლიერა ეჭვები საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების ხელისუფლებასთან კავშირსა და ამ უკანასკნელის განზრახვებთან დაკავშირებით.

თი გარემოება, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სასამართლოს მიუკერძოებლობას და, ასევე, მიანიშნებდა ხელისუფლების დაინტერესებაზე საქმის შედეგით, მნიშვნელოვანი იყო, ადამიანის უფლებათა სასამართლოს განეხილა ტელეკომპანიის საჩივარი, ხოლო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გამოეყენებინა დროებითი შეჩერების მექანიზმი. ანალოგიური თხოვნით სასამართლოს ტელეკომპანიის წარმომადგენლებმაც მიმართეს. ევროპულმა სასამართლომ, პირველად ისტორიაში, მსგავს საქმეში შეჩერების მექანიზმი გამოიყენა.

- 2017 წლის აპრილში სრულად გამოქვეყნდა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ის საქმეზე. საიამ გადაწყვეტილება გააანალიზა და გააკეთა საჯარო სამართლებრივი შეფასება, რომელშიც დეტალურად განმარტა, თუ რამდენად პრობლემური იყო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობისა და დამკვიდრებული პრაქტიკის ფონზე.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია, კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ ფარგლებში, რამდენჯერმე გამოეხმაურა მედიასთან დაკავშირებულ აქტუალურ პროცესებს, მათ შორის, სალომე ასათიანისა და გოგი გვახარიას საავტორო გადაცემების დახურვას და, ასევე, „რეალური სივრცის“ დახურვის გეგმას (საბოლოოდ, გადაცემა შენარჩუნდა, თუმცა, ეთერში ამ დრომდე არ გასულა).

საანგარიშო წლის განმავლობაში საიას საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას ქვეყანაში პლურალისტური მედიაგარემოს შენარჩუნების ხელშეწყობა წარმოადგენდა.

- 2017 წლის მარტში საიამ და ოცზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით მიმართა. ორგანიზაციების განმარტებით, ვინაიდან ეროვნულ დონეზე საქმის განხილვას თან ახლდა არაერ-

- საიამ ნეგატიურად შეაფასა საქართველოს პარლამენტში ინიცირებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ავტორობით შემუშავდა. საიას მოსაზრებით, კანონ-



ანტიკორუფციული საქმიანობა

პროექტი აერთიანებს არაერთ ინიციატივას, რომელიც არ არის თავსებადი საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით გარანტირებულ სტატუსსა და ფუნქციასთან, არსებითად ამცირებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დღეს მოქმედ სტანდარტს, ზრდის კორუფციული გარიგებების რისკს და, ამასთან, დაუსაბუთებლად ამცირებს სამეურვეო საბჭოს, როგორც მკონტროლებელი ორგანოს, უფლებამოსილებებს.

- საანგარიშო პერიოდში საიამ არაერთი სამართლებრივი კონსულტაცია გასცა ჟურნალისტთა უფლებებისა და მედიასამართლის სფეროში, გარდა ამისა, პირველი

ინსტანციის სასამართლოში წარმატებით დაასრულა დავა ეკა მიშველაძის საქმეზე. საქმე ეხებოდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით, მიშველაძის სამსახურიდან გათავისუფლებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „პირველი სტუდიის“ გაუქმებას. სასამართლომ ბათილად ცნო ბრძანება მიშველაძის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და საზოგადოებრივ მაუწყებელს დააკისრა მის სასარგებლოდ 30 ათასი ლარის გადახდა. მოსარჩელე მხარის მოთხოვნა დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა (გადანყვეტილება ორივე მხარის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში).

კორუფციის პრევენცია და თანმდევი პროცესები ხელისუფლებისთვის კვლავაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ ანტიკორუფციული პოლიტიკის ორიენტირად უნდა დარჩეს პრევენციული ღონისძიებები, ხოლო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია ქვეყნის წინაშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით იდენტიფიცირებული გამოწვევების ეფექტიანი გადაჭრისა და კორუფციული რისკების შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის აპრილში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მოინონეს 2017-2018 წლების საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, საქართველოს მთავრობამ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მხოლოდ 2017 წლის სექტემბერში დაამტკიცა. ამ რეალობის ფონზე, კორუფციის პრევენცია და ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე სახელმწიფო უწყებების ჩამოყალიბება საქართველოსთვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხად რჩება ევროინტეგრაციის გზაზე.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ, საქართველომ აიღო ვალდებულება, განაგრძოს საჯარო მმართველობის რეფორმა და შექმნას ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახური, ასევე, გააგრძელოს ეფექ-

ტური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, ამ კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით, ამასთან, უზრუნველყოს შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების იმპლემენტაცია, როგორცაა კორუფციის წინააღმდეგ გაეროს 2003 წლის კონვენცია (UNCAC).

ანტიკორუფციული მიმართულება კვლავ რჩება საიას საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად. ორგანიზაცია მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა 2017-2018 წლების საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავების პროცესში და მომავალშიც გააგრძელებს ამ კუთხით საქმიანობას.

- საანგარიშო პერიოდში საია ჩართული იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. მონაწილეობდა სამუშაო შეხვედრებსა და სხვა სახის ღონისძიებებში.

- 2017 წლის დასაწყისში ორგანიზაციამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წერილობით მიაწოდა დასაბუთებული მოსაზრებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა ასახულიყო 2017-2018 წლების ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

საიას მიერ მომზადებული წინადადებები ეხებოდა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს:

საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციას, სახელმწიფო შესყიდვებს, პოლიტიკურ პარტიებს, სასამართლო ხელისუფლებას, კერძო სექტორსა და კორუფციული დანაშაულის პრევენციას, კერძოდ:

- **საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია** – საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება;

- **სახელმწიფო შესყიდვები** – ა) სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვების ელექტრონული პროცედურის დახვეწა; ბ) ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშების მოდულში (CMR) საიდუმლო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოდულის ინტეგრირება; გ) საიდუმლო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე რეგულაციების დანერგვა; დ) გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწა;

- **პოლიტიკური პარტიები** – ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეგულაციების გადახედვა; ბ) ამომრჩევლის მოსყიდვის რეგულაციების გადახედვა; გ) საინიციატივო ჯგუფების (დამოუკიდებელი კანდიდატების) საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხების რეგულირება; დ) პოლიტიკური პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხის გადახედვა;

- **კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში** – ა) მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნა ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, დამსახურების პრინციპით და გამჭვირვალე პროცედურით; ბ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანიშნულებების დასაბუთების გაუმჯობესება, დასაბუთების წესის დახვეწა;

გ) მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის გამჭვირვალობის გაზრდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დონეზე; დ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის საკითხის გადასინჯვა;

- **კერძო სექტორი** – ა) სახელმწიფო საწარმოების დაფუძნების სფეროებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა; ბ) სახელმწიფო საწარმოების საკადრო პოლიტიკის რეგულირება; გ) სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული თანამშრომლებისთვის ეთიკის/ქცევის წესების შემუშავება და მიღება; ე) სახელმწიფო საწარმოების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ანტიკორუფციულ საკითხებზე;



- **კორუფციული დანაშაულის პრევენცია** – კორუფციული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.


საიას მცდელობის მიუხედავად, 2017-2018 წლების საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ასახულიყო ზემოთ აღნიშნული საკითხები, 2017 წლის აპრილში ცნობილი გახდა, რომ საბოლოოდ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებთან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანიშნულებების დასაბუთების წესის დახვეწასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს გაითვალის-

წინებდნენ. **სამწუხაროდ, საიას დანარჩენი რეკომენდაციების თაობაზე არ არსებობს მკაფიო და დასაბუთებული პასუხი, თუ რატომ მოხდა მათი იგნორირება.** საიას აზრით, შეთავაზებული წინადადებების გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს კორუფციის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას და არსებითად გაზრდიდა კორუფციის პრევენციის შესაძლებლობას. საიას საქმიანობა ამ მიმართულებით არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოსთვის რეკომენდაციების გაგზავნით. მიმდინარე წელს, საიამ რეკომენდაციების შესრულების შუალედური ანგარიში მიაწოდა ასევე OECD-ს.

ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის გაჭინავის რეფორმა

2017 წელს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის რეფორმა. საყოველთაო შეფასებით, კანონპროექტის არსებული ვერსიის მიღება ხელს შეუწყობდა ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოში. **მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას არ აღმოაჩნდა სათანადო პოლიტიკური ნება, რომ მომზადებული პროექტი კანონად ექცია.**

2017 წლის მაისში საიამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს წერილობით მიაწოდა მოსაზრებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გათვალისწინებაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდიდა არსებულ პროექტს. საიას წინადადებები და რეკომენდაციები მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:



- პროფესიული საიდუმლოების განმარტება.
- შიდა მოხმარების დოკუმენტთა ჩამონათვალი.
- საჯარო ინფორმაციის წლიური ანგარიშების შინაარსი და მათი შემდგომი განხილვის პროცედურა.
- საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები.
- საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი არაგონივრული მუხლის დახვეწა.
- საჯარო ინფორმაციის განსაიდუმლოებისა და გასაიდუმლოების საფუძვლები.
- ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის თანამდებობაზე არჩევის პროცედურა.
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავება.
- ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და აღსრულების ვადები.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული სანქციების ოდენობა და სხვა საკითხები.

იმავდროულად, საიამ საჯაროდ პოზიტიურად შეაფასა ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის პროგრესული ბუნება, რომელიც აერთიანებდა შემდეგ მნიშვნელოვან ინიციატივებს:

- საჯარო დანესებულებათა წრის გაფართოება.
- საჯარო ინტერესისა და ზიანის ტესტის შემოტანა.
- დიდი მოცულობის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა.
- ღია მონაცემების ერთიანი პორტალის შექმნის ვალდებულების დანესება.
- ეფექტური უფლებამოსილებებით აღჭურვილი ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის ინსტიტუტის შექმნა.
- ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განსაზღვრა და სხვა.

„საანგარიშო პერიოდში, 28 სექტემბერს – ინფორმაციის თავისუფლების დღეს – საიამ გამოაქვეყნა კვლევა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე საქართველოში, სადაც მიმოხილული იყო 8 თვის განმავლობაში განხორციელებული მონიტორინგის დროს გამოვლენილი სტატისტიკა და ძირითადი ტენდენციები. კვლევამ არაერთი პრობლემის არსებობა დაადასტურა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ახალი კოდექსის მიღების აუცილებლობა.“



ელექტრონული პეტიციების პორტალი – ICHANGE

2017 წლის განმავლობაში საიას საქმიანობისა და ძალისხმევის მნიშვნელოვანი ნილი მიმართული იყო ელექტრონული პეტიციების პორტალის – ichange-ის ამოქმედებისაკენ. მიმდინარე წლის მაისში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ელექტრონული პეტიციების პორტალის შექმნისა და ამ პორტალით სარგებლობის წესებისა და პირობების განმსაზღვრელი დამატებები. თუმცა, ოფიციალურად პორტალი სრული დატვირთვით ჯერაც არ ამოქმედებულა. ამასთან, შესაძლოა, პორტალის ამოქმედების შემდეგაც კი, დაინტერესებული პირების მიერ ინიცირებული ელექტრონული პეტიციების უმრავლესობამ განსახილველად და მასზე ოფიციალური პასუხის მისაღებად საჭირო მხარდამჭერთა რაოდენობა – 10,000 ხელმოწერა – ვერ შეაგროვოს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დონორთან და საქართველოს მთავრობასთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, საიამ მოამზადა პროექტი – „IChange-პორტალის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება და განათლების ხელშეწყობა საქართველოში“, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებისთვის ელექტრონული პეტიციების პორტალის IChange.gov.ge-ის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება პორტალის ფუნქციონირების, საქართველოს მთავრობისთვის ელექტრონული პეტიციების წარდგენის, პეტიციების მიღებისა და განხილვის წესებისა და პროცედურების, ასევე, იმ პრინციპებისა და პირობების შესახებ, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს ელექტრონული პეტიციით სარგებლობის პროცესი. პროექტი ასევე მიზნად ისახავს პორტალის პოპულარიზაციას. ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში, საიას დაგეგმილი აქვს საქართველოს მასშტაბით (საიას რეგიონულ ოფისებში) საზოგადოებასთან დისკუსიებისა და შეხვედრების გამართვა და შესაბამისი მა-


სალების გავრცელება. პროექტის განხორციელება 2017 წლის ოქტომბერში დაიწყო და იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის, ასევე, მთავრობისა და მოქალაქეების ურთიერთდახლოების გააძვირების თვალსაზრისით.

კორუფციასთან ბრძოლა საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობით

2017 წელს საიამ წარმატებით დაასრულა პროექტი – „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობით“. 18 თვიანი პროექტის ფარგლებში, რომლის განხორციელებასაც საიას ანტიკორუფციული გუნდი უზრუნველყოფდა, არაერთი აქტივობა განხორციელდა.



განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევები, რომლებიც საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმების არარსებობასა და, ამ ფონზე, მაღალ კორუფციულ რისკებზე მიუთითებდა. სწორედ, 2016 წელს საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საიას მიერ მომზადებულ პირველ კვლევას მოჰყვა საქართველოს მთავრობის მხრიდან შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების მიღება. 2017 წელს საიამ წარმოადგინა ახალი კვლევა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სადაც უკვე დეტალურად არის განხილული ის ძირითადი ნაკლოვანებები, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ საიდუმლო შესყიდვების მოქმედ წესს ეხება.



საჯარო სამსახურის რეფორმა

მნიშვნელოვანი ეტაპები და გამოწვევები

საჯარო სამსახურის რეფორმა შიდასახელმწიფოებრივი რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის განხორციელების ვალდებულება საქართველოს მთავრობას ადებული აქვს საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით.

საჯარო სამსახურის რეფორმა, საქართველოს მთავრობისა და საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, 2014 წელს დაიწყო და პირველ ეტაპს წარმოადგენდა კონცეფციის შემუშავება, რაც აკადემიური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით განხორციელდა. რეფორმის კონცეფციის საფუძველზე მომზადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 27 ოქტომბერს მიიღო, თუმცა, მისი ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 1-ლი იანვარი.

სამწუხაროდ, 2016 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლა, 2017 წლის იანვრის ნაცვლად, 2017 წლის 1 ივლისამდე გადადო. ამის მიზეზი გახდა ის, რომ საქართველოს მთავრობამ, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დადგენილებების პროექტების 2016 წლის აგვისტოს თვეში საჯარო განხილვისთვის გამოტანის მიუხედავად, ვერ უზრუნველყო კანონქვემდებარე აქტების დროული მიღება, ასევე, პარლამენტში არ

წარადგინა „საჯარო სამსახურში ანაზღაურებისა“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტები.

მოგვიანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლამდე ერთი თვით ადრე, საქართველოს მთავრობამ პარლამენტში წარადგინა კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ შინაარსობრივ ცვლილებებს, მათ შორის: ა) უმაღლესი განათლების მქონე პირების ან/და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სერტიფიკატის წარდგენისგან გათავისუფლება; ბ) შეფასების პროცესში შესაბამისი დარგის სპეციალისტის დასწრების გაუქმება; გ) რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და შერწყმის გამო, შტატების შემცირების საფუძველზე გათავისუფლებული საჯარო მოხელისათვის 1 თვიანი კომპენსაციის გაუქმება.



პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ამოქმედებისათვის განისაზღვრა გარდამავალი პერიოდი – 2017 წლის 1-ლი ივლისიდან 2018 წლის 1-ლი იანვრის ჩათვლით, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ძალაში არ შევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შემდეგი სიახლეები: ა) საჯარო მოსამსახურეთა ანაზღაურების სისტემა; ბ) კანონის სსიპ-ებზე გავრცელება; გ) სერტიფიკატის წარდგენის ვალდებულება; დ) დახურული კონკურსის ჩატარების ვალდებულების ამოქმედება; ე) შეფასებისა და ნახალისების სისტემის ამოქმედება.

ამგვარად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულად ძალაში შედის 2018 წლის 1-ლი იანვრიდან, რაც რეფორმის სრულყოფილად განხორციელებას კიდევ ერთხელ აფერხებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, 2017 წლის 6 ივლისს, საჯარო სამსახურის ბიურომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საჯარო განხილვისათვის წარადგინეს „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც არაერთ პრობლემურ დებულებას შეიცავს.

საჯარო სამსახურის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე არის თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ამოქმედება 2017 წლის 1-ლი იანვრიდან.

ზემოაღწერილი მოვლენები აჩვენებს, რომ 2014 წლიდან საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესი აქტიურად დაიწყო. თუმცა, დროთა განმავლობაში, საქართველოს მთავრობის მიერ სათანადო და თანმიმდევრული პოლიტიკური ნების არარსებობისა და საკითხის არაპრიორიტეტულობის გამო, გარკვეულწილად შეფერხდა.

საია აქტიურად მიაღწევს თვალს რეფორმის მიმდინარეობის პროცესს და გააგრძელებს კანონის აღსრულების მონიტორინგს.

საიას ჩართულობა და კოზისიები რეფორმის განხორციელების პროცესში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული როგორც რეფორმის კონცეფციის მომზადების, ასევე, საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის განხილვისა და მის შემდგომ მიმდინარე პროცესებში.



● 2015 წელს კანონპროექტის განხილვისას საიას მიერ მომზადებული შენიშვნების საფუძველზე: ა) საჯარო მოხელეს მოეხსნა შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის შეზღუდვა; ბ) დავინროვდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა წრე; გ) შემცირდა გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა. ამავე პერიოდში საიამ დამატებით ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრობლემურ საკითხებზე: ა) საჯარო სამსახურში მიღების ასაკის დაწესება 18 წლამდე; ბ) შიდა კონკურსში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მონაწილეობა; გ) საკონკურსო კომისიის მიერ გადანყვეტილების მიღების

წესი; დ) დისციპლინური წარმოებისას ფინანსური სანქციების გაზრდა; ე) უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის გარანტიები.

● 2016 წლის დეკემბერში საიამ უარყოფითად შეაფასა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის გადავადება და საქართველოს მთავრობის უმოქმედობა, როგორც დადგენილებების, ასევე, კანონპროექტების მომზადების მიმართულებით.

● 2016 წლის აგვისტოში ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული მთავრობის დადგენილებების პროექტების საჯარო განხილვაში და საჯარო სამსახურის ბიუროს მიაწოდა რეკომენდაციები კონკურსის, შეფასების, ნახალისების, რანგირებისა და კლასიფიკაციის წესებთან დაკავშირებით.

● საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა კვლევა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შეფასების სისტემებისა და დისციპლინური წარმოების მექანიზმების შესახებ, რომელსაც დაეფუძნა წარდგენილი რეკომენდაციები. საიას მოსაზრებები ასევე უკავშირდებოდა: ა) სსიპ-ების ხელმძღვანელებისა და მოადგილეების დანიშვნისას საკონკურსო კომისიის შექმნას, გამარტივებული კონკურსის წესით დანიშვნის ნაცვლად; ბ) შეფასების ერთიანი მეთოდოლოგიის მინიმალური სტანდარტების დადგენას; გ) ნახალისების გამჭვირვალე და ნათელი კრიტერიუმების განსაზღვრას.

● საიას აქტიური ადვოკატირების შედეგად, მიუხედავად მთავრობის მიერ ინიცირებული ინიციატივისა, საჯარო მოსამსახურეს შეუნარჩუნდა 1 თვიანი კომპენსაციის მიღების უფლება რეორგანიზაციის საფუძველზე შტატების შემცირებისას.

● 2017 წლის ივნისში საიამ ასევე კრიტიკულად შეაფასა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის

გავრცელების არეალის შემცირება: ა) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებზე; ბ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებზე; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებზე. ორგანიზაციის მოსაზრებით, მსგავსი გამონაკლისების მასშტაბების გაფართოება საფრთხეს უქმნის ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას.

● 2017 წლის ივლისში წარდგენილი „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონპროექტის შესწავლის შემდეგ, საიამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფდა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაში გათვალისწინებული ერთიანი და თანასწორი ანაზღაურების სისტემის შექმნას და არსებული არათანაბარი მიდგომების აღმოფხვრას. საიას განმარტებით, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო სამსახურებისთვის განსხვავებული ანაზღაურების სქემები და კოეფიციენტები მოქმედებს. ასევე, დიფერენცირებული მიდგომა არსებობს თავად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების ანაზღაურებებს შორის, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. განსხვავებული წესით განისაზღვრება ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების ანაზღაურებაც.

● აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით, საიამ საჯარო სამსახურის ბიუროს მიაწოდა რეკომენდაციები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: ა) კანონის მოქმედების გავრცელება საბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა სახელმ-

ნიფო და საჯარო მოსამსახურეზე; ბ) ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებში საჯარო მოხელეთა ანაზღაურება განისაზღვროს ერთი და იმავე კოეფიციენტების სისტემის საფუძველზე; გ) გაუქმდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეების ანაზღაურების კოეფიციენტებს შორის განსხვავება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს შესაძლებლობა, თანაბრად გამოიყენოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის შექმნილი ანაზღაურების ცხრილი მისი შესაძლებლობის ფარგლებში და არ მოხდეს დამატებითი ფინანსური ბარიერების დაწესება; დ) გაიზარდოს საკლასო დანამატის პროცენტული ოდენობა (1-ლი კლასი დაიწყოს სულ მცირე 5%-დან), რათა უზრუნველყოს საჯარო მოხელეთა მოტივაციის გაზრდა; ე) ერთჯერადად გაცემული სახელფასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს ზღვრული ოდენობა განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს თვიური ოდენობის 10%-დან 30%-მდე; ე) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს არ ჰქონდეთ სახელფასო დანამატისა და ფულადი ჯილდოს მიღების უფლება; ვ) გაუქმდეს ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ანაზღაურების განსაზღვრის საგამონაკლისო წესი; ზ) გათანაბრდეს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების იდენტური სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების სარგოების კოეფიციენტები; თ) სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირებს არ ჰქონდეთ უფლება, მიიღონ სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო; ი) დეტალურად გაიწეროს კერძო სექტორთან კონკურენციის მუხლი და ის სფეროები, სადაც საქართველოს მთავრობას ექნება უფლება, განსაზღვროს თანამდებობათა ჩამონათვალი; კ) სახელმწი-



ფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირების ანაზღაურების სისტემა ამოქმედდეს კანონის ამოქმედებასთან ერთად და არა – საგამონაკლისო წესით, 2021 წლის 1-ლი იანვრიდან; ლ) ანაზღაურების ახალი სისტემის ამოქმედებამ არ გამოიწვიოს საჯარო მოსამსახურეთა არსებული ანაზღაურების შემცირება.

● საიამ შეაფასა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებაც, გააანალიზა შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევის პროცესი და გამოარკვია, რომ ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ვალდებულება 2017 წელს სრულყოფილად

საჯარო დანახვებებში სახსრების ოპტიმიზაციის მონიტორინგი

საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობის პარალელურად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2016 წლის 9 დეკემბრიდან დაიწყო საჯარო დანახვებებში საბიუჯეტო სახსრების 10%-ით შემცირება, რამაც გამოიწვია შტატების ოპტიმიზაცია და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობებიდან გათავისუფლება.

საიამ, სამინისტროებიდან და თვითმმართველი ქალაქებიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე, შეაფასა საბიუჯეტო სახსრების შემცირებისა და რეორგანიზაციის პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი იყო:

- შემცირებული ფინანსური ხარჯების ოდენობა და ძირითადი მიმართულებები;
- რეორგანიზაციის პროცესის წარმართვა, ხანგრძლივობა და მოთხოვნები;
- რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა და მათი შერჩევის კრიტერიუმები;
- რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთათვის გადახდილი კომპენსაციის ოდენობა.

საბიუჯეტო სახსრების შემცირებისა და რეორგანიზაციის პროცესის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ:

ა) სამინისტროებსა და თვითმმართველ ქალაქებს ჰქონდათ არაერთგვაროვანი და განსხვავებული მიდგომები საბიუჯეტო სახსრების შემცირების პრიორიტეტებსა და ოდენობასთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის ერთიანი ხედვის არარსებობით;

- ბ) მინისტრების მიერ რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული ბრძანებები იყო სტანდარტული და ფორმალური ხასიათის. მინისტრთა ბრძანებების უმეტესობა არ შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, როგორცაა: რეორგანიზაციის პროცესის ხანგრძლივობა, რეორგანიზაციის ჩატარების წესი და მოთხოვნები, საკადრო აუდიტის ჩატარების აუცილებლობა და რეკომენდაციების მომზადება შტატების შემცირების საჭიროების თაობაზე;
- გ) საჯარო დაწესებულებებს არ ჰქონდათ ნათლად განერილი კრიტერიუმები რეორგანიზაციის პროცესში გასათავისუფლებელ საჯარო მოხელეთა შესარჩევად. ასევე, სამინისტროების უმეტესობას არ წარმოუდგენია დასაბუთება, თუ რა გარემოებების გათვალისწინებით

შეირჩა და გათავისუფლდა კონკრეტული საჯარო მოხელე.

საიამ ასევე კრიტიკულად შეაფასა ის გარემოება, რომ საჯარო დაწესებულებებმა რეორგანიზაციის პროცესის მიმდინარეობისას რეკომენდაციის მისაღებად არ მიმართეს საჯარო სამსახურის ბიუროს, რომელიც საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში ახორციელებდა საჯარო დაწესებულებების ფუნქციურ ანალიზს. საჯარო დაწესებულებების ამგვარი მიდგომა, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებაზე. გარდა ამისა, საიამ არაერთხელ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, მთავრობისთვის მოეთხოვა მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესის ანგარიში, თუმცა, საქართველოს პარლამენტის მხრიდან ეფექტური კონტროლი არ განხორციელებულა.

ქალაქობის დაქვეითება ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობისკენ

ქალთა მიმართ ქალაქობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2006 წლიდან მოქმედებს სპეციალური კანონი, რომლის მიზანიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა, ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში კვლავ ფართოდ არის გავრცელებული.

სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების მრავალწლიანი ძალისხმევების მიუხედავად, ოჯახში ძალადობა, უმრავლეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ აღქმულია, როგორც პირადი საქმე და არა – როგორც დანაშაული. ოჯახში ძალადობის ფაქტები ხშირად იმალება და, ნაცვლად კანონით დადგენილი მექანიზმების გამოყენებისა, ადამიანები ცდილობენ, პრობლემა კანონის მიღმა მოაგვარონ. სამწუხაროდ, არაერთ შემთხვევაში ასეთი მცდელობა წარუმატებლად, ზოგჯერ კი – ფატალურად მთავრდება.

სახელმწიფო პოლიტიკა და პრაქტიკა ძალადობასთან ბრძოლის კუთხით კვლავ ნაკლებად ეფექტურია. პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება 2017 წელს. თუმცა, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯებისა, გენდერული დანაშაულების მსხვერპლი ქალები, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, პრაქტიკაში მთელ რიგ ბარიერებს აწყდებიან. სამარ-



თალდამცავი ორგანოები და სასამართლო ხელისუფლება ვერ ახერხებენ, თავიდან აიცილონ ძალადობის ესკალაცია, ადეკვატურად შეაფასონ მომხდარი ძალადობის ფაქტები, გამოავლინონ დანაშაულის გენდერული მოტივი და მოძალადეს შესაბამისი სანქცია შეუფარდონ.

კიდევ უფრო მეტად მოწყვლადები არიან გარკვეული ჯგუფის წარმომადგენელი ქალები. მაგალითად, სექს-მუშაკი და ნარკოტიკების მომხმარებელი ქალებისთვის, გენდერული ძალადობის შემთხვევაში, სტამბოლის კონვენციით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები პრაქტიკაში სრულებით მიუწვდომელია. ისინი სასამართლოს და



საგამოძიებო ორგანოებს არ მიმართავენ, ვინაიდან, არსებული კანონმდებლობის გამო (ნარკოტიკების მოხმარება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაულია, ხოლო პროსტიტუცია – ადმინისტრაციული სამართალდარღვევა), სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალადობისა და სისხლისსამართლებრივი/ადმინისტრაციული დევნის მომეტებული საფრთხის წინაშე დგანან. ძალადობისგან დაცვის ადმინისტრაციული მექანიზმები ასევე არ ვრცელდება პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლს ლბტ ქალებზე, ხოლო შშმ (ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე) ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის არ არსებობს სპეციალური სტანდარტები. შესაბამისად, მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად დამატებითი საკანონმდებლო თუ პრაქტიკული გარანტიები საჭირო.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ის, რომ კანონმდებლობა და პრაქტიკა, საერთაშორისო სტანდარტების საპირისპიროდ, ქალთა მიმართ ძალადობას არ განიხილავს, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმას. ქვეყანაში არ არსებობს გენდერულ დანაშაულებზე მორგებული სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები.

ძალადობასთან ეფექტურ ბრძოლას ართულებს არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან პრევენციისა და რეაგირების არასათანადო პოლიტიკა, არამედ ქვეყანაში არსებული პატრიარქალური კულტურა და უთანასწორობის სტრუქტურული მიზეზები, როგორცაა ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლებისა და რესურსების არათანაბარი გადანაწილება, ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემა. ყოველივე ეს ახალისებს მოძალადეს, ხოლო მსხვერპლს განსაკუთრებით მონყვლადს ხდის და ხშირად აიძულებს, აიტანოს ძალადობა, მისგან თავის დაღწევის ნაცვლად.

საიას საქმიანობა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულადაა

საია უკვე მრავალი წელია მუშაობს ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით და ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობას, რაც, ერთი მხრივ, დანაშაულის პრევენციის, ხოლო მეორე მხრივ, მსხვერპლის უფლებათა აღდგენისა და მოძალადის მიმართ ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრებისკენ არის მიმართული. ყოველწლიურად საია სამართლებრივ დახმარებას უწევს ძალადობის მსხვერპლ ასობით ქალს და, ასევე, ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას.

ზოლო პერიოდში ორგანიზაცია განსაკუთრებით გააქტიურდა ქალთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის ხედავ და სტრატეგია მეტად ორიენტირებული გახდა არა მხოლოდ სამართლებრივი დახმარების შეთავაზებაზე, არამედ ასევე ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაზე და ეკონომიკურ გაძლიერებაზე. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია აქტიურად ადვოკატირებდა გენდერულად სენსიტიური კანონმდებლობის შექმნას და პოლიტიკასა და საჯარო ცხოვრებაში ქალთა სრულფასოვან ჩართვას, მათ შორის, საარჩევნო სისტემაში გენდერული კვოტების შემოღების მექანიზმით.



საანგარიშო პერიოდში:

- ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში საია აქტიურად ადვოკატირებდა ქალთა უფლებებს და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას. სხვა საკითხებთან ერთად, საიას ეკუთვნოდა ინიციატივა კონსტიტუციაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე ცალკე ჩანაწერის დამატების შესახებ. აღნიშნული გაიზიარა საკონსტიტუციო კომისიამ და შემდგომ – პარლამენტმა. კონსტიტუციაში ჩაინერა, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“. ამ საეტაპო მნიშვნელობის ცვლილებით, საქართველოს კონსტიტუცია გადავიდა ფორმალური თანასწორობის მოდელიდან არსებით თანასწორობაზე.

საჯარო დისკუსია შინაარსის ბიოლის ფონდში: სამართლიანობის ახალი ჩარჩოები – გენდერისა და კანონის გადაკვეთა

- საიამ არაერთი საჯარო ღონისძიებით აღნიშნა 2016 წლის 16 დღიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა 2017 წლის კამპანიის ღონისძიებები.



- საანგარიშო პერიოდში, საია მუშაობდა ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების კუთხით. ამ მიზნით, ორგანიზაციამ დაიწყო საინფორმაციო კამპანია – #ილაპარაკე (არ დამალო ძალადობა), ასევე, განახორციელა არაერთი გასვლითი შეხვედრა რეგიონებში, დისკუსია/მრგვალი მაგიდა, იმიტირებული სასამართლო პროცესი სტუდენტებისთვის და ა.შ.

- საანგარიშო პერიოდში საიამ ქალთა მიმართ ძალადობის არაერთი სტრატეგიული საქმე აწარმოვა, ასევე, უფასო სამართლებრივი დახმარება გაუწია ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის 1285 მსხვერპლს, მათთვის მომზადდა 150-მდე სამართლებრივი დოკუმენტი, საადვოკატო მომსახურება გაეწია 25-მდე ბენეფიციარს როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დევებში. საიას იურისტებმა ეროვნულ დონეზე სამართალწარმოებით ხელი შეუწყვეს მნიშვნელოვანი პრეცედენტების ჩამოყალიბებას ქალთა უფლებების მიმართულებით.

- 2017 წელს საიამ პირველად შეიტანა საჩივარი გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW). ბ.ძ-ის საქმე ეხება გენდერის ნიშნით ჩადენილ მკვლელობას. ეს საქმე, იმავდროულად, არის ფემიციდის პირველი საქმე, რომელიც საქართველოდან CEDAW-ში გაიგზავნა. საიასა და ქვეგრანტორი ორგანიზაციების დახმარებით, ძალადობის არაერთმა მსხვერპლმა მიიღო პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია გაიარა 156-მა ბენეფიციარმა (253 მსხვერპლი, 3 მოძალადე), თავშესაფრით

და კრიზისული ცენტრით ისარგებლა 123-მა მსხვერპლმა, ძალადობის 27-მა მსხვერპლმა გაიარა პროფესიული გადამზადების კურსები და შეიძინა ცხოვრების დამოუკიდებლად გაგრძელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

- საიამ შექმნა ინტერდისციპლინური სამუშაო ფორმატები, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო უწყებებსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების ფორმის, ასევე, მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამის შესაქმნელად და დასაწერად.

- საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ მოამზადა და გამოსცა არაერთი კვლევა ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე, საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებზე: „ოჯახში ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში“, „ქალები ქართულ პოლიტიკაში“, „გენდერული ძალადობა სექს-მუშაკების მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები – საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება“. თითოეულ კვლევაში, პრობლემების ანალიზთან ერთად, მოცემულია რეკომენდაციები როგორც კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ პირველად დაუთმო სიღრმისეული ყურადღება აღნიშნულ საკითხებს.

- საიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა მოსაზრებები საკანონმდებლო პაკეტზე, რომელიც სტამბოლის კონვენ-


ციასთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ისახავდა მიზნად. საერთო ჯამში, საიამ პაკეტი დადებითად შეაფასა, თუმცა, ასევე ღიად მიუთითა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც, სტამბოლის კონვენციის თანახმად, დამატებით უნდა განერილიყო ეროვნულ კანონმდებლობაში. სამწუხაროდ, საიას მოსაზრებები, მოცემულ ეტაპზე, არ იყო გაზიარებული.

- ორგანიზაციამ საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ფემიციდთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადების განხილვისას. მოსაზრებები ეფუძნებოდა საიას მიერ ჩატარებულ კვლევას და მიზნად ისახავდა ფემიციდის, როგორც ცალკე დანაშაულის განსაზღვრის მხარდაჭერას. სამწუხაროდ, კომიტეტმა არ გაიზიარა არც საიას მოსაზრებები და არც წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება.

საია გააგრძელებს აქტიურ მუშაობას როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობის მიმართულებით.

რას აჩვენებს საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგი?

საანგარიშო პერიოდში საიამ, სასამართლო სხდომების მონიტორინგზე დაყრდნობით, მოამზადა სპეციალური ანგარიში (მონიტორინგი მიმდინარეობდა 2016 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის იანვრის ჩათვლით), რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა, დაგვენახა სასამართლოს, პროკურატურისა თუ მოძალადეთა ადვოკატების დამოკიდებულება/მიდგომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე.





საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები

თბილისის, შუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოების მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ანგარიში №10
პერიოდი: 20 აგვისტო, 2016 – იანვარი, 2017

თბილისი 2017

კვლევის თანახმად:

- ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლები უმეტესად ქალები არიან (მონიტორინგის დროს დაკვირვებულ საქმეთა 88%-ში მსხვერპლი იყო ქალი). მიუხედავად ამისა, დანაშაულების აღქმა არ ხდება დისკრიმინაციულ დანაშაულებად. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან, ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის არცერთი შემთხვევა არ შეფასებულა გენდერულ დანაშაულად. მოსამართლეებსა და პროკურორებს არ გაუკეთებიათ მითითება კანონის სპეციალურ მუხლზე, რომელიც, დანაშაულის დისკრიმინაცი-

ული მოტივით ჩადენის შემთხვევაში, ამძიმებს მოძალადის პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა დისკრიმინაციული მოტივის მიმანიშნებელი გარემოებები, ამის გამოკვლევა სათანადოდ არ მომხდარა, შესაბამისად, არცერთი მოძალადე არ დასჯილა იმის გამო, რომ ქალზე იძალადა სწორედ გენდერული ნიშნით.

- როგორც სასამართლოს, ისე პროკურატურისთვის სერიოზული გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძობიარე მართლმსაჯულების განხორციელება. ერთიანი ხედვის არარსებობის გამო, შეინიშნება მხოლოდ ინდივიდუალური, ძალიან მწირი დადებითი პრაქტიკა, რაც მათი საქმიანობის არათანმიმდევრულ და ფრაგმენტულ ხასიათზე მიანიშნებს.

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსამართლეთა მხრიდან დაუსაბუთებლად ლმობიერი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. უმეტესად, ეს ღონისძიება არის გირაო (ფულადი, მატერიალური სანქცია) და არა – პატიმრობა. ასეთ შემთხვევებში მოძალადეები სასამართლო დარბაზიდან თავისუფლდებიან და მათი მხრიდან ძალადობის გამეორების რისკები კიდევ უფრო მატულობს.

- პრობლემას წარმოადგენს ასევე ლმობიერი სასჯელების გამოყენება. გამამტყუნებელი განაჩენების, დანაშაულის სისტემატურობისა და სერიოზულობის მიუხედავად, მოსამართლეები, უმეტესად, ვერ ხედავენ მოძალადეების საზოგადოებისგან იზოლაციის აუცილებლობას და არ იყენებენ საპატიმრო სასჯელებს. შემთხვევათა 72%-ში მოსამართლემ ნაკლებად მკაცრი სანქციები გამოიყენა და ამით მოძალადის მიერ მსხვერპლთან მიახლოების უფრო მეტი შანსი გააჩინა.

რა (არ) შეიძლება სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ

საქართველოს კანონმდებლობა (როგორც მატერიალური, ისე საპროცესო) გენდერულად ნეიტრალურია და, ერთი შეხედვით, თანასწორობას უზრუნველყოფს. თუმცა, საკითხის ანალიზი აჩვენებს, რომ ის ჯერ კიდევ შორს არის გენდერული სენსიტიურობისგან და ნაკლებად ემსახურება რეალური თანასწორობის მიღწევას ქალსა და მამაკაცს შორის. ამ მხრივ, მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება.

2017 წლის მაისში საქართველომ განახორციელა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა ეროვნულ კანონმდებლობაში. ცვლილებებმა საქართველოს კანონმდებლობა გენდერულად უფრო სენსიტიური გახადა. კერძოდ:

- საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ქალთა მიმართ ძალადობას აქვს გენდერული ნიშანი და ის მექანიზმები და სერვისები, რომლებიც მხოლოდ ოჯახში ძალადობის დროს მოქმედებდა (შემაკავებელი და დამცავი ორდერები, თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი და სხვა), გენდერული ძალადობის მსხვერპლ ყველა ქალზე გავრცელდა.

- შემაკავებელი ორდერი მოქმედებას იწყებს გამოცემისთანავე და ძალაში შესვლისთვის სასამართლოს დამტკიცება აღარ სჭირდება.

- კანონი ასევე მსხვერპლად მიიჩნევს ბავშვს, რომელიც ძალადობის მონაწილეა.



2016 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საიამ, თანასწორობის კოალიციასთან ერთად, გამართა მრგვალი მაგიდის შეხვედრა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით და ხელისუფლებას სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების მნიშვნელობა კიდევ ერთხელ შეახსენა.



- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გაჩნდა გენდერული დანაშაულის ცნება, როგორცაა ადვენება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და სტერილიზაცია თანხმობის გარეშე.
- სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს დაუახლოვდა.
- ოჯახის წევრის მიმართ და გენდერის ნიშნით, დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები გახდა დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება.
- ქორწინების მინიმალურ ასაკად განისაზღვრა 18 წელი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.
- საქართველოს კონსტიტუციაში, საიას წინადადების საფუძველზე, ფორმალური თანასწორობის მოდელი არსებითი თანასწორობით შეიცვალა, რაც სტამბოლის კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა.
- თუმცა, ამ ეტაპზე არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც სტამბოლის კონვენცია ითვალისწინებს, ეროვნულ კანონმდებლობაში არ განხორციელებულა. კერძოდ:

- კვლავ არ ისჯება სექსუალური შევიწროება.
- სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე არ გამოყოფს ოჯახის გარეთ ჩადენილ ფსიქოლოგიურ ძალადობას.
- კანონმდებლობით არ განისაზღვრება ფემიციდი – გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა – არც ცალკე მუხლის და არც განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოების სახით.
- სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობა, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციის სტანდარტს.
- გაუპატიურების მუხლში, კონვენციის შესაბამისად, შევიდა გარკვეული ცვლილებები, თუმცა, კონვენციის მოთხოვნის საპირისპიროდ, გაუპატიურება ისევ არ განისაზღვრება, როგორც მსხვერპლის თანხმობის გარეშე ჩადენილი სექსუალური შელწევა.
- ადვენება, საქართველოს კანონმდებლობით, არ განისაზღვრება, როგორც ძალადობის ფორმა და არ ითვალისწინებს შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოწერას.

რისკის შეფასების ფორმა

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უმნიშვნელოვანესი წინადადებული ნაბიჯი იქნება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის კუთხით, არის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის რისკის შეფასების ფორმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა. აღნიშნული მეთოდი ევროპის მრავალ ქვეყანაში საკმაოდ წარმატებით გამოიყენება. იგი პოლიციელს ფაქტზე რეაგირების დროს მართებული გადაწყვეტილების მიღებაში, სწორ შეფასებასა და მსხვერპლის იდენტიფიცირებაში ეხმარება. სწორედ ამიტომ საიამ საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, დაიწყო მუშაობა აღნიშნული რისკის შეფასების ფორმის შემუშავებაზე. ამ მიზნით, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება (ესპანეთი, ჰოლანდია) შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელმაც მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოამზადა რისკის შეფასების ფორმა. საიამ სამინისტროსთან თანამშრომლობით დანერგავს აღნიშნული ფორმის პრაქტიკაში გამოყენებას.

მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა

რისკის შეფასებაზე მუშაობის პარალელურად, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, საიამ ასევე მუშაობს მოძალადეების ქცევის კორექციის პროგრამაზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავების მიზნით, 2017 წლის ნოემბრის დასაწყისში, ესპანელ ექსპერტთან ერთად, რომლის ჩამოყვანაც უზრუნველყო გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN WOMEN), პროექტის ფარგლებში შექმნილმა ჯგუფმა გაიარა ტრენინგი და გაეცნო ესპანურ მოდელს – PRIA. აღნიშნულ მოდელზე დაყრდნობით, ადგილზევე შემუშავდა საქართველოზე მორგებული პროგრამის პირველადი მონახაზი. უნდა აღინიშნოს, რომ ესპანურ მოდელ PRIA-ს უკვე იყენებს პრობაციის სამინისტრო და პრობაციონერები წარმატებით არიან ჩართულნი პროგრამაში. სწორედ არსებულ მასალაზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი პროგრამა, რომელიც საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დაინერგება. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამინისტრო. პროგრამა მზად იქნება წლის ბოლოს და ის მოძალადეები, რომლებიც სასჯელს ოჯახური დანაშაულის გამო იხდიან, საპილოტე პროგრამაში უკვე 2018 წლიდან ჩაერთვებიან.

ცნობიერების ამაღლების კამპანია

- #ილაპარაკე

2016 წლის დეკემბრიდან საიამ წამოიწყო ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანია – #ილაპარაკე – არ დამალო ძალადობა! კამპანიის მიზანია, აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება და მგრძობელობა ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით და აჩვენოს მას, რომ პრობლემის დასაძლევად აუცილებელია საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა.

- იმიტირებული სასამართლო საიას კამპანია მუსიკალურ ფესტივალზე Open Air Alter/Vision





პროცესი ოჯახში ძალადობის თემაზე

საიას ორგანიზებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი ოჯახში ძალადობის თემაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდენტები მთელი საქართველოს

მასშტაბით – სულ 76 გუნდი. ტურნირის ფინალში, ჯამში, მონაწილეობა მიიღო 22-მა საუკეთესო გუნდმა.

საიას ბენეფიციარი: "მამა წლების განმავლობაში ოჯახის წევრებზე ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობდა. ერთ დღესაც დავრეკე პოლიციაში, რომელმაც სახელმწიფო თავშესაფარში გადაგვიყვანა. ახლა მშვიდად ვარ და ვემზადები ეროვნული გამოცდებისთვის, პარალელურად, სტილისტის კურსებს გავდივარ. ყველა იმ ადამიანს, ვინც ძალადობის მსხვერპლია, მივმართავ თხოვნით, ილაპარაკონ, რადგან საუბარი არის ძალიან კარგი თერაპია. მე მჯერა, როდესაც მიზანს დაისახავ, ის აუცილებლად განხორციელდება."

ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარებისა და გაძლიერების საქმეში, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, საიას პარტნიორები და ქვეგრანტის მიმღები ორგანიზაციები არიან: „თანადგომა“, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“, „დემოკრატიული ქალთა საზოგადოება“, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედების ასოციაცია „დეა“.

ქალადობის მსხვერპლთა გაძლიერება და დახმარება – იცხოვრონ (მოძალადისგან) დამოუკიდებლად

საანგარიშო პერიოდში ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით საიას მრავალმხრივი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულ კომპონენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ მსხვერპლთა პროფესიული გადამზადება. ოჯახში ძალადობის 27-მა მსხვერპლმა, საიას დაფინანსებით, წარმატებით გაიარა სხვადასხვა კურსი: სტილისტი, მანიკურ-პედიკურის სპეციალობა, მზარეულის კურსი, უცხო ენები, მარკეტინგის სპეციალობა, დრამის კურსები. გარდა ამისა, არასრულწლოვანი მსხვერპლი გადამზადდა სააბიტურიენტო გამოცდებისთვის. აღნიშნული პროფესიები მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ახალი ცხოვრების დაწყებაში დაეხმარება.

საიას ბენეფიციარი: "ჩემი ორწინა იყო, სტილისტობა მესწავლა, რადგან ვფიქრობდი, ეს იყო ჩემი საყვარელი საქმე. ჩემი მეუღლე სახლიდან არ მიშვებდა, სწავლისა და მუშაობის საშუალებას არ მაძლევდა, წლების განმავლობაში ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობდა. 13 წლიანი ტანჯვის მერე გადავწყვიტე, გამეზღვა და დამოუკიდებელი ცხოვრება დამეწყა. ახლა საკუთარ ბინაზე ვფიქრობ. მინდა, პატარა სალონი გავხსნა. ყველა ქალს, რომელიც ძალადობას იტანს ან ითმენს, მინდა ვურჩიო, თავს უშველონ და უარი არ თქვან საკუთარ ოცნებებზე."



საია ნაადრევი ქორწინებების წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში საია ყურადღებას უთმობდა ნაადრევი ქორწინების პრობლემას. საიას იურისტებმა არაერთი შეხვედრა გამართეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებში, სადაც მოსწავლეებს, მშობლებსა და პედაგოგებს მიანოდეს დეტალური ინფორმაცია ნაადრევი ქორწინების ამკრძალავ საკანონმდებლო ნორმებზე, ასევე, მოზარდებისთვის ნაადრევი ქორწინების უარყოფით მხარეებზე.

2017 წლის მარტში საიამ უმასპინძლა მრგვალი მაგიდის შეხვედრას ქუთაისში, სადაც პრემიერ-მინისტრის მრჩეველის, პროკურატურის, სასამართლოს, განათლების სამინისტროს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით გაიმართა მსჯელობა საქართველოში ნაადრევი ქორწინების მხრივ არსებულ მდგომარეობაზე. საიას წარმომადგენლებმა თავიანთ მოხსენებებში ყურადღება

გამახვილეს ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფოს ქმედებათა ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობაზე, ასევე, შესთავაზეს სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობა პრობლემის ირგვლივ ცნობიერების ამაღლების საქმეში.

ჩაშლილი ნაადრევი ქორწინება სოფელ ყარაჯალაში

2017 წლის თებერვალში, საიას რუსთავის ოფისის წარმომადგენლები, გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალის სკოლის პედაგოგის შეტყობინების საფუძველზე, სკოლაში მივიდნენ. მიზეზი იყო აღნიშნული სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის, 15 წლის გოგონას იძულებითი ნიშნობა. მოსწავლის განცხადებით, იგი სრულწლოვანმა, მასზე გაცილებით უფროსმა მამაკაცმა დანიშნა და მას ნათესავები აღნიშნულ პირზე დაქორწინებას აიძულებდნენ. არასრულწლოვანი გოგონას მონათხრობი საიას წარმომადგენლებს პედაგოგებმაც დაუდასტურეს.

საიას თანამშრომლები პირადად შეხვდნენ და გაესაუბრნენ გოგონას დედას. აღმოჩნდა, რომ ქალმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ იძულებითი ქორწინება სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედება იყო. არასრულწლოვანის დედა საიას წარმომადგენლებს შეჰპირდა, რომ ამას აუცილებლად გაითვალისწინებდა.

დღესდღეობით არასრულწლოვანი გოგონა არ არის დაქორწინებული და განაგრძობს სწავლას ყარაჯალის საჯარო სკოლაში.

სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში საიას იურიდიული დახმარების ცენტრებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, სამართლებრივი კონსულტაცია გაენია ძალადობის მსხვერპლ ასობით ქალს, ხოლო საადვოკატო მომსახურება – 25-მდე ბენეფიციარს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო

და ადმინისტრაციულ დავებში. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა უმრავლესობა იყო სისტემატური ძალადობის მსხვერპლი, რომლებიც წლების განმავლობაში თავს არიდებდნენ ფაქტების გახმაურებას, სამართლებრივი დახმარების მიღებას და ჩუმად იტანდნენ ძალადობას.

მნიშვნელოვანი პრეცედენტი: მიუხედავად საკანონმდებლო შეზღუდვისა, საიას დახმარებით, მსხვერპლმა შეძლო ადევნებისგან თავის დაცვა.

ამ საქმეში საია იცავდა ადევნების მსხვერპლს. ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობასთან ერთად, მოძალადე სისტემატურად უგზავნიდა მსხვერპლს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს და ცდილობდა მასთან ურთიერთობას. გარდა ამისა, მოძალადე უკავშირდებოდა მსხვერპლის ახლო ნათესავებს და მათი მეშვეობით ცდილობდა ქალის ადგილსამყოფლის დადგენას. ასეთმა ქმედებებმა მსხვერპლს მიაყენა მიიმე ფსიქიკური ტანჯვა და აიძულა, მნიშვნელოვნად შეეცვალა ცხოვრების წესი, რაც გამოიხატა საცხოვრებელი ადგილის დატოვებასა და სხვაგან გადასვლაში.

აღსანიშნავია, რომ ძალადობას ჰქონდა სისტემატური ხასიათი. თუმცა, ვინაიდან მოძალადე და მსხვერპლი არ იყვნენ ერთმანეთის ოჯახის წევრები, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემას. მას შემდეგ, რაც, სტამბოლის კონვენციიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა ძალაში (2017 წლის პირველი ივნისიდან), მსხვერპლ ქალებს შესაძლებლობა მიეცათ, ორდერის გამოცემის მიზნით, მიმართონ შესაბამის ორგანოებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მოძალადეები მათი ოჯახის წევრები. სწორედ აღნიშნული შესაძლებლობა გამოიყენეს საიას იურისტებმა, რომლებმაც სასამართლოს დამცავი ორდერის გამო-



ცემის თაობაზე მიმართეს. ასევე, საიას იურისტების მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ადევნება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენდა კანონით აკრძალულ ქმედებას, ის უნდა განხილულიყო, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმა და მოძალადის მიმართ მიღებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი ზომები.

სასამართლომ გაიზიარა საიას იურისტების არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ადევნება გულისხმობს ფსიქოლოგიურ ძალადობას და, რომ მნიშვნელოვანი იყო ქალის უსაფრთხოების დაცვა. შედეგად, მოსამართლემ გამოსცა დამცავი ორდერი ნთვის ვადით, რითაც მოძალადეს აკრძალა მსხვერპლთან კომუნიკაცია ნებისმიერი საშუალებით.

მოძალადემ დამცავი ორდერი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და მიიღო გადაწყვეტილება დამცავი ორდერის ძალაში დატოვების თაობაზე.

მნიშვნელოვანი პრეცედენტი: სასამართლომ პირველად დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, დაეცვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სიცოცხლე.

საანგარიშო პერიოდში საბოლოო გადაწყვეტილება იყო მიღებული კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საქმეზე, რომელსაც საია 2014 წლიდან აწარმოებდა. საქმე შეეხება ფემიციდის შემთხვევას. კერძოდ, 2014 წლის 25 ივლისს ზესტაფონში მდებარე პარკში 19 წლის ს.ს. ყოფილმა მეუღლემ, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომელმა ს.ს-მ, სამსახურებრივ-სამტატო იარაღით მოკლა. მას მსჯავრი განზრახ მკვლელობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი) დაედო და 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ს.ს-ს და ს.ჯ-ს ურთიერთობა ძალადობით დაიწყო. კერძოდ, 2011 წელს 17 წლის

ს.ჯ. იარაღის მუქარით მოიტაცა ს.ს-მ. ზესტაფონის პოლიციამ ბავშვის მოძებნაში ს.ჯ-ს მშობლებს დახმარება არ გაუწია და ს.ჯ. ს.ს-ს ცოლი გახდა. ქორწინების განმავლობაში, ასევე დაშორების შემდეგ, ს.ს. ს.ჯ-ზე სისტემატურად ძალადობდა როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად და იარაღით ემუქრებოდა. კონფლიქტების მიზეზი ბავშვისთვის ალიმენტის გადახდა და ეჭვიანობა იყო.

მკვლელობამდე ს.ჯ-მ მიმართა ზესტაფონის პოლიციას, პროკურატურას და შსს-ს გენერალურ ინსპექციას და მოძალადისგან დაცვა მოითხოვა. მიუხედავად ამისა, მოძალადის შესაჩერებლად კანონით გათვალისწინებული არც ერთი ზომა არ გატარდა. პოლიციის და პროკურატურის რეაგირება ს.ჯ-ს მიმართ იყო დისკრიმინაციული გენდერული ნიშნით – პოლიციამ არ შეაფასა ს.ჯ-ზე განხორციელებული ძალადობის სიმწვავე, არ ასახა ძალადობის ფაქტები ოქმში, არ მიიღო ზომები შემდგომი ძალადობის თავიდან ასაცილებლად და ს.ჯ-ს მიმართეებს შეურაცხმყოფელი, სქესთან დაკავშირებული დამაკნინებელი კომენტარებით პასუხობდა. სამართალდამცავები ს.ს-ს თანამშრომლები და ახლო ნაცნობები იყვნენ. პროკურატურამ, კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ოჯახში ძალადობის და მუქარის ფაქტებზე გამოძიება არ დაიწყო და ქალის მიმართ ძალადობა არ მიიჩნია საკმარისად სერიოზულ დანაშაულად სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. შსს-ს გენერალური ინსპექციაც სრულებით არაეფექტური აღმოჩნდა, შეეჩერებინა ს.ს-ს ძალადობრივი ქცევა – პირის, რომელსაც, თავისი სტატუსის გათვალისწინებით, თავად ევალეობდა საზოგადოების დაცვა ძალადობისა და უკანონობისგან.

2015 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ, საიას სარჩელის საფუძველზე, დაადგინა, რომ შსს-მ და მთავარმა პროკურატურამ არ განახორციელეს

კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები ს.ჯ-ს სიცოცხლის დასაცავად და მათ ს.ჯ-ს დედისთვის ზიანის ანაზღაურება დააკისრა. გადაწყვეტილება შსს-მ და მთავარმა პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 11 იანვარს არ დააკმაყოფილა მათი საჩივრები და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მოპასუხეებმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. ამ უკანასკნელმა 2017 წლის 29 ივნისს საჩივრები დაუშვებლად ცნო.

ეს საქმე არის საქართველოში პირველი პრეცედენტი, როდესაც სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, დაეცვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის სიცოცხლე.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, საია ასევე ახორციელებს წარმომადგენლობას

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საჩივარი ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებს ეფუძნება. საქმე, წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პირველი პრეცედენტი იქნება, რომელსაც ევროპული სასამართლო ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე საქართველოსთან მიმართებით განიხილავს.

პირველი ფემიციდის საქმე გაეროს კომიტეტში – ბ.ძ-ს საქმე

აღნიშნული საქმე ეხება სახელმწიფოს უმოქმედობას, თავიდან აეცილებინა ფემიციდი (გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა) და დანაშაულის არასრულყოფილ გამოძიებას.

ბ.ძ. 2004 წლიდან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში ო.შ-სთან და ცხოვრობდა ქ. რუსთავში. ვინაიდან ო.შ.



მეუღლეზე ახორციელებდა სისტემატურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, 2013 წლის სექტემბრიდან ბ.ძ. შვილებთან ერთად ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. ო.შ-მ განაგრძო მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომლის კულმინაცია გახდა 2014 წლის 6 სექტემბერს ბ.ძ-ს მკვლელობა.

მკვლელობამდე ბ.ძ-მ ოთხჯერ მიმართა პოლიციას (ბოლო შემთხვევაში – მკვლელობამდე 4 დღით ადრე) და ითხოვა მოძალადისგან დაცვა. ამის მიუხედავად, პოლიციამ და პროკურატურამ არ განახორციელეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები ბ.ძ-ს სიცოცხლის დასაცავად. ო.შ-ს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობაში (სსკ-ის 108-ე მუხლი) და მიესაჯა ამ მუხლით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი (7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა).

საია აღნიშნულ საქმეს აწარმოებს ეროვნულ დონეზე და ითხოვს იმ კონკრეტული პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და დასჯას, რომლებმაც არ განახორციელეს სათანადო რეაგირება მსხვერპლის დასაცავად. საანგარიშო პერიოდში ასევე საჩივარი გაიგზავნა გაეროს კომიტეტში (CEDAW). საიამ კომიტეტის წინაშე დააყენა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან მან ვერ უზრუნველყო ბ.ძ-ის სიცოცხლის გადარჩენა; ვერ დაცვა ის არაადამიანური მოპყრობისგან; არ გამოიძია ბ.ძ-ის სიცოცხლის მოსპობა, როგორც გენდერული დანაშაული; ვერ შეძლო ღრმად დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა, რაც ბ.ძ-ის მკვლელობის ძირეული მიზეზი გახდა. აღნიშნულ საქმეში საია ასევე ეროვნულ დონეზე იცავს მოკლეული ქალის დედის ინტერესებს (ადმინისტრაციული წესით) და ითხოვს შესაბამისი უწყებებიდან იმ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემას, რომლებმაც მსხვერპლის შეტყობინებებზე ადეკვატური რეაგირება არ მოახდინეს.

ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობა – რატომ არის გენდერული კვრატა აუსილებელი?

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით ქალები საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, 2016 წლის მონვევის პარლამენტში ისინი 16%-ით არიან წარმოდგენილი. ამ მაჩვენებლით, მსოფლიოს 193 ქვეყანას შორის, საქართველო 120-ე ადგილს იკავებს.

გლობალური გენდერის ინდექსის მიხედვით, საქართველო, 144 ქვეყანას შორის, 90-ე ადგილზეა ქალთა ჩართულობით პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ხოლო უშუალოდ პოლიტიკური მონაწილეობისა და პარლამენტში ქალთა რაოდენობის კუთხით – 114-ე ადგილზე. ევროპაში სულ ორი-სამი სახელმწიფო ჩამოგვრჩება.

ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ანალიზი აჩვენებს, რომ ასეთი ტემპით საქართველოს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება გენდერული თანასწორობის მინიმალურ ზღვრამდე მისაღწევად. აღნიშნული მონაცემებით, საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპულ და დასავლურ სახელმწიფოებს, არამედ გაცილებით უფრო კონსერვატიულ ქვეყნებსაც, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.


2016 წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, გარკვეულწილად, წინ გადადგმული ნაბიჯია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით, რადგან წინა მონვევის პარლამენტში ქალების რაოდენობა კიდევ უფრო დაბალი იყო. 2012-2016 წლების პარლამენტში წარმოდგენილი იყო სულ 18 ქალი, რაც პარლამენტის

მენტის სრული შემადგენლობის (150 დეპუტატი) 12%-ს უდრიდა. 2016 წლის არჩევნების შედეგად, საპარლამენტო მანდატი მოიპოვა 24-მა ქალმა, რაც პარლამენტის სრული შემადგენლობის 16%-ია (მთავრობის ფორმირებისა და ზოგიერთი კანდიდატის მიერ საკუთარ მანდატზე უარის თქმის შედეგად, ამჟამინდელი მდგომარეობით, პარლამენტში ქალების რაოდენობა 23-ს შეადგენს).

საგანგაშო გენდერული დისბალანსია ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, საკრებულოებში არჩეული დეპუტატების მხოლოდ 11.6%-ია ქალი. არსებობს საკრებულოები (თელავი, მცხეთა, წალკა, ასპინძა, ფოთი), სადაც არცერთი ქალი დეპუტატი არ არის.

გენდერული კვოტირების შემოღება წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ რეკომენდაციას გენდერული თანასწორობის მისაღწევად პოლიტიკაში. ასეთივე რეკომენდაცია გასცა CEDAW კომიტეტმა საქართველოს მიმართ იმ შემთხვევით გენდერული ბალანსის გამო, რომელიც დღეს ქვეყანაში არსებობს. მიუხედავად ამისა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საკანონმდებლო რეფორმის განხორციელება ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილი კომიტეტის (რომელსაც საქართველო პერიოდულად წარუდგენს ანგარიშებს ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ) 2014 წლის 18 ივლისის რეკომენდაციების თანახმად, სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმული თანასწორობის მისაღწევად. კომიტეტი გამოთქვამს შემოფოთებას სავალდებულო კვოტირების სისტემის არარსებობასთან



დაკავშირებით და საქართველოს აძლევს რეკომენდაციას, მიიღოს ზომები, რათა, ერთი მხრივ, გაუმჯობესდეს ზოგადად ქალთა ჩართულობა, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს ქალთა დაუცველი და მარგინალური ჯგუფების მეტად ინტეგრირება.

კომიტეტი, ასევე, შემოფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში, განსაკუთრებით, გადანწყვეტილების მიმღებ მაღალ პოზიციებზე. კომიტეტი ამ კუთხით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ასევე გასცემს რეკომენდაციას სავალდებულო ზომების შემოღების შესახებ.



საქართველო შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმასა და პეკინის დეკლარაციას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი წარმოადგენს ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გაძლიერებაა. ამ მიზნით, პეკინის სამოქმედო პლატფორმა ქვეყნებს კონკრეტული ეროვნული მექანიზმების შექმნისაკენ მოუწოდებს.

გარდა ამისა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაციის თანახმად, რომელიც ქალების და კაცების თანაბარ მონაწილეობას ეხება პოლიტიკური და საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, 40% წარმოადგენს იმ რეკომენდირებულ მინიმუმს, რომლის ქვემოთაც არც ერთი სქესის წარმომადგენელი არ უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2017 წლის იანვარში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, ქართველი ამომრჩევლის 74%-ის აზრით, საქართველოს პარლამენტში ქალები მინიმუმ 30%-ს მაინც უნდა შეადგენდნენ, ნაწილი კი მიიჩნევს (35%), რომ პარლამენტში სქესთა შორის ბალანსი 50/50-ზე უნდა იყოს.

2017 წლის 8 მარტს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ჯგუფი შეხვდა საიას თავმჯდომარეს და პროექტის კოორდინატორს. შეხვედრაზე განიხილეს ის წინააღმდეგობა, რაც საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში საიას ინიციატივას შეხვდა კონსტიტუციაში დამატებითი ჩანაწერის გაკეთების თაობაზე. შეხვედრაზე დაიგეგმა ერთობლივი ადვოკატირების სტრატეგია.

საია გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ბაქალირებისთვის ბრძოლაში

2017 წელს საიამ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა რეკომენდაცია კონსტიტუციაში დამატებითი ჩანაწერის გაკეთებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრებოდა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ზომების მიღების ვალდებულება ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და არსებითი თანასწორობის ხელშესაწყობად. საია საკონსტიტუციო კომისიის ფორმატში ადვოკატირებდა კონსტიტუციით არსებითი თანასწორობის პრინციპის აღიარებას და, ამ მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ზომების გატარებას. საიას აღნიშნულ ინიციატივას ასევე აქტიურად დაუჭირა მხარი ქა-

ლთა პოლიტიკაში მონაწილეობის ჯგუფმა. ინიციატივის ავტორები და მხარდამჭერები შეხვდნენ პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც ასევე მხარდაჭერა აღუთქვა ჯგუფს საკითხის ადვოკატირებაში. საბოლოოდ, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში შევიდა აღნიშნული ინიციატივა, ამ სახით შესაბამისი მუხლი დაამტკიცა საკონსტიტუციო კომისიამ და შემდგომში – პარლამენტმა.

ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, საიამ აგრეთვე წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივა გენდერული კვოტირების თაობაზე, რომელსაც 37,000-ზე მეტი მოქალაქე უჭერს მხარს. საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს, რომ პოლიტი-

კური პარტიები ვალდებული იქნებიან, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სია გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით დააკომპლექტონ და სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ არჩეულ წევრს რაიმე მიზეზით შეუწყდება დეპუტატის უფლებამოსილება, დეპუტატის მანდატს იმავე სქესის, რიგით მომდევნო კანდიდატი მიიღებს.

2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კანონპროექტი პარლამენტის სამმა კომიტეტმა განიხილა და სამივემ მხარი დაუჭირა. საია და ჯგუფის სხვა წევრები გააგრძელებენ აქტიურ მუშაობას, რათა კანონპროექტი მალევე იქცეს კანონად.



დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და თანასწორობის ხელშეწყობა



დისკრიმინაცია და უთანასწორობა საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის თვალსაზრისით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 2 მაისს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რაც უდავოდ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა, ამ მიმართულებით ხელშესახები პროგრესი არ შეინიშნება. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტი, უკვე არაერთი წელია, აჭიანურებს აღნიშნულ კანონში საჭირო დამატებითი ცვლილებების შეტანის პროცესს.

წინა მოწვევის პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მხოლოდ ერთი მოსმენით განიხილა სახალხო დამცველის ავტორობით მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, სახალხო დამცველის მიერ დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტური მექანიზმის შექმნას, ასევე,

გარკვეული ბარიერების მოხსნას, რაც ართულებს სამართალწარმოებას დისკრიმინაციის საქმეებზე. ამ მოწვევის პარლამენტს ჯერჯერობით არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს კანონპროექტზე მუშაობის გასაახლებლად. სირთულეები და მნიშვნელოვანი ხარვეზები რჩება მოქმედი კანონის იმპლემენტაციისა და პრაქტიკაში გატარების თვალსაზრისითაც.

2017 წლის 17 მაისს ლგბტ თემმა შეძლო, აღენიშნა ჰომობოფიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე მთავრობის ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახელმწიფო უწყებების მიერ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების დაცვით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოვლენა და მასზე სახელმწიფოს ეფექტური რეაგირება. კერძოდ, არ ხდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დაკვალიფიცირება მათი სიმძიმის შესაბამისად და დანაშაუ-

ლის ჩადენის დისკრიმინაციული მოტივის შესწავლა/გამოვლენა გამოძიების პროცესში. სახელმწიფოს არ გააჩნია ამგვარ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგია.

საიას საქმიანობა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის და თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით

ბოლო წლების განმავლობაში საიამ კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობა თანასწორობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის საქმიანობა ამ კუთხით მოიცავდა როგორც სტრატეგიულ სამართალწარმოებას, ასევე თანასწორობის პოლიტიკის აქტიურ ადვოკატირებას, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას ინკლუზიური

გარემოს ჩამოსაყალიბებლად, ცნობიერების ამაღლების კამპანიას და ა.შ. უფრო კონკრეტულად:

- საია აქტიურად ადვოკატირებდა თანასწორობის საკითხებს საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში, ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში. სხვა საკითხებთან ერთად, საიას ეკუთვნოდა ინიციატივა კონსტიტუციაში ფორმალური თანასწორობის მოდელის არსებითი თანასწორობის მოდელით ჩანაცვლებისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე ცალკე ჩანანერის დამატების თაობაზე.
- საანგარიშო წლის განმავლობაში საიას წარმოებაში ჰქონდა 15-მდე სტრატეგიული საქმე. ორგანიზაცია აქტიურად მიმართავდა როგორც სახალხო დამცველთან არსებულ ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს, ასევე, საერთო და საკონსტიტუციო სამართლოებს დისკრიმინაციის ფაქტების



დასადგენად და ბენეფიციართა დარღვეული უფლებების აღდგენის უზრუნველსაყოფად.


- 2017 წელს საიამ ორგანიზაციის ისტორიაში პირველი საჩივარი შეიტანა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW), რომელიც ეხება სქესის ნიშნით დისკრიმინაციას.

- საანგარიშო წლის განმავლობაში საიამ იურისტებმა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული არაერთი შეხვედრა გამართეს რეგიონებში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც პრობლემას წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციაზე მისაწვდომობა, ფართოდ არის გავრცელებული სტიგმა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ და ჯერ კიდევ ძლიერია საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური კულტურა და არაშემწყნარებლური დამოკიდებულება, რაც ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და დაცვას მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს.

- ცნობიერების ამაღლების კამპანია მოიცავდა დაინტერესებული ჯგუფებისათვის საინფორმაციო სემინარების, მრგვალი მაგიდების, დისკუსიების, საჯარო შეხვედრების ჩატარებას, ასევე, რეგიონულ ტელევიზიებთან თანამშრომლობით, ერთობლივი ტელე და რადიო გადაცემების მომზადებას.

- საანგარიშო პერიოდში საიამ აირჩიეს კოალიციის – „თანასწორობისათვის“ – თავმჯდომარედ. საიამ აღნიშნული კოალიციის დამფუძნებელი და წევრია 2014 წლიდან. კოალიციის მიზანია სტრატეგიული სამართალწარმოება ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გამოყენებით და თანასწორობის პოლიტიკის ადვოკატირება.

- საანგარიშო პერიოდში კოალიციამ „თანასწორობისათვის“, საიამს მონაწილეობით, გამოსცა ანგარიში – „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისათვის საქართველოში.“ ანგარიში ეხება გენდერულ თანასწორობას და ქალთა უფლებრივ მდგომარეობას, ლგბტ ადამიანებს და პოლიტიკურ ჰომოფობიას, რელიგიურ თავისუფლებას, რასისა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას, ბავშვთა დისკრიმინაციას, საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დისკრიმინაციასა და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას.



- 2016-2017 წლების განმავლობაში კოალიცია საჯარო განცხადებებისა და შეხვედრების მეშვეობით ადვოკატირებდა სახელმწიფოს დისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ცვლილებას გენდერულ თანასწორობასთან, აუტიზმის მქონე ბავშვთა და ლგბტ ადამიანების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. კოალიცია აწარმოებს კამპანიებს დისკრიმინაციაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ინსტიტუციური დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით.

- საანგარიშო პერიოდში საიამ, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფთან ერთად, პარლამენტს წარუდგინა 37,000-ზე მეტი მოქალაქის მიერ მხარდაჭერილი საკანონმდებლო წინადადება გენდერული კვოტირების შესახებ, რომელიც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას ისახავს მიზნად როგორც პარლამენტში (50% კვოტა პროპორციულ სიაში), ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

- საანგარიშო წლის განმავლობაში საიამ, ორგანიზაციის ისტორიაში პირველად, განახორციელა სისტემური მონიტორინგი საარჩევნო გარემოს ინკლუზიურობის შესაფასებლად ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ინკლუზიის მიმართულებით.

- ასევე, 2017 წლის არჩევნებზე საიამ პირველად დააკვირდა და შეაფასა საარჩევნო ხმის უფლების რეალიზაცია ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის პერსპექტივიდან.

სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში საიამ წარმოებაში ჰქონდა საქმე – **როინ გავაშელიშვილი და ვალერიან მიგინეიშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ**. საქმე ეხებოდა მთავრობის დადგენილების იმ ნორმის არაკონსტიტუციურობას, რომელიც საყოველთაო დაზღვევის საბაზისო პაკეტით მოსარგებლეთა წრიდან გამოორიცხავდა იმ პირებს, რომლებსაც კერძო დაზღვევა 2013 წლის 1 ივლისის შემდეგ შეუწყდათ. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა.

საანგარიშო პერიოდში საიამ წარმატებით დაასრულა სამართალწარმოება საქმეზე

უფლებები

შეზღუდული შესაძლებლობები და ბრძოლა თანასწორობისთვის

– ლევან ბერიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებას, რომელიც სისხლის დონორობას უკრძალავდა იმ მამაკაცებს, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონდათ სექსი მამაკაცთან (მსმ). 2017 წლის 13 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გასაჩივრებული ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

კიდევ ერთ საქმეზე, საიას საჩივრის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაცია და სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით, შეიტანოს ცვლილება სოციალური დახმარების მარეგულირებელ აქტებში.

საქმე შეეხებოდა მ.ს-ის შვიდ სულიან ოჯახს, რომელიც მძიმე პირობებში ცხოვრობს ვაზიანში. ოჯახის შემადგენლობაში შედის საქართველოს 6 მოქალაქე, რომელთაგან 4 არასრულწლოვანია და ერთი – უცხო ქვეყნის მოქალაქე. ეს უკანასკნელი მრავალი წელია საქართველოში ცხოვრობს, თუმცა, არ აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვა.

მ.ს-მ არაერთხელ მიმართა გარდაბნის რაიონული განყოფილების სოციალური მომსახურების სააგენტოს საარსებო შემწეობის მისაღებად. გარდაბნის რაიონულმა განყოფილებამ განმცხადებელს აცნობა, რომ შეწყდა მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესი, რომლის განახლებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი მისი ოჯახის წევრი გახდებოდა საქართველოს მოქალაქე ან მიიღებდა ბინადრობის ნებართვას.

სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მ.ს. და მისი შვილები, უცხო ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრად შემოერთებამდე, რეგისტრირებული იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდნენ სოციალურ დახმარებას. ამდენად, სტატუსის დაკარგვა სწორედ იმ გარემოებამ განაპირობა, რომ მათი ოჯახის ერთ-ერთ წევრი არ იყო საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, არ ჰქონდა ბინადრობის ნებართვა.

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მოქმედი სოციალური კანონმდებლობა იყო დისკრიმინაციული, ვინაიდან, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ან ბინადრობის ნებართვის არმქონე ოჯახის წევრის ყოლის შემთხვევაში, არ ითვალისწინებდა სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას. რეკომენდაციის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს კანონმდებლობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ ერთი რომელიმე წევრის მიერ სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობამ არ გამოიწვიოს სხვა წევრებისათვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვა.

მას შემდგომ, რაც შესრულდება სახალხო დამცველის რეკომენდაცია და დისკრიმინაცია აღმოიფხვრება, ოჯახის მდგომარეობა შეფასდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ და, შეფასების შედეგების გათვალისწინებით, მოხდება სოციალური დახმარების გაცემა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე უხილავ და დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ. ჯერ კიდევ 2009 წელს საქართველომ ხელი მოაწერა საერთაშორისო კონვენციას შშმ პირთა უფლებების შესახებ, თუმცა, დოკუმენტი სავალდებულო ძალის მქონე 2014 წლის აპრილიდან გახდა. შედეგად, სახელმწიფოს დაევალა, შეექმნა ან გაეძლიერებინა ერთი ან რამდენიმე მოქმედი დამოუკიდებელი მექანიზმი კონვენციის იმპლემენტაციის, პოპულარიზაციის, დაცვისა და მონიტორინგისთვის. 2014 წლის ოქტომბერში ასეთ მექანიზმზე პასუხისმგებელ ორგანოდ საქართველოს სახალხო დამცველი დასახელდა.

2014 წელსვე გაუქმდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქმედუუნარობის მოდელი, რასაც საფუძველი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილმა საჩივარმა დაუდო საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

კერძოდ, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქმედუუნარობის მოდელი, რომელიც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ნებას ბლან-

კეტურად ანაცვლებდა მეურვის ნებით. მეურვეობა, რაც გულისხმობდა შშმ პირისათვის ქმედუუნარობის სრულად ჩამორთმევას, აღნიშნული პირებისათვის პრაქტიკულად „სამოქალაქო სიკვდილს“ უდრიდა. მისი გაუქმების სანაცვლოდ, კანონმდებელმა სამართალსუბიექტად ცნო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და შემოიღო მხარდაჭერის სისტემა, რომლის მეშვეობითაც პირს ენიშნება მხარდაჭერი ინდივიდუალური შეფასებით განსაზღვრული საჭიროებების მიხედვით. მხარდაჭერის მოვალეობაა, დაეხმაროს მხარდაჭერის მიმღებს გადაწყვეტილებების მიღებაში და გარიგების დადებისას გარიგების პირობებისა და შედეგების სრულ აღქმაში.

მიუხედავად კანონმდებლობის დონეზე ამ უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯისა, შშმ პირთა უფლებების პრაქტიკაში რეალიზაციის თვალსაზრისით, 2014 წლიდან მოყოლებული, ხე-



ლშესახები პროგრესი არ მომხდარა. სახალხო დამცველის შეფასებით, მხარდაჭერის მიმღებად ცნობის არსებული პრაქტიკა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ტერმინი „ქმედუუნარო“ მექანიკურად არის ჩანაცვლებული „მხარდაჭერის მიმღებით“, რადგან ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის უფლებები ძველი წესის მიხედვით იზღუდება და თავად ამ პირთათვის არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ნიშანდობლივია ისიც, რომ დღემდე მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ტერმინი „ინვალიდი“.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ომბუდსმენის, მედიის და სამოქალაქო სექტორის აქტიური ძალისხმევის შედეგად, შშმ პირთა უფლებები დღეს ადამიანის უფლებათა შესახებ ქვეყანაში მიმდინარე დისკუსიების და უფლებადაცვითი საქმიანობის პრაქტიკულად განუყოფელ ნაწილად იქცა. შშმ პირები თანდათან გამოდიან „უხილავობის“ ეტაპიდან და იწყებენ ბრძოლას საკუთარი უფლებებისთვის.

ამ ბრძოლაში მათი მხარდაჭერა საიას საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამ კუთხით შემდეგი სამუშაოები განახორციელა:

- არაერთი შშმ პირის უფლებების დაცვასა და პატივისცემას შეუწყო ხელი უფასო იურიდიული დახმარებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით. საანგარიშო პერიოდში საიას წარმოებაში ჰქონდა 10-ზე მეტი საქმე, რომლებიც შშმ პირთა უფლებების შელახვას ეხება. ორგანიზაცია აქტიურად იყენებდა როგორც სასამართლოს, ისე სახალხო დამცველის ოფისთან არსებულ ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს შშმ პირთა უფლებების დასაცავად.
- სამართალწარმოების პარალელურად, შშმ პირთა უფლებები და მათი საჭიროებები საანგარიშო პერიოდში საიას გამჭოლ

პრიორიტეტად იქცა სხვადასხვა პროექტის განხორციელების დროს, როგორცაა, მაგალითად, მართლმსაჯულების სისტემის მონიტორინგი, საარჩევნო გარემოს და არჩევნების დღის მონიტორინგი და სხვა.

- 2017 წელს მიღებულ ახალ კონსტიტუციაში გაჩნდა ცალკე მკაფიო ჩანაწერი შშმ პირებთან მიმართებით სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ. საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში კონკრეტულ ფორმულირებაზე გამართულ დისკუსიებში საიას აქტიურად უჭერდა მხარს შშმ პირთა მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებების რაც შეიძლება მკაფიო და კონკრეტული ტერმინის დამკვიდრებას, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც კომისიამ, საბოლოოდ, გაიზიარა.
- საიას მიერ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის განხორციელებისას სისტემატურად ხდება შშმ პირთა მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის

საკითხების კვლევა და ანალიზი. შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები მოცემულია კვლევებში, რომელთა საფუძველზეც ორგანიზაცია უზრუნველყოფს არსებული პრობლემების შესახებ მგრძობელობის და ცნობიერების ამაღლებას და ცვლილებების ადვოკატირებას.

- საანგარიშო პერიოდში საიას აქტიურად ჩაერთო ცესკოს ფორმატში არსებული ინკლუზიური გარემოს ხელშემწყობ სამუშაო ჯგუფში, სადაც, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, განიხილავს და მსჯელობს იმ გამონვევებსა და საჭიროებებზე, რომლებიც შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას გააუმჯობესებს. მაგალითად, მიმდინარე წელს ჯგუფის ფორმატში შეიქმნა შშმ პირთა მიმართ საუბნო საარჩევნო კომისიებში კომისიის წევრთა ქცევის სტანდარტი, ადაპტირებული გახდა ცესკოს ვებგვერდი მცირე მხედველთათვის და ამოქმედდა სერვისი სმენის არმქონე და სმენის შეზღუდვების მქონე ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის ფესტურ ენაზე მიწოდების თაობაზე.

- აღნიშნულის გარდა, საიამ, ინკლუზიური გარემოს კვლევის საფუძველზე წარმოდგენილი მიგნებისა და გამონვევების გასაზიარებლად, შექმნა ინკლუზიური გარემოს ხელშემწყობი თემატური ჯგუფი, რომელშიც განევიანებულნი არიან როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ასევე სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჯგუფის მუშაობის მიზანს წარმოადგენს არსებულ გამონვევებზე მსჯელობა და რეალური ქმედებების დაგეგმვა ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

- საიამ საქართველოს მასშტაბით გამართა არაერთი ქსელური შეხვედრა საარჩევ-



ნო სუბიექტებთან, კანდიდატებთან, მედიისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე, სხვა საკითხებთან ერთად, ორგანიზაციამ დაინტერესებულ პირებს მიანოდა სრულყოფილი ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური/საარჩევნო უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებულ გამოწვევებსა და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მიერ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, განსახორციელებელი აქტივობების საჭიროების შესახებ.

- უკვე 2017 წლის არჩევნებისთვის, საიას სადამკვირვებლო ისტორიაში პირველად, კენჭისყრის დღის მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა, თუ რამდენად ახორციელებდნენ შშმ პირები თავიანთ კონსტიტუციურ უფლებას არჩევნებში ხმის მიცემის თვალსაზრისით და რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს მხარდაჭერის მიმღები პირებისათვის, როგორც არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისთვის.

- საიამ, „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, 2017 წელს მოამზადა ალტერნატიული ანგარიში შშმ პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობაზე საქართველოში. ანგარიში გამიზნულია გაეროს შესაბამის კომიტეტში წარსადგენად და უახლოეს მომავალში გაიგზავნება ადრესატთან.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

შშმ პირებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება მოიცავს როგორც სასამართლოს ხელმისაწვდომობას, ისე სამართალწარმოების პროცესში ადამიანის ღირსების პატივისცემას და მის დაცვას სტიგმატიზაციისგან. თუ აღნიშნული გამოვლინდა სასამართლო პროცესების დროს, ეს არის ბარიერი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან მიმართ



თებით, იმის მიუხედავად, თუ რა გავლენა მოახდინა მან საქმის შედეგზე. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არ არის მხოლოდ და მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული კონცეფცია და გულისხმობს პროცესის ცალკეული საკითხების შეფასებასაც.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგმა აჩვენა, რომ:

- შშმ პირები, განსაკუთრებით ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირები, აწყდებიან სტიგმატიზაციის დისკრიმინაციის წამახალისებელ დამოკიდებულებას სასამართლო პროცესების დროს.

- საქართველოში დღესდღეობით არ არსებობენ მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციელები და ადვოკატები, რომლებიც სპეციალიზდებიან შშმ პირთა საკითხებში. აღნიშნული, რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერებს შშმ პირებისთვის.

- მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა მხრიდან, რიგ შემთხვევებში, ადგილი აქვს არაეთიკურ ქცევას, სტიგმის შემცველ დამოკიდებულებას, რაც პირის მახასიათებლებს უსვამს ხაზს და ქმნის მისთვის დამამცირებელ გარემოს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო არ აწარმოებს სეგრეგირებულ სტატისტიკას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე. სამართალდამცავ ორგანოებს არ აქვთ ეფექტური რეაგირების მექანიზმები და ხელმძღვანელებს შშმ პირებზე არსებული მითებითა და სტერეოტიპებით, მათ შორის იმით, რომ მათი მონათხრობი არ არის სანდო. შესაბამისად, მართლმსაჯულება, ძირითადად, ემსახურება არა სამართლიანობის აღდგენას დანაშაულის მსხვერპლი შშმ პირებისთვის, არამედ, დანაშაულის შეტყობინების შემთხვევებში, შშმ

პირების მდგომარეობის გაუარესებას და დამატებით სტიგმატიზაციას.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ორმაგად უფრო მოწყვლადები არიან შშმ ქალები, განსაკუთრებით – გენდერული ნიშნით ჩადენილი და სხვა დანაშაულების მიმართ. მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერებს ქმნის ინტერსექციური დისკრიმინაცია სქესისა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ასევე, მძიმე სოციალური მდგომარეობა და ინფორმაციისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, რაც არაპროპორციულად ეხება შშმ ქალებს.

სისხლის სამართლის არსებული პოლიტიკა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები არ არის მორგებული შშმ ქალთა საჭიროებებზე. რეფერირების დოკუმენტებში არ არის განვირეული შშმ ქალთა რეფერირების პროცედურა, არ არის გაანალიზებული „ფიზიკური საფრთხისა“ და კომუნიკაციის ბარიერები. კომუნიკაციის ბარიერი პრაქტიკაში იწვევს სამართალდამცავ ორგანოთა მიერ შშმ პირისგან სრული ინფორმაციის მიღების შეუძლებლობას, რის შედეგადაც ირღვევა მათი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება. არსებული ბარიერები ხელს უშლის საქმეს სამართალდამცავ ორგანოებსა ან სასამართლომდე მიღწევაში, ხოლო მიღწევის შემთხვევაში, ექვემდებარება ზემოხსენებულ ბარიერებს.

ინფორმაციის არქონა, უნდობლობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, მოძალადის მხრიდან მსხვერპლის იზოლირების საფრთხე (რომელიც, შესაძლოა, მისი ერთადერთი მომვლელია), შერცხვენის, დასჯის, შვილების წართმევის შიში აბრკოლებს შშმ ქალებს, შეატყობინონ ძალადობის შესახებ და გამოიყენონ დაცვის სამართლებრივი მექანიზმები.

საარჩევნო გარემო და შშმ პირთა უფლებები

შშმ პირთა უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირების შემდეგ შესაბამისი ცვლილება განხორციელდა საარჩევნო კოდექსშიც, რომლის თანახმადაც, მხარდაჭერის მიმღებს მიენიჭა საარჩევნო უფლება, თუ იგი, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოთავსებული არ არის სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ამგვარად, კანონით განისაზღვრა, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს მხარდაჭერის მიმღებ ყველა პირს, თუ ისინი ფსიქიატრიულ სტაციონარში არ არიან მოთავსებულნი.

შესაბამისად, საარჩევნო კოდექსით დადგინდა ვალდებულება საარჩევნო უბნების ადაპტირების თაობაზე (მარტივი ადაპტირება თუ შესაბამისი ინვენტარი – გამადიდებელი ლინზა თუ ჩარჩო მცირემხედველთათვის) და გამარტივებული საარჩევნო პროცედურები. აგრეთვე, საქართველოს მთავრობის სამოქმედო და ცესკოს სტრატეგიულ გეგმებში გაინერა მთელი რიგი ვალდებულებები სახელმწიფო უწყებებისთვის, რათა შეიქმნას თანაბარი

საარჩევნო გარემო შშმ პირებისათვის და მოხდეს მათი აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად, ცესკომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არაერთი ღონისძიება განახორციელა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ძირითადი პრობლემა, რომელიც შშმ პირების პოლიტიკური უფლებების შესწავლისას საიას კვლევაში გამოიკვეთა, არის ის რომ, ისინი აქტიურად არ არიან ჩართულნი საარჩევნო პროცესში. მართალია, მათდამი ყურადღება წინასაარჩევნო პერიოდში იზრდება, თუმცა, პოლიტიკური პარტიები მხოლოდ მანიპულირებენ ამ თემით და არჩევნების დასრულების შემდეგ აქტივობები აღარ გრძელდება. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ცნობიერების ხარისხი და ინფორმაციული ვაკუუმი პოლიტიკური უფლებებისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ.

საიას კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობას არ აქვს

სრულყოფილი წარმოდგენა ეროვნულ კანონმდებლობასა თუ საერთაშორისო აქტებთან დაკავშირებით. რამდენიმე მათგანს სმენია კანონში შესული ცვლილებების შესახებ მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუმცა, სიღრმისეულ ინფორმაციას არ ფლობენ. მძიმეა მათი ფინანსური და სოციალური მდგომარეობაც. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების, მათ შორის, თავად ოჯახის წევრების არასაკმარისი მზაობა, ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სრულყოფილად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„ძალიან რთულია, როცა აწნობიერებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობები გაქვს. შინაგანად გსურს სხვადასხვა საქმიანობა განახორციელო, მაგრამ თითქოს ხელ-ფეხი გაქვს შეკრული. ყველაზე დიდი საშინელებაა, როცა ადამიანებისგან, მხარდაჭერის ნაცვლად, სიბრაღის გრძობა“.

[ფოკუს-ჯგუფის მონაწილე]

სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში საიას წარმოებაში ჰქონდა 10-ზე მეტი საქმე, რომლებიც შშმ პირთა უფლებების შელახვას ეხებოდა. ორგანიზაცია აქტიურად იყენებდა როგორც სასამართლოს, ასევე, სახალხო დამცველთან არსებულ ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს შშმ პირთა უფლებების დასაცავად. წარმატებით დასრულებული საქმეების შედეგად, ჩვენმა ბენეფიციარებმა, განცდილი მატერიალური და მორალური ზიანის სანაცვლოდ, მიიღეს კომპენსაცია, დაიბრუნეს საკუთრება, გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისგან და ა.შ.

რაც შეეხება მიმდინარე საქმეებს, მათი წარმატებით დასრულებით, არა მხოლოდ დაკმაყოფილდება კონკრეტული ბენეფიციარების ინტერესები, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ასევე საფუძვლად დაედოს პოზიტიურ ცვლილებებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებსა და პრაქტიკაში, შშმ პირთათვის თანასწორი უფლებების და გარემოს უზრუნველსაყოფად.

„როდესაც ჩვენს ქვეყანაში შშმ პირთათვის ადაპტირებულ გარემოზე საუბრობენ, ძირითადად, გულისხმობენ ეტლით მოსარგებლებს. სამწუხაროდ, არც საარჩევნო უბნებზე და არც, ზოგადად, ქუჩებში არ არის ადაპტირებული გარემო შეზღუდული მხედველობის, სმენის პრობლემების მქონე და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რომლებსაც შესაბამისი მანიშნებლები ესაჭიროებათ დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის“.

[ფოკუს-ჯგუფის მონაწილე]



მაგალითად, საიას შეფასებით, დღევანდელი მდგომარეობით, პრობლემურია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით დეკლარაციის შევსების წესი, ვინაიდან ის არ ითვალისწინებს შუამდობის განსხვავებულ საჭიროებებს, რამაც შეიძლება სერიოზულად დააზიანოს სოციალურად დაუცველის სტატუსის მაძიებელი შუამდობის ინტერესები. პრობლემურია კიდევ ერთი გარემოება – ბათუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს არ გააჩნია შუამდობაზე ადაპტირებული ავტომანქანა და თუ შუამდობის სურს გამოცდის ჩაბარება და მართვის მოწმობის აღება, ადაპტირებული ავტომობილი მან თავად უნდა წარადგინოს. ამ ორივე შემთხვევაში, საიამ შუამდობის განხორციელების სახელით მიმართა სახალხო დამცველთან არსებულ ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს.

მნიშვნელოვანი პრეცედენტი: მიუხედავად კანონში შესაბამისი ნორმის არარსებობისა, სასამართლომ ქმედუნაროდ აღიარებულ პირს სტატუსი გაუუქმა და ქმედუნარიანად აღიარა.



საიას სარჩელის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქმედუნაროდ აღიარებულ პირს აღუდგა ქმედუნარიანობა და მისთვის დანიშნული მეურვეობა გაუქმდა.

ბენეფიციარი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღიარებული იყო ქმედუნაროდ და მას დამოუკიდებლად არ შეეძლო საკუთარი უფლებების განხორციელება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, პირის მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, საჭირო გახდა ამ სტატუსის გაუქმება, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებდა ქმედუნაროდ აღიარებული პირისთვის სტატუსის შეწყვეტასა და მის ქმედუნარიანად აღიარებას. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საიას ბენეფიციარი აღიარებული უნდა ყოფილიყო ქმედუნარიანად და განმარტა, რომ კანონის არარსებობის პირობებშიც კი, შეიძლებოდა ქმედუნაროდ აღიარებული პირისთვის სტატუსის გაუქმება და მისი ქმედუნარიანად აღიარება.

აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად, პირი შეძლებს საკუთარი უფლებების დამოუკიდებლად განხორციელებას.

სტრატეგიული სამართალწარმოება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, აღიარების უფლებათა ევროპულ სასამართლოში და გაერთიანებული ეკიპის ორგანიზაციაში

საკონსტიტუციო სამართალწარმოება – წარმატებული საქმეები

საანგარიშო პერიოდში საიამ საკონსტიტუციო სამართალწარმოება წარმატებით დაასრულა 7 საქმეზე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საიას მიერ გასაჩივრებული ნორმა 6 საქმეში, მათ შორის – საანგარიშო პერიოდში შეტანილ ერთ საქმეზე. კიდევ ერთ საქმეზე, მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება, თუმცა, მოპასუხემ შეცვალა გასაჩივრებული ნორმა იმგვარად, რომ პრობლემა ნაწილობრივ მოგვარდა.

1. ერასტი ჯაქოზია და კარინე შახპარონიანი საქართველოს კარლამენის წინააღმდეგ

2016 წლის 29 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე – კარინე შახპა-



რონიანი და ერასტი ჯაკობია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. გადამწყვეტილების სრული ტექსტი გამოქვეყნდა 2017 წლის იანვარში. ამ საქმეში საია, „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების კოალიციაში“ შემავალ ორგანიზაციებთან ერთად, წარმოადგენდა მოსარჩევეების ინტერესებს. სარჩელი ეხებოდა 2016 წლის 3 ივნისს პარლამენტის მიერ ნაჩქარევად მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ემსახურებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობის შემცირებას, კერძოდ – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შესაჩერებლად დამატებითი ბარიერის შექმნას და ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის პროცედურის გართულებას. პროფესიულ წრეებსა და საზოგადოების ნაწილში გაჩნდა აღქმა, რომ ეს ცვლილებები წარმოადგენდა პასუხს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლომ გასაჩივრებული ნორმის მოქმედება შეაჩერა და, შედეგად, შეუძლებელი გახდა ტელევიზიაში მესაკუთრის ცვლილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და, კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სამართლიანი სასამართლო) წინააღმდეგობის გამო, არაკონსტიტუციურად ცნო შემდეგი ნორმები:

- „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის ნორმა, რომელიც ორგანული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისთვის, 9-დან, უბრალო უმრავლესობის (5 ხმა) ნაცვლად, ითხოვდა 6 ხმას;

- ნორმა, რომელიც მოსამართლეს ავტომატურად უწყვეტდა უფლებამოსილებას 10 წლის ვადის დადგომისთანავე, თუ არ იყო დანიშნული ამ მოსამართლის უფლებამონაცვლე და მოსამართლეების საერთო რაოდენობა იყო 7-ზე ნაკლები (თუ მოსამართლეები 7-ზე ნაკლებია, პლენუმი ვერ განიხილავს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხს და ამით სასამართლოს პარალიზება ხდება);

- ნორმა, რომელიც მხოლოდ პლენუმს აძლევს ნორმის შეჩერების უფლებამოსილებას, მაშინაც კი, როცა საქმე კოლეგიის წარმოებაშია;

- ნორმა, რომელიც ერთ მოსამართლეს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ეშუამდგომლა საქმის გადაცემაზე კოლეგიიდან პლენუმისთვის და, ამასთან, საქმის კოლეგიაში დარჩენისთვის აუცილებელ პირობად ადგენდა 5 მოსამართლის ხმას. როდესაც ასეთ შუამდგომლობას განიხილავდა 6 მოსამართლე, ოთხი ითხოვდა, რომ საქმე კოლეგიას დაბრუნებოდა და მხოლოდ 2 ემხრობოდა საქმის პლენუმისთვის გადაცემას, გადამწყვეტი იყო ამ ორი მოსამართლის ხმა უმრავლესობის (4-ის) წინააღმდეგ. სწორედ ეს წესი ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად.

2. ელიზარ გოდუაძე შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ

2017 წლის 9 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ საიას კიდევ ერთი სარჩელი დააკმაყოფილა. 2015 წლის 26 იანვარს საიამ, მოქალაქე ედიშერ გოდუაძის სახელით, საკონსტიტუციო სასამართლოს

მიმართა და მოითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრის იმ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის შესახებ მონაცემების უვადოდ შენახვას ითვალისწინებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა კონსტიტუციის მე-16 მუხლის (პიროვნული განვითარების უფლება) დარღვევა და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ არცერთი მონაცემი არ უნდა ინახებოდეს უვადოდ, ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მისი გარდაცვალების შემდეგ.

ამ გადაწყვეტილების შედეგად, არქივში სამართალდარღვევის შესახებ მონაცემი არ შეიძლება, ინახებოდეს ერთ წელზე მეტი ვადით.

3. როინ ბავაშვიშვილი და ვალერიან მიზინიშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოსიალური დახმების მინისტრის წინააღმდეგ

2015 წლის 3 ივნისს საიამ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა მთავრობის დადგენილების იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც ადამიანებს, რომლებსაც კერძო დაზღვევა შეუწყდათ 2013 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამორიცხავდა საყოველთაო დაზღვევის საბაზისო პაკეტით მოსარგებლეთა წრიდან. ასეთ პირებს შეეძლოთ, ესარგებლათ მხოლოდ მინიმალური პაკეტით, რაც არ ანაზღაურებდა გეგმიურ ოპერაციებს.

საიას აზრით, აღნიშნული ნორმა იყო დისკრიმინაციული და ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლს.



2017 წლის 25 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ 2013 წლის 1 ივლისის წყალგამყოფი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც 2013 წლის 1 ივლისის შემდეგ დაკარგეს კერძო დაზღვევა და ვერ სარგებლობდნენ საყოველთაო დაზღვევის საბაზისო პაკეტით.

4. ქახა ქუკავა საქართველოს კარლამენძის წინააღმდეგ

2017 წლის 17 მაისს, საიას სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის-

ვის დადგენილი ბინადრობის ორ წლიანი ცენზი. ამ საქმეში საია იცავდა მოქალაქე კახა კუკავას ინტერესებს. გასაჩივრებული იყო საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც პირს უკრძალავდა გამგებლის, მერისა და საკრებულოს წევრის არჩევნებში კენჭისყრას, თუკი კანდიდატი არჩევნებამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა საქართველოში.

საკონსტიტუციო სასამართლომ მერთან და გამგებელთან მიმართებით დაადგინა კონსტიტუციის 29-ე მუხლის (თანამდებობის დაკავების უფლება), ხოლო საკრებულოს წევრთან მიმართებით – კონსტიტუციის 28-ე მუხლის (პასიური საარჩევნო უფლება) დარღვევა. შედეგად, ბინადრობის 2 წლიანი ცენზი აღარ არსებობს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრება არ უზრუნველყოფდა პირის უკეთ ინფორმირებულობას მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ გასაჩივრებული ნორმა კანდიდატისგან მოითხოვდა 2 წლის განმავლობაში საქართველოში ნებისმიერ ადგილას ცხოვრებას და არა – იმ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში, სადაც აღნიშნული პირი არჩევითი თანამდებობის დაკავებას გეგმავდა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არსებობდა სხვა საშუალებები, მათ შორის ტრადიციული და ახალი მედია, საიდანაც კანდიდატს კონკრეტული მუნიციპალიტეტის პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღება შეეძლო და ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ცხოვრება აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

5. ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს კარლამენტის წინააღმდეგ

2017 წლის 17 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას სარჩელი საქმეზე – ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მერიის/გამგეობის სტრუქტურული ერთეულების უფროსებს ავტომატურად უწყვეტდა უფლებამოსილებას მას შემდეგ, რაც ახალი მერის/გამგებლის არჩევა მოხდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნორმა, რომელიც მერს/გამგებელს ანიჭებდა უფლებას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სამსახურიდან გაეთავისუფლებინა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გასაჩივრებული ნორმები ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 29-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებს (სახელმწიფო სამსახურიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებისგან დაცვის უფლება).

6. ნანა ფარჩუკაშვილი პრობასიის და სასჯელაღსრულების სამინისტროს წინააღმდეგ

აღნიშნული საქმე ეხება ქალთა საპატიმრო დაწესებულებაში წლების განმავლობაში არსებულ პრაქტიკას, როდესაც ხდებოდა ქალების სრულად გაშიშვლება და შემონემა (მათ შორის, მათ ორგანიზმში უკანა ტანიდან შეღწევის გზით) უსაფრთხოების მიზნებისათვის.


საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ საქმეზე ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია. თუმცა, სასჯელაღსრულების სამინისტრომ გაიზიარა საიას პოზიცია და 2017 წელს ქალთა დაწესებულებაში დამონტაჟდა სკანერის აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს პატიმართა შემონმებას იმგვარად, რომ დაცულია უსაფრთხოების წესები და, ამასთან, შემონმების ფორმა არ არის ღირსების შემლახავი.

7. ლევან ბერიანიძე და გორჯაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების მინისტრის წინააღმდეგ

2014 წლის 2 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება, რომლითაც ჰომოსექსუალს ეკრძალებოდა სისხლის დონორობა. ჰომოსექსუალისათვის, მათ შორის მსმ-ისათვის, მთელი ცხოვრების განმავლობაში სისხლის დონორობის აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია კონსტიტუციის მე-16 (პიროვნული განვითარების უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევად. ჯანდაცვის მინისტრმა გამოსცა ახალი ბრძანება, რომელიც ამჯერად იმ მამაკაცებს უკრძალავდა სისხლის დონორობას, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონიათ სექსი მამაკაცთან (მსმ).

2017 წლის 20 მარტს საიამ, ლევან ბერიანიძის და გორჯაბოძის სახელით, სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და აღნიშნული ახალი ბრძანების კონსტიტუციურობა გაასაჩივრა.

2017 წლის 13 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და გასაჩივრებული ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.



სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საანგარიშო წლის განმავლობაში:

- წარმატებით დასრულდა 6 საქმე.
- არსებითი განხილვა დასრულდა 16 საქმეზე.
- აღნიშნულ საქმეებში ორგანიზაციამ წარადგინა მომჩივანთა სამართლებრივი არგუმენტები და ამჟამად ველით ვეროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

წარმატებით დასრულებული საქმეები:

1. ჩოხელი და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ
2. ძიძვა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

2016 წლის 20 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) წარმოებაში არსებულ საქმეებზე.



აღნიშნული საქმეები 2006 წელს რუსეთის ფედერაციიდან ქართველების გამოძევებასა და აღნიშნულ პროცესში მათ მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეეხებოდა.

ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საიას დაცვის ქვეშ მყოფი 8 პირის მიმართ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), მე-4 ოქმის მე-4 მუხლის (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევას. საიას დაცვის ქვეშ მყოფ სამ პირთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა რაიმე ტიპის უფლებათა დარღვევა, ვინაიდან, სასამართლოს განმარტებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მათი დაპატიმრებისა და უცხოელთა დაკავების ცენტრებში ყოფნის ფაქტი. ხოლო საქმეში *ძიძავა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ* ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებლად ცნო თ. ტოგონიძის გარდაცვალების გამო და, მისი მეუღლის სასარგებლოდ, განცდილი მორალური ზიანისთვის, 40000 ევროს გადახდის ვალდებულება დააკისრა.

- **დუმბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**

აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განჩინება 2017 წლის 7 მარტს გამოიტანა. საჩივარი ეხება 2011 წლის 26 მაისს თბილისში, პარლამენტის წინ გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ, რა დროსაც აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული იყო არაპროპორციული ძალა.

საქართველოს მთავრობამ მომჩივნებს საქმის მეგობრული მოგვარებით დას-

რულება შესთავაზა, ამასთან, მომჩივნების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისა და შეკრების უფლების დარღვევის გამო, კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების დარღვევა აღიარა და მათთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება აიღო.

- **ასათიანი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**

აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განჩინება 2017 წლის 4 მაისს გამოიტანა. საჩივარი ეხება 2010 წლის 27 დეკემბრიდან 2011 წლის 3 იანვრის ჩათვლით თბილისში, საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან მიმდინარე მშვიდობიანი აქციის დაშლას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ, რა დროსაც აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული იყო არაპროპორციული ძალა.

2016 წლის 3 მაისს საქართველოს მთავრობამ მომჩივნებს საქმის მეგობრული მოგვარებით დასრულება შესთავაზა, ასევე, მომჩივნების მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობისა და შეკრების უფლების დარღვევის გამო, კონვენციის მე-3 (პროცედურული ნაწილი) და მე-11 მუხლების დარღვევა აღიარა და მათთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება აიღო.

- **ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**

2005 წლის 3 მარტს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა (EHRAC) ერთობლივი საჩივრით – *ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ* – ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს. 2017 წლის 13 ივლისს ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც წარდგენილი საჩივარი დაკმაყოფილდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა (კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა) თბოელექტროსადგურის ფუნქციონირების შედეგად შექმნილი ჯანმრთელობისთვის საზიანო გარემოს გამო.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაიცვა ბალანსი თბოელექტროსადგურის ფუნქციონირების საზოგადოებრივ საჭიროებასა და მომჩივნების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებას შორის. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა საქართველოში გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ჩარჩოსა და დაზარალებულთა დარღვეული უფლებების აღდგენის მექანიზმის ხარვეზიანობაზე.

სახელმწიფოს, თითოეული მომჩივნის სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით, 4500 ევროს გადახდის ვალდებულება დაეკისრა.

- **ზურაშვილი საქართველოს წინააღმდეგ**

აღნიშნული საქმე საიამ და EHRAC-მა ერთობლივად აწარმოეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საჩივარი ეხებოდა 2011 წლის 26 მაისს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან მომჩივნის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებს და მათ არაეფექტურ გამოძიებას.

2016 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც მოცემულ საქმეში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა აღიარა და ეროვნულ დონეზე ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება აიღო. 2017 წლის 12 ოქტომბერს ევროპულმა სასამართლომ დაამტკიცა სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ცალმხრივი

დეკლარაცია და საქმე განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხა.

**სამართალწარმოება
ბაერთიანეზული ერეზის
ორბანიზაციის ქალთა მიმართ
დისკრიმინაციის აღმოფხვრის
კომიტეტში (CEDAW)**



გასულ წელს საიამ ალტერნატიული ანგარიში წარადგინა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში და აქტიურად გამოიყენა აღნიშნული ფორუმი ქალთა უფლებებისა და საჭიროებების ადვოკატირებისთვის. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ პირველად გაგზავნა საჩივარი გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში. საჩივარი ეხება ბ.ზ-ს ფემიციდის საქმეს. ეს არის პირველი საჩივარი, რომელიც საქართველოდან აღნიშნულ კომიტეტში ფემიციდთან დაკავშირებით შევიდა.

საპარტლუბრივი კონსულტაციები საიას თბილისისა და რეგიონების ოფისებში

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, საქართველოში უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად მოქალაქეთა მიმართვიანობისა და ცნობადობის თვალსაზრისით, საია ლიდერია.

გამოკითხულთა 66%-ს სმენია საიას უფასო იურიდიული დახმარების ცენტრის შესახებ, ხოლო 62% დახმარებისთვის სწორედ საიას მიმართავს.


2012 წელს გაეროს განვითარების პროგრამისთვის ჩატარებულმა კვლევამ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან მიმართებით მსგავსი ტენდენცია გამოავლინა. გამოკითხულთა მიერ საიარამდენჯერმე უფრო ხშირად სახელდებოდა, ვიდრე ყველა სხვა უფასო იურიდიული დახმარების სამსახური.

დღევანდელი მონაცემებით, საიას იურიდიული დახმარების ცენტრის ცნობადობის მაჩვენებელი 18%-ით არის გაზრდილი.


ბენეფიციართა რაოდენობა თბილისის ოფისში




ბენეფიციართა რაოდენობა რეგიონების ოფისებში



ბასვლითი კონსულტაციები



საინფორმაციო სემინარები, მრგვალი მაგილის დისკუსიები, საჯარო შეხვედრები



ადამიანის უფლებები სასლთან ახლოს

საიქვებს გვჯერა, რომ ადამიანის უფლებები იწყება პატარა ადგილებში, რომლებიც რუკაზე არც კი ჩანს, მაგრამ ხშირად სწორედ ის ადგილებია ადამიანებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი: სახლი, ქუჩა, სამეზობლო, თემი, სადაც ადამიანები სიცოცხლის ყველაზე დიდ ნაწილს ატარებენ ... სწორედ ამიტომ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად მუშაობს არა მხოლოდ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ინსტიტუციების დონეზე საჭირო ცვლილებების ინიცირებისა და ხელშეწყობისთვის, არამედ ასევე ეხმარება ადამიანებს, მოაგვარონ მათი ადგილობრივი პრობლემები, გაიუმჯობესონ ყოველდღიური ცხოვრების ხარისხი

და ჰქონდეთ სუფთა, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, არალირსებისშემლახავი საცხოვრებელი გარემო და პირობები.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ რამდენიმე ათეული გასვლითი შეხვედრა დავგეგმეთ და განვახორციელეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შეხვედრებზე ჩვენი იურისტები მოქალაქეებს სთავაზობენ სამართლებრივ კონსულტაციას, აძლევენ რჩევებს, უმზადებენ სამართლებრივ დოკუმენტებს, აწოდებენ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, როგორცაა: ოჯახში ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, ანტიდისკრიმინაცი-



ული კანონმდებლობა, უმცირესობების უფლებები, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და ა.შ.

გასვლით შეხვედრებზე ასევე ვინტერესდებით ადგილობრივი მოსახლეობის ყოფილი პრობლემებით და ვცდილობთ, ადამიანებს მათ მოგვარებაში დავეხმაროთ, რათა თავი დაცულად, უსაფრთხოდ და ღირსეულად იგრძნონ იქ, სადაც ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებენ.

საანგარიშო პერიოდში:

- საიას ქუთაისის ფილიალის აქტიურობის შედეგად, მოხდა სოფელ საყულიას გაზიფიცირება, ე.წ. სვანების დასახლებაში დაიგო გზა, ხოლო სოფელ ოფშკვითში დაიდგა საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერები. ასევე, საიას მიმართვის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიგზავნა განცხადება სოფელ ოფშკვითისთვის სასაფლაო მიწის გამოყოფის თაობაზე.
- აგრეთვე, საიას ქუთაისის ფილიალის აქტიურობის შედეგად, სოფელ ნამაშევსა და ახალშენში დაიწყო გაზიფიცირების სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგ დაგეგმილია გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება, ხოლო სოფელ დედალაურის გაზიფიცირების სამუშაოების დაწყება უკვე დაგეგმილია უახლოეს პერიოდში. გარდა ამისა, საიას ადვოკატირების შედეგად, სოფელ ახალშენში არსებულ კათოლიკურ ეკლესიას დაუკანონდა მიწის ნაკვეთი. ასევე, ზემოთ ჩამოთვლილი სამივე სოფლისთვის ხონის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა წყალმომარაგების პროექტი, რომლის განხორციელებაც უახლოეს მომავალში დაიწყება.
- თელავის ოფისის ადვოკატირების შედეგად, სოფელ ვარდისუბანში მოწესრიგდა შიდა საუბნო გზები, გარე განათებები და განთავსდა დამატებითი სანაგვე ურნები.



- საიას ზუგდიდის ოფისის აქტიური ჩართულობის შედეგად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დევნილთა ოჯახს ზუგდიდში საცხოვრებელი ბინა გადაეცა.
- საიას გორის ოფისის აქტიურობის შედეგად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო სოფელ მიქელწყაროს პრობლემების მოგვარება. იქ არსებულ წყლის პრობლემასთან დაკავშირებით, საიამ წერილობით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტს საკითხის დროულად მოგვარების თაობაზე. ასევე, დასუფთავების სამსახურმა უკვე დაიწყო ნაგავსაყრელიდან დაგროვილი ნაგვის ეტაპობრივად გატანა.
- საიას რუსთავის ოფისის აქტიურობით, დაიწყო ვაზიანის ე.წ. სამხედრო დასახლებაში არსებული პრობლემების მოგვარება: მაცხოვრებლებისთვის სასმელი წყლის მიწოდება და ავარიული კორპუსების რეაბილიტაცია. ასევე, საიას მიმართვის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის თანახმად, დაიწყო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება



მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნულის შედეგად, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდა ყველა სახის საჯარო ინფორმაცია სოციალური დახმარებებისა და სერვისების შესახებ.

- საანგარიშო პერიოდში ოზურგეთის ოფისი აქტიურად მუშაობდა სოფელ ბოხვაურის მაცხოვრებლების მიწის საკუთრების დაცვის მიმართულებით. 1990-იან წლებში ამ სოფლის მაცხოვრებლებს მიწები დაურიგდათ მეზობელ სოფელ ნასაკირალში, მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტებთან ერთად. თუმცა, 2016 წელს აღნიშნული მიწები დაირეგისტრირა სახელმწიფომ და 25 წლიანი იჯარით ერთ-ერთ შპს-ს გადასცა. შედეგად, მოსახლეობა ზემოაღნიშნულ მიწებს ვეღარ იყენებს. საიას ოზურგეთის ოფისი აქტიურად მუშაობს დაზარალებული ოჯახების საკუთრების უფლების დაცვის მიმართულებით.

- საანგარიშო პერიოდში დუშეთის ოფისის აქტიურობის შედეგად, ადგილობრივი

ხელისუფლების დღის წესრიგში დადგა მოსახლეობისთვის აქტუალური რამდენიმე თემა: წყლის უსაფრთხოება, გზების გამართულობა, სასაფლაოების დასუფთავება და სხვა.

საიას წარმოებაში აქვს არაერთი საქმე როგორც თბილისში, ასევე საქართველოს რეგიონებში, რომლებიც ეხება რეკრეაციული ზონების დაცვას უკანონო გასხვისებისა და იქ მიმდინარე/დაგეგმილი მშენებლობებისგან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში საიას წარმომადგენლები აქტიურად ადევნებდნენ თვალს დუშეთის რაიონში, სოფელ მუგუდას ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის გეგმას, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. საიას წარმომადგენლები შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და სამართლებრივი დახმარება შესთავაზეს. ამ ეტაპზე მშენებლობა შეჩერებულია.

მიგრაციის პარტნიორ განვითარება

საანგარიშო პერიოდში საიამ დაასრულა მუშაობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტზე – „კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით, მიგრაციის მართვის განვითარება საქართველოში.“

- მიგრაციულ პროცესებზე გავლენის მქონე და მომუშავე აქტორების გაძლიერება.
- სახელმწიფოს მხარდაჭერა სისტემური კვლევისა და რეკომენდაციების გაზიარებით.

პროექტის ფარგლებში საიამ პირველად დაიწყო აქტივობები ადამიანის უფლებების, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების კომპლექსური ურთიერთკავშირის მიმართულებით, რაც მოიცავდა შემდეგ სტრატეგიულ ამოცანებს:

- ემიგრანტებისა და დიასპორის თემის სისტემური და მრავალმხრივი კვლევა.
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არალეგალური ემიგრაციის ზიანის შესამცირებლად.



შეხვედრა ემიგრანტებთან სტამბულში (თურქეთი)

მიგრაციის პროექტის რაოდენობრივი შეჯამება

10 ქვეყნის 12 ქალაქში დისკუსიების, ინტერვიუებისა და საინფორმაციო შეხვედრების მონაწილე 500-მდე ემიგრანტი.

საქართველოს რეგიონებში რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევების 3000-მდე რესპოდენტი.

12 კვლევა ადამიანის უფლებების, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე.

სახელმძღვანელო მხარე ზიანის დაზიანების მსურველთათვის.

6000-მდე ადამიანი – ჩართული საინფორმაციო კამპანიაში.

9 ტრენინგის 15 დღე, 200-მდე მონაწილე.

კამპანიის ფარგლებში – "წიგნები საქართველოდან" – შეგროვებული 5000-მდე წიგნი და ემიგრანტებისთვის წიგნის კუთხის გახსნა 8 ქვეყანაში.


ბაიყა 2 ქვეყანაში ადგილობრივ ორგანიზაციებზე და 2 ბრანდი – საქართველოს ორგანიზაციაზე.



შეხვედრა ემიგრანტებთან ბარში (იტალია)

კამპანია "წიგნები საქართველოდან"

ყველა ქვეყანაში, რომელსაც პროექტის გუნდი ესტუმრა, ემიგრანტები მიუთითებდნენ წიგნებისა და შეკრების სივრცის ნაკლებობის პრობლემაზე. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ, გუნდმა დაგეგმა კამპანია – „წიგნები საქა-



რთველოდან“, რომელშიც, საქართველოს მასშტაბით, ათასზე მეტი ადამიანი ჩაერთო, მათ შორის, გამოჩენილი საზოგადოე-

ბრივი მოღვაწეები, მწერლები, მუსიკოსები, სპორტსმენები და ა.შ. კამპანიის ერთ-ერთ ღონისძიებას შეუერთდნენ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს პარლამენტი. პარლამენტის დიასპორის კომიტეტის დახმარებით, კამპანიაში ჩაერთნენ დეპუტატები სხვადასხვა პარტიიდან. შედეგად, ერთ თვეზე ნაკლებ ვადაში, კამპანიის ფარგლებში საიამ შეაგროვა 5000-მდე წიგნი. წიგნები გაიგზავნა 8 ქვეყანაში, სადაც წიგნის სპეციალური კუთხეები მოეწყო.



მწერლები ლია ლიქოკელი და დათო ტურაშვილი კამპანიას შეუერთდნენ

კვალიფიციური იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება, იურიდიული პროფესიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა იყო და რჩება საიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. საია გასულ საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად განაგრძობდა საგანმანათლებლო საქმიანობას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე.

ახალგაზრდებისთვის ალტერნატიული, განგრძობადი, იურიდიული განათლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების (კონსტრუქციული დებატი, სასამართლოში იურისტის გამოსვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერის უნარები, იურიდიული დოკუმენტების მომზადების ტექნიკა) განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება, სიახლეებზე მუშაობა საინფორმაციო და საგამომცემლო კუთხით – ეს არის ის აქტივობები, რომლებსაც საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი და საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი ახორციელებს.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- თბილისში ყოველწლიური 6 თვიანი სასწავლო კურსები საჯარო და სამოქალაქო სამართალში.



- საპარლამენტო დებატების შიდა და ეროვნული ტურნირების უზრუნველყოფა ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდისა და თბილისის მასშტაბით.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ოლიმპიადის ორგანიზება – „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“.
- იმიტირებული სასამართლო პროცესები საქალაქო და უზენაეს სასამართლოებში.
- სემინარების, ტრენინგების, აკრედიტებული კურსების ორგანიზება როგორც საიას იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტების, ისე სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისთვის.
- იურიდიული ბიბლიოთეკის შევსება უახლესი ლიტერატურით.

- სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის, როგორც თბილისის, ასევე ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, გორის, თელავისა და რუსთავის მასშტაბით.

ფონდის სასწავლო კურსები

საგანმანათლებლო სისტემაში წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, დღესდღეობით საქართველოში კვლავ შეუძლებელია ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღება. ამის ნათელი დასტურია 2 წლის წინ ევრაზიის ფონდისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით 4 ორგანიზაციის მიერ (მათ შორის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი) კოალიციურად ჩატარებული კვლევის შედეგი, სადაც გამოკითხულ სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, მოსამართლეთა, პროკურორთა, ნოტარიუსთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა 75% მიიჩნევს, რომ საქართველოში ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღება არათუ პრობლემა, არამედ ძალზე მწვავე პრობლემაა.

სწორედ ამიტომ, საია, ფონდის მეშვეობით, კვლავ იურიდიული განათლებისა და პროფესიის განვითარების სადარაჯოზე დგას და ცდილობს, გარდამავალ პერიოდში მოხვედრილ სტუდენტებს და ახალგაზრდა იურისტებს შეუფასოს ცოდნის ხარვეზი, მიანოდოს განსხვავებული განათლება, ხედვები და მიდგომები, რაც მათ პროფესიულ ასპარეზზე გასვლაში დაეხმარება.

ამ კუთხით, ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 6 თვიანი სასწავლო კურსების ფუნქციონირებას. 2016-2017 სასწავლო წელს ფონდს მიმართა კურსების გავლის მსურველმა 50-მა პირმა, რომელთა

აგან 30-მა მოიპოვა სასწავლო კურსებზე სწავლის უფლება. 6 თვის განმავლობაში სწავლება მიმდინარეობდა სამოქალაქო და საჯარო სამართლის მიმართულებით.

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ გამოცდაზე დაიშვა 19 სტუდენტი. აქედან 11-მა დაიმსახურა საიასა და ფონდის ერთობლივი დიპლომი, 5 სტუდენტს გადაეცა სერტიფიკატი, ხოლო სამმა ვერ შეძლო 50%-იანი ბარიერის გადალახვა.

გამოშვების ღონისძიების დღეს სტუდენტების მიერ ონლაინ სივრცეში გამოქვეყნებული მოსაზრებები:

ასეთი დღეები არც ისე ბევრია ჩემს ცხოვრებაში. ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის კურსდამთავრებული ვარ, კურსის, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო გამოწვდილვან იყო ჩემს ცხოვრებაში. და ყველაფერი ამით არ დამთავრებულა:

- საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა შემომთავაზა, ნავიკითხო ლექციები საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის.
- კონკურსის გარეშე გავივლი სტაჟირებას იურისტის თანაშემწედ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

უსაზღვროა ჩემი სიხარული და მაღლიერება!

ყველაფერს გავაკეთებ, რათა თქვენი იმედი გავამართლო!

პრალაში 2 წლიანი სწავლის შემდეგ, გადავწყვიტე თბილისში დაბრუნება და სწავლის გაგრძელება ქართულ უნივერსიტეტში. სანდნიეროდ, მოვხვდი ძალიან კარგ გარემოში ჩემი უნივერსიტეტის სახით, რომელმაც არაჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობის საშუალება მომიცა და, ასევე – იმ საოწარ „პაფვალში“, რომელშიც, როგორც ქალბატონი ნათია ნკუპლაძე იტყვოდა, პირველ რიგში, იძერწებინა კარგი ადამიანები, შემდეგ კი – კარგი იურისტები.

მთელი წლის მანძილზე, ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე ამ „პაფვალში“ სასწავლოები ხდებოდა. იმართებოდა საინტერესო დიალოგები და დღითიდღე ირვლებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, ჩვენი აზროვნება. ვხდებოდით მეტად კრიტიკულები, დაკვირვებულები და თავისუფლები.

მოსთმენლოდ ველოდებოდი დღეს, როდესაც მექნებოდა პატივი, მომეპოვებინა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დიპლომი და თამამად მეტყვა, რომ ამ ადამიანების, გუნდის, ლექტორებისა და კურსელების ნყალობით, ვარ უკეთესი, ვიდრე ვიყავი თუნდაც ერთი წლის წინ.

მიხარია, ვამაყობ და იმედი მაქვს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი ამბებისა, რომლებსაც საფუძველს ეს „პაფვალი“ და ეს ქვეყანა ჩაუყრიან.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს 21 ივლისს გადაეცათ სერტიფიკატი და დიპლომები. ამავე დღეს გამოვლინდა ის სამი საუკეთესო სტუდენტი, რომლებსაც, ფონდისა და საიას ინიციატივით, საშუალება მიეცათ, სტაჟირება გაეწეოთ თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. ასევე, გამოვლინდა წარმატებული 6 კურსდამთავრებული, რომლებსაც ფონდის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლაში ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობა ექნებათ. ამასთან, სტუდენტებს, რომელთაც გადაეცათ დიპლომები, საია და ფონდი რეკომენდაციას გაუწევენ სხვადასხვა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, როგორც საიაში, ისე საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებში.



აღსანიშნავია, რომ ფონდის წლებანდელი კურსდამთავრებული 6 თვიანი პერიოდით დასაქმებულია საიას საარჩევნო პროექტში, ხოლო ორი კურსდამთავრებული, ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე, დასაქმდა საადვოკატო ფირმასა და სსიპში.

**სამოქალაქო განათლება,
როგორც ფონდის ერთ-ერთი
პრიორიტეტული მიმართულება
– საკვირაო სკოლა**

ხარისხიანი განათლების მიღების პრობლემა არამარტო უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს. სკოლა, საიდანაც ყველაზე ეფექტურია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამართლებრივი და სამოქალაქო განათლების მიცემის გზით, სამოქალაქო განათლების პედაგოგების ნაკლებობას განიცდის. სამოქალაქო განათლებას სკოლებში ყველაზე კარგ შემთხვევაში – ისტორიის, ხოლო ცუდ შემთხვევაში – რადიკალურად განსხვავებული დისციპლინის პედაგოგები ასწავლიან. შესაბამისად, სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა ყველაზე უინტერესო საგნად სწორედ სამოქალაქო განათლებას მიიჩნევს.



აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია ის აქტიურობა, რომელსაც სამოქალაქო და სამართლებრივი განათლებით დაინტერესებული ახალგაზრდები – მე-9-მე-12 კლასების მოსწავლეები – გამოხატავენ და ყოველწლიურად ფონდის საკვირაო სკოლას აკითხავენ.



საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლები ფუნქციონირებდა როგორც თბილისში, ისე ზუგდიდში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში. ხუთივე ქალაქის მასშტაბით საკვირაო სკოლებში 200-მდე მოსწავლე ირიცხებოდა, რომლებსაც სწავლის დასრულების და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდეგ სერტიფიკატი გადაეცათ. ბოლო სამი წელია ფონდმა ასევე მნიშვნელოვანი ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი – სასწავლო წლის განმავლობაში საკვირაო სკოლის მოსწავლეებს საშუალება აქვთ, ესტუმრონ სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურას, მონაწილეობა მიიღონ აქცია-კამპანიებში და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში თბილისის საკვირაო სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ: ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (სადაც შეხვდნენ ცესკოს თავმჯდომარეს); საქართველოს ეროვნულ მუზეუმს; საქართველოს ეროვნულ ბანკს; საქართველოს პრეზიდენტის სასახლეს; მართლმ-

დებატების ხელოვნება

ფონდის პრიორიტეტად კვლავ რჩება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში იურისტი სტუდენტების დახელოვნება კონსტრუქციულ დებატებში. საანგარიშო პერიოდში, ფონდი ორგანიზებას უწევდა დებატების კურსებს თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. სტუდენტები ეუფლებოდნენ კონსტრუქციული კამათის ხელოვნებას, დებატის კულტურას, სწრაფ აზროვნებას, იურიდიულ და გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ტექნიკას.

ფონდის ორგანიზებით, გაიმართა დებატების შიდა ტურნირები და გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომლებმაც დებატების ეროვნულ ტურნირზე იასპარეზეს. საპარლამენტო დებატების ეროვნული ტურნირი 2017 წლის 17 ივნისს გაიმართა და გამარჯვებულად გამოცხადდა თბილისის გუნდი. ტურნირის მონაწილეებს და გამარჯვებულებს, სერტიფიკატებთან ერთად, გადაეცათ ევროპის საბჭოს, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდისა და ჩოძ-ის მიერ გამოცემული პუბლიკაციები.



საჯულების მუზეუმს; გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (სადაც უშუალოდ მინისტრმა მიიღო მოსწავლეები და ესაუბრა გარემოსდაცვითი სფეროს უმნიშვნელოვანეს გამოწვევებზე); პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს (სადაც მოსწავლეები ინსპექტორმა მიიღო და მოკლე საინფორმაციო შეხვედრა და ექსკურსია მოუწყო). ზუგდიდის საკვირაო სკოლის მოსწავლეებს შეხვედრა ჰქონდათ სახალხო დამცველის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენელთან, ასევე, 1 ივნისს მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საინფორმაციო კამპანიაში. ბათუმის საკვირაო სკოლის მოსწავლეები კი ესტუმრნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და აჭარის ტელევიზიას. აღნიშნული ინიციატივა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, უფრო ახლოს გაეცნონ თითოეული ინსტიტუტის სპეციფიკასა და საქმიანობას.

იმიტირებული სასამართლო პროცესები

იმიტირებული სასამართლო პროცესები ფონდის მნიშვნელოვანი აქტივობაა. სტუდენტები, ტრენერთან ერთად, ამზადებენ სასამართლო საქმეს, ინანილებენ როლებს, ადგენენ სამართლებრივ დოკუმენტებს, გამოიმუშავენ სასამართლოში გამოსვლის უნარ-ჩვევებს. საბოლოოდ კი, სწავლის დასასრულს, საქართველოს უზენაეს სასამართლოში კომპეტენტური ჟიურის (უზენაესი სასამართლოს წევრები, ადვოკატები და დარგის სპეციალისტები) წინაშე მართავენ პროცესს. საანგარიშო პერიოდში პროცესი გაიმართა ივნისის ბოლოს უზენაეს სასამართლოში. პროცესის მონაწილეებმა ჟიურის მხრიდან უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს.



იმიტირებული სასამართლოს ფორმატი აქტიურად გამოიყენება საკვირაო სკოლებშიც. საანგარიშო პერიოდში თბილისის საკვირაო სკოლამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი გაიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ზუგდიდისა და ქუთაისის საკვირაო სკოლებმა კი – ზუგდიდის რაიონულ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში.

ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“

2016 წლის დეკემბერში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდისა (IRZ) და ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“. ოლიმპიადა, ფონდის ორგანიზებით, უკვე მე-11 წელია იმართება და ყოველთვის ემთხვევა საიას ტრადიციულ ღონისძიებას – „ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულს“.

ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 80-მდე გუნდმა საქართველოს მასშტაბით. წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, შეირჩა 8 გუნდი, რომელთა მონაწილეობით 9-11 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა შესარჩევი რაუნდები, ასევე, ნახევარფინალი და ფინალი. ოლიმპიადას ხელმძღვანელობდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, დარგის სპეციალისტები და პროფესორ-მასწავლებლები.

11 დეკემბერს ოლიმპიადა საზეიმო ვითარებაში დაიხურა. საკონსტიტუციო სასამართლომ გამოავლინა საკონსტიტუციო სამართლის სამი საუკეთესო მცოდნე, რომლებსაც შესთავაზა 6 თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. ასევე, გამოვლინდნენ საუკეთესო მოსარჩელები და მოპასუხეები. იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა დაასახელა თავისი რჩეული, რომელმაც ფონდის 6 თვიან სასწავლო კურსებზე სწავლის უფლება მოიპოვა.



ოლიმპიადის 2016 წლის გამარჯვებული გახდა გუნდი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები, სამართლებრივი ლიტერატურა და სხვა ფასიანი საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ 11 წლის მანძილზე ოლიმპიადამ, წარმატებული მონაწილეების სახით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ჯერ ანაზღაურებადი სტაჟირის, შემდეგ კი, თანამშრომლის სტატუსით, ჯამში, 17 ახალგაზრდა შესძინა, რაც უდავოდ მიუთითებს ამ აქტივობის უპირობო წარმატებაზე.

საჯარო ლექციები და დისკუსიები

საანგარიშო პერიოდში საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით არაერთი საჯარო ლექცია და დისკუსია გაიმართა. ეს არის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ, იმსჯელონ და წინ წამოწიონ პრობლემატური საკითხები, კონკრეტული სფეროს ექსპერტების დახმარებით გაიღწეონ ცოდნა და ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ მათთვის მნიშვნელოვან თემებზე, გაუზიარონ ერთმანეთს როგორც ინფორმაცია, ასევე გამოცდილება. სამიზნე ჯგუფი მოიცავს ყველა ასაკის მსმენელს – როგორც სკოლის მოსწავლეებს, ისე სტუდენტებსა და პრაქტიკოსებს.

2016 წლის 8 თებერვალს ფონდმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართა საჯარო ლექცია თემაზე „ადამიანის უფლებები“. ლექციის მომხსენებელი იყო საიას თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი. შეხვედრაზე განხილული იყო ადამიანის უფლებების მნიშვნელობა და მისი როლი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

2017 წლის 21 მარტს, საიას აჭარის ფილიალის და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „ქართული კონსტიტუციური რეფორმები“. საჯარო ლექციას უძღვებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გიორგი კვერენჩილაძე.

28 მარტს ფონდმა უმასპინძლა საჯარო დისკუსიას თემაზე „სამოქალაქო აქტივიზმის დეფიციტი ახალგაზრდებში“. ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის დირექტორმა ფელიქს ჰატმა მონაწილეებს გააცნო „თაობა გარდამავალ პერიოდში – საქართველოს ახალგაზრდობის კვლევის“ (2016 წელი) შედეგები. ამავე შეხვედრაზე ფონდის ხელმძღვანელმა ისაუბრა ახალგაზრდობის როლზე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში.

6 აპრილს გაიმართა მორიგი საჯარო დისკუსია თემაზე „შშმ პირთა უფლებები და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტრატეგია“, რომელსაც ფონდის სამართლის კურსდამთავრებული მარიკო კობახიძე გაუძღვა. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი, რომელმაც მონაწილეებს მიანოდა ინფორმაცია სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ შშმ პირებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე.



19 აპრილს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფონდმა მორიგი საჯარო ლექცია გამართა თემაზე „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“. შეხვედრაზე, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, განხილული იყო პრობლემური საკითხები. ლექციას საიას ანალიტიკოსი გოგა ხატიაშვილი უძღვებოდა.

25 აპრილს ფონდის ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე „ევროპული კავშირის მიერთება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე – მიღწევები და გამოწვევები“, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, თსუ-ს დოქტორანტი გიორგი მირიანაშვილი. საჯარო ლექციას ჰქონდა ინტერაქტიული

ფორმატი და დამსწრე პირებს საშუალება მიეცათ, მომხსენებლისთვის კითხვები დაესვათ.

16 მაისს საიას სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტი გაუძღვა საჯარო ლექციას თემაზე „ფემიციდი – გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა“. შეხვედრაზე განხილული იყო, თუ რა ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს ფემიციდთან ეფექტური ბრძოლის პროცესში, როგორ უნდა მოხდეს ფემიციდის თავიდან აცილება, გამოძიება და დასჯა.

18 მაისს, საიას აჭარის ფილიალისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები-

სთვის ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ქართულ მართლმსაჯულებაში“. საჯარო ლექციას უძღვებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მაია კოპალეიშვილი.

საჯარო ლექციებისა და დისკუსიების ციკლი იენისში დასრულდა დისკუსიით „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი – წარსულის გააზრება“. შეხვედრას უძღვებოდნენ „ბერგჰოფის ფონდის“ პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი შოთა შველიძე და ბერგჰოფის ფონდის „ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესის მონაწილე/ფასილიტატორი მიხეილ ჯახუა. დისკუსიაზე განხილული იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოკლე ისტორია და დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. ასევე ქართულ-აფხაზური სამშვიდობო დიალოგის ფორმატის შეხვედრების დინამიკა. დისკუსიის მონაწილეებმა მოისმინეს ბერგჰოფის ფონდის პროექტის – „ისტორიაზე დიალოგით მომავალ თანამშრომლობამდე“ – ფარგლებში ჩანერილი ბიოგრაფიული ინტერვიუს მცირე ეპიზოდი, რაზეც გაიმართა ანალიზი/დისკუსია.



სემინარები, ტრენინგები, კონფერენციები, მრგვალი მაგილის შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში კვლავ გრძელდებოდა თანამშრომლებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისთვის კვალიფიკაციის ამაღლების ტრადიცია. 2016 წლის დეკემბერსა და 2017 წლის იანვარში ფონდმა ორგანიზება გაუწია ინტენსიურ სასწავლო კურსს თემაზე „სამშენებლო-არქიტექტურული საქმიანობის რეგულირება საქართველოში და უძრავ ნივთებთან დაკავშირებული აქტუალური სამართლებრივი საკითხები“, რომელსაც 25 მსმენელი დაესწრო. **კურსზე განიხილებოდა პრაქტიკაში პრობლემად არსებული ისეთი საკითხები, როგორცაა:**

- საქართველოში საკუთრების ჩამორთმევის წესი და პირობები (ექსპროპრიაცია).
- საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო და არქიტექტურული საქმიანობის რეგულირება.
- მშენებლობის უსაფრთხოების წესები.
- სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის სამართლებრივი რეგულირება.
- უძრავი ნივთის შეზღუდული სარგებლობა და განკარგვის წესი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლისთვის არაპრივატიზებული ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევები და ა.შ.

კურსი ნაყოფიერი, საინტერესო და ძალზე საჭირო აღმოჩნდა პრაქტიკოსებისთვის,

რამაც განაპირობა ფონდის მიმართვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისადმი კურსის აკრედიტაციასთან დაკავშირებით. კურსმა აკრედიტაცია მიიღო, რამაც ადვოკატებს საშუალება მისცა, კრედიტებში ჩასთვლოდათ მონაწილეობა. აკრედიტირებული კურსი სამშენებლო-არქიტექტურულ საქმიანობასთან დაკავშირებით გაიმართა 3 ივნისს, ხოლო უძრავი ნივთების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე – 10-11 ივნისს. თითოეულ კურსში მონაწილეობდა 12 მსმენელი.



ფონდმა საანგარიშო პერიოდის იანვარ-თებერვალში ორგანიზება გაუწია თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე დიდ გამოწვევასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსს „კიბერუსაფრთხოება და კიბერდანაშაული“. კურსზე განხილული იყო შემდეგი თემატიკა:

- შესავალი საინფორმაციო ტექნოლოგიებში.
- სსკ-ით გათვალისწინებული კიბერდანაშაულები.
- კიბერსივრცის მარეგულირებელი შიდა და საერთაშორისო სამართალი.
- გავრცელებული კიბერდანაშაულების ჩადენის მეთოდები.
- ციფრული მტკიცებულებები.
- ციფრული მტკიცებულებების მოპოვება და ანალიზი.
- ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები და დოკუმენტები.
- კიბერსივრცე და კიბერუსაფრთხოება.

აღნიშნული ტრენინგი სიახლეს წარმოადგენდა და მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს როგორც იურისტებმა, ასევე IT სპეციალისტებმა. ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა ჯამში შეადგენდა 10-ს.

2016 წლიდან საია ახორციელებს პროექტს – გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სექს-მუშაკი და წამალდამოკიდებული ქალებისთვის. საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც თემის

წარმომადგენლებმა, ასევე საიას იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტებმა და ჟურნალისტებმა (ჯამში 50 მონაწილე). ტრენინგი ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- კომერციული სექს-მუშაკი ქალების პრობლემები.
- წამალდამოკიდებული ქალების პრობლემები.
- დაკავების დროს პირის უფლებები.
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მარგინალიზებული ქალებისთვის.
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის პროგრამები და მათზე ხელმისაწვდომობა (აქცენტი – მონყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე).
- პერსონალური მონაცემების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგები, რომლებიც გარკვეულ თემს ეხება და, რომლებშიც უშუალოდ თემის წევრები მონაწილეობენ, იშვიათობას წარმოადგენს. ტრენინგის მიზანი იყო: იურისტებს და ჟურნალისტებს მაქსიმალური ინფორმაცია მიეღოთ იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივ თუ ყოფით სირთულეებს აწყდებიან კონკრეტული თემის წევრები; რა პრობლემები აქვთ მათ ოჯახის წევრებსა თუ საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს, როგორია მათი ყოველდღიური ცხოვრება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ტრენინგების შემდეგ გაიზარდა საიას იურიდიული დახმარების ცენტრებში თემის წევრების მომართვიანობა, რამდენიმე მედიასაშუალებამ მოამზადა სიუჟეტი ამ საკითხებთან დაკავშირებით და შეეცადა, საზოგადოებამდე მიეტანა ობიექტურ გარემოებებზე დაფუძნებული ინფორმაცია.

საინფორმაციო ცენტრი

საიას იურიდიული ბიბლიოთეკა კვლავ რჩება ფასდაუდებელ ადგილად სტუდენტებისა და იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისთვის, რომლებსაც შეუძლიათ, უსასყიდლოდ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული ქართული თუ უცხოენოვანი გამოცემებით (ხელმისაწვდომია მხოლოდ ბიბლიოთეკის ტერიტორიაზე).

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია. რის შედეგადაც ზუსტად განისაზღვრა წიგნადი ფონდი, შეიქმნა ახალი მარტივად საძიებო ბაზა და თითოეულ წიგნს მიენიჭა ინდივიდუალური კოდი.

საიას ბიბლიოთეკაში, თბილისისა და რეგიონული ოფისების მასშტაბით, სულ დაცულია 15000-მდე წიგნი. განსა-

კუთრებით აღსანიშნავია, რომ საიას ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, რომლის მოძიებაც ქართულ საბიბლიოთეკო სივრცეში ნაკლებად შესაძლებელია.

მომავალში დაგეგმილია საიას იურიდიული ბიბლიოთეკის ბაზაზე სადისკუსიო კლუბის ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს უნიკალურ სამართლებრივ ბაზაზე დაფუძნებული მაღალი დონის დისკუსიების ორგანიზებას.

სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრებში

იურიდიული პროფესიის განვითარების, ახალგაზრდა იურისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრებს, სადაც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს 6 თვიანი სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის. პროგრამა ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, გამოცდილი იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით შეადგინონ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტი, ადვოკატთან ერთად დაიცვან მოქალაქეთა ინტერესები სასამართლოში და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში, თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მასშტაბით, სულ 60-მა დამწყებმა იურისტმა გაიარა სტაჟირება საიას იურიდიული დახმარების ცენტრში.


აღსანიშნავია, რომ 3 სტაჟიორს თბილისის დონეზე, საშუალება მიეცა, დასაქმებულიყვნენ როგორც საიას იურიდიული დახმარების ცენტრში, ასევე, ორგანიზაციის სხვადასხვა პროექტში.



ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2016 წლის 1-ლი ნოემბერი – 2017 წლის 1-ლი ნოემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს 2016 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2017 წლის 1-ლი ნოემბრამდე პერიოდს. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემოწირულობისა და სანვეროს სახით მიღებულია 3,933,103.00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



სანვერო	758.00	სხვადასხვა შემოსავალი	2,110.00
---------	--------	-----------------------	----------

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 133 თანამშრომელი, მათ შორის 57 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,987,240.00 ლარი. ერთჯერადი პონორარი გაიცა 342 პიროვნებაზე – საერთო თანხით 245,917.00 ლარი.



კერძო პირებზე გაცემულ მომსახურების ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და პონორარებზე დაკავებულ იქნა საშემოსავლო გადასახადი – 473,260.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შექმნილია 24,938.00 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის,

8,250.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.


ამავე პერიოდში შეძენილია 24,862.00 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის – 2,015.00 ლარის ღირებულების.

ასოციაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 161,426.00 ლარი.


ასოციაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 257,292.00 ლარი.

ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 109,195.00 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯმა – 39,783.00 ლარი, მათ შორის, რეგიონებში – 6,485.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ხარჯის სახით მთლიანად დახარჯულია 3,727,343.00 ლარი, რომელიც, წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:



შემონირულობა	5,473.00	სანეგრო	369.00
--------------	----------	---------	--------



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2017 წლის ნოემბრის მდგომარეობით

ბაზემოების წევრები

- ანა ნაცვლიშვილი – თავმჯდომარე
- გიორგი სანტურიანი – თავმჯდომარის მოადგილე
- ბესარიონ აბაშიძე
- ბესარიონ ბოხაშვილი
- ირენა გაბუნია
- თამარ გვარამაძე
- თამარ გურჩიანი
- მიხეილ დაუშვილი
- ანა დოლიძე
- ლევან ვეფხვაძე
- კახა კოჭორიძე
- ქეთევან კრანაშვილი
- ლევან მოსახლიშვილი
- თამარ რევაზიშვილი
- სულხან სალაძე
- ნინო სუქნიძე
- ეკატერინე ფოფხაძე
- ნონა ქურდოვანიძე
- მიხეილ ლოლაძე
- თინათინ შელია
- ლაშა ჩალაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

- აჭარის ფილიალი – გიორგი ხიმშიაშვილი
- ქუთაისის ფილიალი – გიორგი სანტურიანი
- რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი
- გორის ოფისი – ქეთევან ბეზიაშვილი
- თელავის ოფისი – მარეხ მგალობლიშვილი
- ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე
- დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი
- ზუგდიდის ოფისი – ჯანო ჭკადუა



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი

ჯ.კახიძის ქ. №15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. №11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი

სტალინის ქ. №19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი

კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი

26 მაისის ქ. №13, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge

ზუგდიდის ოფისი

ლალიძის ქ. №3
(ყოფილი თაბუკაშვილის ქ. №21)
ტელ: + (995 415) 227770
ელ-ფოსტა: zugdidi@gyla.ge



რეაგირება
სიცოცხლის უფლება

მონიტორინგი

მოქალაქე

ანბარიშვადილებულება

თანასწორობა

კანონის
უზენაესობა
სამართლიანობისთვის

უფლება

სახელმწიფო

კანონი

ბამჭვირვადობა

ცვლილებები

საზოგადოება

გამოძიება

დამოუკიდებლობა

დაცვა

ინიციატივა

თანასწორობა

მონიტორინგი

დამოუკიდებლობა

კანონი

ქონსმისუსი